ISSN 0130 1624

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

თებერვალი № 2 1982 წ.



# სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის პირველი დღეებიდანვე გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის პატივსაცემად.

სურათებზე: თბილისის მაუდის კომბინატის მოწინავე მქსოველი კომკავშირელი მაია აბაშიძე; თბილისის არასტანდარტული ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის საცდელ-ექსპერიმენტული სპეციალიზირებული ქარხნის მოწინავე ელექტროშემდუღებლ ე ბ ი (მარცხნიდან): ივანე გოგშელიძე, არკადი აჰიკიანი, ვიტალი სენტიუროვი.

ისინი ხუთწლედის მეორე წლის გეგმას 1982 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულებენ.

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა.



რევაზ მარგიანი

# საქართველოს ამ ამღერებას...

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის ამ მდინარებას —
ენგურის, ბზიფის,
ივრის და მულხრის.
საქართველოში
გაზაფხულის ისმის ბრძანება,
ყური მიუგდე
მდინარეთა საოცარ ქუხილს.

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის აბრიალებას —
არაგვის, ქციის,
ხრამის, ალაზნის,
მე არ მსმენია
არასოდეს აგრიალება
ასე მქუხარე, ასე კარგი, ასე ლამაზი.

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის ამგვარ დინებას,
მტკვრის და რიონის,
ხანისწყლის და კოდორის ძალას.
საგულდაგულოდ
გაბადრული მზე იკბინება
და გადმოკიდულ
ყინვარებზე ბრიალებს ალად.

ნუ ჩამორჩები
გაზაფხულის ამ მღელვარებას
და ამ საოცარ
სიმღერების ერთგული დარჩი!
არ დაგავიწყდეს
მხვნელ-მთესველთან შეხმიანება,
ამოუდექი
სიახლეთა ოსტატებს მხარში.

ისევ ეცადე,
რომ ახალი სიტყვა დაბადო,
ეს მერამდენე
გაზაფხულის სუნთქვას ესწრები.
თქვი, რომ მარადჟამს
საქართველო იყო საბადო
კაცურკაცობის,
ძმობისა და მწველი ლექსების.

ნუ ჩამორჩები
საქართველოს ამ ამღერებას,
ტალღებს ფაფარში
ჩაეჭიდე, მიჰყევ დინებას.
ამ ლამაზ ჩქერთა
ქუხილშია ბედნიერება
და იმ მომავალ
სტრიქონების გამობრწყინება.

## ეს უკვე მეცხრედ...

ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა საქართველოს 61-ე წლისთავზე რესპუბლიკას მეცხრედ მიეკუთვნა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა. ეს ერთი და სხვა ათასი, ძვირფასო თანამემამულენო!

# საბჭოთა საქართველოს მემატიანე

გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავს მიეძღვნა სალამო, რომელიც 23 იანვარს გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ი. მაიოროვი, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისადმი.

იუბილარს მხურვალედ მიესალმნენ: თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კადრის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩეჩილაძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი, ზუგდიდის რაიონის დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი რ. ჯალაღონია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხ. ციხისელი, პოეტი კ. კალაძე.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სახელით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს გულითადად მიესალმა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ლ. იაგოდინი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ბედინეიშვილმა გულითადი მადლობა მოახსენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს კოლექტივის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

## ეძღვნება სახელოვან იუბილეს

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ რუსულ ენაზე გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის წიგნი „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოხსენება, რომელიც სახელოვან იუბილეს მიეძღვნა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№2 (542) თებერვალი, 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, ოთარ თურქია,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), რევაზ მარგიანი,
დინარა ნოდია,
ნათელა გიორგობიანი, (მხატვარ-რედაქტორი),
ოთარ დემეტრაშვილი, ლადო სულაბერიძე,
გურამ დოჩანაშვილი, ილია ტაბაღუა,
სერგო დურმიშიძე, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



მეურნეობის კომპლექსის ეზო.



რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. სურათზე (მარცხნიდან) ფაშა გულახმედოვი (სელექციონერი), რუსლან ალბოროვი (კომპლექსის გამგე), ალექსანდრე რეხვიაშვილი (მომშენებელი).

ფოტო თარხან არჩვაძისა

ბოლნისი. უძველესი ქართული მიწაა ეს, უძველესი საქართველოს სუნთქვა ისმის ყოველ ნაბიჯზე. ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია ამ მხარეს, ათასგზის გადაუბუგავთ და გადაუჯეგავთ, მაგრამ მაინც ვერ ამოძირკვეს სული ქართული.

მიწაც სხვანაირია აქ, ნახანძრალივით გამომწვარი და გამოტანჯული, დახეთქილი და დაშაშრული, დაჭრილივით მუდამ წყალს მონატრული.

აგერ ბოლნისისწყლის ნაპირზე წამომართული სიონი. თხუთმეტი საუკუნეა, ამაყად დგას ქართული ხუროთმოძღვრების ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი. თხუთმეტი საუკუნეა, მის კედლებზე ამოტვიფრული წარწერები გვამცნობენ ქართული მწიგნობრობის, ქართული კულტურის უძველესობას.

აი, აქ, ბოლნისის ხეობაში გაიმართა უთანასწორო ბრძოლა ქართველთა ჯარსა და ჯალალედინის ურდოს შორის. სასტიკ ბრძოლაში მრავალრიცხოვან მტერთან ქართველები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ჯალალედინმა მოაოხრა და დაარბია აქაურობა, შემდეგ კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მიჰყო ხელი.

რამდენი ასეთი ჯალალედინი ახსოვს ამ მიწას.

* * *

თითქმის ათი წელია, ბოლნისში არ ვყოფილვარ. ბევრი რამ შეცვლილა. ქალაქი გაფართოებულა, გამშვენიერებულა. მომრავლებულა თანამედროვე სტილით ნაგები სახლები. ძველი და ახალი კარგად შერწყმია ერთმანეთს. ბზინავს განთქმული ბოლნისური ტუფი, რითაც ასე მდიდარია აქაური საბადოები.

ისტორიული სოფლების ყორანთის, ველკეთილისა და სატრედოს ტერიტორიაზეა გაშენებული ბოლნისი. დასავლეთით ჯავახეთის ზეგნის კალთაჩამოშვებული, სამხრეთიდან ლოქის ქედი ესაზღვრება, ჩრდილოეთით ქციის ხეობაა. წინ, აღმოსავლეთით კი ფართოდ გაშლილი ველებია.

ბოლნისს შუაში მდინარე მაშავერა ჩაუდის, შემოდგომის მინურულს ასე წყალმარჩხი რომ მომეჩვენა, გაზაფხულობით მძლავრდება და ღონიერდება თურმე.

არქეოლოგიური გათხრებით დამტკიცდა, რომ აქ უძველესი დროიდან მისდევდნენ სამთო წარმოებას — რკინის დამუშავებას. აღმოჩენილია ანტიკური ხანის სახელოსნოს ნაშთები. ამ ტერიტორიაზე ოდითგანვე კარგად ხარობდა ვაზის სხვადასხვა ჯიში. განვითარებული იყო მეცხოველეობა.

დღეისათვის ბოლნისის რაიონში სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან ძირითადია მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მოჰყავთ საადრეო კარტოფილი. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, პოლიმეტალები, საამშენებლო მასალა — ტუფი.

მეცხოველეობას აქ დიდი პერსპექტივები აქვს. რაიონის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ტყე და ბუჩქნარია, დიდი ადგილი უკავია საძოვრებს.

* * *

პარტიის რაიკომში ხმელ-ხმელი, სანდომიანი სახის ახალგაზრდა კაცი გამაცნეს — ანზორ კოდიაშვილი, რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის პარტორგანიზაციის მდივანი. გადაწყდა, რატევანში წავსულიყავი და მის საქმიანობაზეც დამეწერა;

რატევანის მეურნეობა წლების განმავლობაში ჩამორჩენილი იყო, სულ სამიოდე წელიწადია, რაც მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ბუნებრივი იყო ჩემი სურვილი, გამეგო, რა მოხდა რატევანში, რამ განაპირობა წინსვლა.

ანზორს რაღაც საქმეები ჰქონდა რაიკომში. ხან ერთთან შევიდოდა, ხან მეორესთან. მეც თან დავყვებოდი. სადაც შევედით, ყველგან ერთსა და იმავე კითხვას აძლევდნენ — ჩამოიყვანეო? კიო, — უპასუხებდა ანზორი. ყოჩაღ, ძმაო, აფერუმ შენს ვაჟკაცობასო! — ალალად უხაროდათ შემკითხველებს, — კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო. რა ჩამოიყვანა ასეთი, ყველა რომ ასე ულოცავს და ასე უხარიათ-მეთქი, გავივლე გულში, — ალბათ მანქანა, — დავასკვენი, ხმამაღლა კი ვერ ვკითხე. მერე, მოსაღამოებულზე გავიგე ყველაფერი. თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა სულ ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული რაიონულ ცენტრს. შეუმჩნევლად გადადიხარ ქალაქიდან სოფელში.

ანზორ კოდიაშვილი და მთავარი ზოოტექნიკოსი სოსო მჭედლიშვილი მეუბნებიან: დირექტორი ადგილზე არ გახლავთ, თბილისშია წასული საქმეებზე და დღეს ალბათ ვერ ჩამობრუნდებაო. რა გაეწყობოდა. ხანდახან კაცის გაცნობა თურმე დაუსწრებლადაც შეიძლება თავისი საქმეებით, სხვათა მონათხრობ-მონაყოლით. საქმეები აგერ იყო, მთხრობელსაც რა გამოლევდა. ვისთან არ მომიხდა გასაუბრება, ერთი ძვირი სიტყვა არ დასცდენიათ რუსლან ქოხონელიძეზე.

ახალგაზრდა კაცია რუსლან ქოხონელიძე. საქმის მოყვარული, კარგი ორგანიზატორი, მომთხოვნი და სამართლიანი, კაცის გასაჭირის გულთან ახლოს მიმტანი. მან ნელ-ნელა, თანდათანობით ერთ მტკიცე ოჯახად აქცია მეურნეობა, თავგასულნი და მცონარენი ალაგმა, პატიოსნებას მეტი გასაქანი და სარბიელი მისცა. მუყაითნი და გამრჯენი გაამხნევა, წაახალისა და მხარში ამოიყენა.

მეურნეობის ხელმძღვანელი აპარატი მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ახალგაზრდები არიან აგრონომი, ზოოტექნიკოსი, პარტორგი, ბრიგადირები. თავდაპირველად არ ყოფნიდათ გამოცდილება, მაგრამ ჰქონდათ უმთავრესი რამ — ენთუზიაზმი, შეუპოვრობა, სითამამე, სწრაფვა ახლის ძიებისკენ, დაუზარლობა. ამ თვისებებს კი თუ საჭირო კალაპოტში მიუშვებ, მთებს დაძრავს!

დირექტორი, როგორც ვთქვით, ენდო მათ, ენდო და არც უნანია...

თვალს ახარებს ახალი ორსართულიანი შენობა, ნათელი, სადად და უბრალოდ მოწყობილი კაბინეტებით.

რატევანის საბჭოთა მეურნეობა რამდენიმე ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. ეს მოხდა 1968 წელს.

მეურნეობაში გაერთიანდნენ სოფლები: რატევანი, აკაურთა, ძველი ქვეში, საალარი, სენები, თაფანის დასახლება. გაერთიანებას სახარბიელო შედეგები არ მოუცია. მეურნეობას ძლივს გაჰქონდა თავი წლიდან წლამდე. უმნიშვნელო იყო მუშის შემოსავალი. ხალხს გული აუცრუვდა, სხვაგან ეძებდნენ სამუშაოს, ბევრი გარბოდა აქედან. მეურნეობა წაგებით ამთავრებდა ყოველ სამეურნეო წელს. ცუდი იყო შრომის პირობები, არ ჰქონდათ ტექნიკა, არ იყო ათვისებული სახნავ-სათესად ვარგისი მიწები. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს. აღმავლობის ხანა რატევანში 1978 წლიდან იწყება. ამ დროიდან მეურნეობა რენტაბელური გახდა, წარმატებით სრულდება გეგმა-ვალდებულებანი, იმატა მუშის თვიურმა შემოსავალმა, მეურნეობა მოღონიერდა და მოსახლეობაც.

მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებას რომ აპირებდნენ, პირველ რიგში საკვებზე დაფიქრდნენ. მეურნეობას საკმაოდ აქვს სათიბები, ბუნებრივი საძოვრები, ამის მიხედვით მოხდა მეცხოველეობის განვითარების მასშტაბების დადგენაც. მართალია, წინასწარ ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ. ვერ გაითვალისწინებ თუნდაც იმას,

# ბოლნისის უძველეს მიწაზე

ვახტანგ ხარჩილავა,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

როგორი კლიმატური პირობები იქნება ამა თუ იმ წელს. ამინდზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული. აქ ცხელი ზაფხული იცის. თუ წვიმები დროზე არ მოვიდა, ბალახი ცუდად იზრდება. ასეთ დროს საკვების გარედან შემოტანა უხდებათ რატევნელებს. ეს კი ძალიან ძვირი ჯდება. „აი, ამ ველების მორწყვა რომ შეგვეძლოს, — ინატრა ჩვენთან საუბარში სოსო მჭედლიშვილმა, — მაშინ მოგეცათ ლხენა, საკვები თავსაყრელად გვექნებოდა. თუ მორწყავ, აქ ისეთი მიწაა, სამჯერ გათიბავ ბალახს. ამაზეც უფიქრიათ ბოლნისელებს. უნდა დაგუბებულიყო ხრამი იქ, სადაც ყველაზე ვიწროა, თეთრი წყაროსა და ბოლნისის საზღვართან. შეიქმნებოდა ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც ორივე რაიონს უზრუნველყოფდა სარწყავი წყლით. უფიქრიათ და ხარჯთაღრიცხვაც შეუდგენიათ...

— ე, ეგ წყალსაცავი რომ გვქონდეს, — აგრძელებს სოსო ოცნებას, — სულ მოირწყვებოდა ეგ დისველი, თაფანს რომ ეძახიან აზერბაიჯანელები. აქ ისეთი ქორფა ბალახი იცის, სამჯერ, სამჯერ კი არა, ოთხჯერაც შეიძლებოდა გაგვეთიბა. ეს ნედლი, რძიანი ბალახი პირდაპირ მისწრებაა საქონლისათვის. გამომშრალ, გამოფიტულ ნამჯასა და თივას კი არა ჰგავს. ერთიორად ამაღლდებოდა წველადობაც, საქონლის წონაც.

— ამდენ ხარჯებს როდის აინაზღაურებდით? — ვკითხე.

— მაგ ხარჯების ამოღებას დიდი-დიდი სამი წელი დასჭირდებოდა, მეტი არა, — ჩაგვერთო საუბარში ანზორ კოდიაშვილი, — ნეტავ ეგ ამბავი გაკეთდებოდეს და...

მათი ოცნება ყველა ბოლნისელის ოცნებაა და ამ ოცნებას აუცილებლად სჭირდება ხორცშესხმა.

რატევნელებმა მთავარი გეზი მეცხოველეობისკენ აიღეს-მეთქი, რომ ვამბობდი, მეცხოველეობის დიდი კომპლექსის შექმნას ვგულისხმობდი. მოდით, ვესტუმროთ ამ კომპლექსს, გზადაგზა კი სოფელსაც გავეცნოთ.

აგერ რატევნელთა ზვრები. მათ 200 ჰექტარზე აქვთ გაშენებული ვენახი, ძირითადად რქაწითელი. ვენახისთვის ხელი არ დაუკლიათ, ვაზმა გაიხარა და გაილაღა. სარეკორდო მოსავალს ელოდნენ რატევნელები, მაგრამ ბოლნისელთა მუდმივმა მტერმა — სეტყვამ არც შარშან დაინდო ისინი. 100 ჰექტარი მთლიანად დაისეტყვა. 1.192 ტონა ყურძენი მაინც მოიწიეს და გეგმის შესრულებას სულ ცოტა დააკლდათ. ასეთ პირობებში ამის გაკეთება გმირობას უდრიდა. დღენიადაგ ვენახში ტრიალებდნენ ნესტორ და ვერიკო გოგოლაძეები, სტეფანე გოგებაშვილი, ეთერ ნიკიფოროვა და სხვები.

სოფელ აკაურთაში შევედით. ეს სოფელი მართლაც რომ ინტერნაციონალურია. გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები, ბერძნები. „ჭირიც ერთი აქვთ და ლხინიც, — მითხრა ანზორ კოდიაშვილმა, — ერთმანეთს მხარში უდგანან და მართლაც რომ შეხმატკბილებულად ცხოვრობენ“.

აღმართს ავუყევით.

— ირგვლივ, თვალისგაწვდენაზე რასაც ხედავ, სულ ორბელიანებსა და ციციშვილებს ეკუთვნოდათ, — მეუბნებიან სოსო და ანზორი.

ანზორ კოდიაშვილს ისტორია-გეოგრაფიის ფაკულტეტი დაუმთავრებია. ჯერ მასწავლებლობდა, შემდეგ პარტიის რაიკომში მუშაობდა, იქიდან კი რატევანში გადმოვიდა. ზედმიწევნით კარგად იცნობს თავის მეურნეობას, ადამიანებს. ყველას უყვარს აქ ანზორი თავისი გულისხმიერების, სიკეთის, სამართლიანობის გამო. მეურნეობის წარმატებებში მისი დიდი დამსახურებაცაა. თუმცა, თავად ამაზე არაფერს გვეუბნება. ადამიანების დარაზმვა, შეკავშირება, დარწმუნება ადვილი საქმე არაა და ყველას არ ძალუძს. რომ დაგიჯერონ, თავად უნდა იყო მართალი და პატიოსანი, — ეს კარგად იცის ანზორმა. პირადი მაგალითით, თავისი ცხოვრების წესით შეძლო მან მშრომელთა ნდობის დამსახურება. ანზორი სამი შვილის მამაა, კარგი მეოჯახე და კარგი მეურნე. ობლობაში გაზრდილმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა, ბევრჯერ სტკენია გული, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს სიყვარული ადამიანისადმი. თავისი ნიჭით და გარჯით გაიკვლია გზა ცხოვრებაში.

გულმა ვერ მომითმინა და ვკითხე: ყველა რომ გეკითხებოდა, ჩამოიყვანე თუ არაო, რაზე იყო ლაპარაკი-მეთქი. ანზორმა ჩაიღიმა და მითხრა: ეგ თქვენი წერილის მასალად არ გამოდგება, უფრო პირადული საქმეაო.

არ მოვეშვი. ასეთი ამბავი მიამბო ანზორმა:

— ხუთი თუ ექვსი წლისა ვიყავი, რომ დავობლდი, დედა ძმის მშობიარობას გადაჰყვა. სულ ახალგაზრდა იყო საწყალი. ძალიან კარგად მახსოვს მისი სახე, გარეგნობა, ხმა. დავრჩით ობლები. ომისშემდგომი მძიმე და ღარიბული წლები. ყველას უჭირდა. არ იშოვებოდა საკვები, ტანსაცმელი. გაჭირდა ჩვილი ბავშვის გამოკვება. მოკლედ რომ ვთქვათ, გადაწყვიტეს გაეშვილებინათ. რუსის ოჯახმა იშვილა ჩემი ძმა. გადიოდა წლები. წუთითაც არ დამვიწყებია, სულ მახსოვდა, რომ მყავდა უმცროსი ძმა. როცა ახლობლებს შევეკითხებოდი, სადაა-მეთქი, ხან რას მიპასუხებდნენ და ხან რას. წამოვიზარდე, ძებნა დავუწყე ძმას — შევაწრიალე მთელი რაიონი. გამოირკვა, რომ ისინი საქართველოდან წასულიყვნენ. ბევრი დავიდარაბა გადამხდა. როგორც იქნა, მივაკვლიე ჩემი ძმის ასავალ-დასავალს ვოროშილოვგრადის ოლქში. კეთილი და ღვთისნიერი ადამიანები აღმოჩნდნენ ჩემი ძმის გამზრდელები. გაიხარეს, ძმა მაშინ ჯერ კიდევ პატარა იყო და შეგვეცოდა, არ გავუმხილეთ ჩემი ვინაობა. 8 წლის განმავლობაში ისე დავდიოდით ერთმანეთთან, არ გაუგია არაფერი. ახლახან ცნობა მივიღე, დედობილი ავად გამხდარა (მამობილი კარგა ხნის გარდაცვლილია). ჩავედი. კიბო აღმოაჩნდა საწყალს. გადარჩენის არავითარი შანსი არაა, მომვლელიც არა ჰყავს ვინმე (ჩემს ძმას ისეთი პროფესია აქვს, დღეს რომ აქაა, ხვალ სხვაგან). ჩავკიდე ხელი და ჩამოვიყვანე ბოლნისში. ჩემი ძმის გამზრდელია, ჩემი ძმის დედაა, ესე იგი ჩემი დედაცაა. მოვლა-პატრონობას როგორ დავამადლი. ამას წინათ მითხრა: „ვიცი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, ერთსა გთხოვთ, დედაშენის გვერდით დამმარხეთ. შენი ძმისთვის ასე სჯობია, ორივე დედა ერთად ეყოლება, ორივეს ერთად მოგვინახულებს ხოლმე“.

სოსო მჭედლიშვილს თვალები მოწყლიანებოდა, ჩემი მზერა რომ დაიჭირა, გვერდზე გაიხედა — ეს ოხერი უკვე რამდენჯერ მესმის ეს ამბავი და ცრემლებს მაინც ვერ ვიკავებო, — ჩაილაპარაკა მორიდებით.

მადლობელი ვარ შენი, ანზორ კოდიაშვილო, კაცურკაცობისთვის, ადამიანურობისთვის! რატომ გიხდი მადლობას? — იმიტომ, რომ რამდენ კარგ ადამიანს შეხვდები ამ ქვეყანაზე, მით უფრო კარგი ხდები თავადაც, იწმინდები, მაღლდები, რწმენაც, სიყვარულიც და იმედიც გემატება.

არ შემიძლია, ორიოდე სიტყვა არა ვთქვა სოსო მჭედლიშვილზე, თავისი განუყრელი სვანური ქუდით და ცისფერი თვალებით ასე რომ ჰგავს სვანს. სინამდვილეში კახელი გახლავთ, თბილისში დაბადებული და გაზრდილი. საქმის სიყვარულმა, მიწის სიყვარულმა თბილისში არ გააჩერა სოსო. ჩამოვიდა ბოლნისში და დარჩა აქ. საქმისათვის თავდადებული და დაუზარელი, ძმობაში და მეგობრობაში გამტანი კაცია სოსო. თავად უნდა მოუსმინოთ, როგორ გულმხურვალედ, გატაცებით ლაპარაკობს, როცა რატევანზე ჩამოვარდება სიტყვა. მუდამ რაღაცას ფიქრობს, ეძიებს, რომ საქმემ წინ წაიწიოს.

— ისე შევეჩვიე აქაურობას, ჩემი თბილისელობა სულ გადამავიწყდა. ბოლნისელი ვარ, მორჩა და გათავდა! — ხუმრობს სოსო. ეს ხუმრობა კი არა, სიმართლეა. რა თქმა უნდა, იქაური ხარ, სადაც ილევი, შრომობ, ქვეყნის საქმეს აკეთებ. იქ უნდა დარჩეს შენი კვალი, იქაურებმა უნდა მოგიგონონ, მათ უნდა დასდონ შენს კაცობას ფასი. სოსოს ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია, უფრო მეტს კი მომავალში ელოდებიან მისგან რატევნელები.

უკან მოვიტოვეთ აკაურთა, მაღლობი ამოვიარეთ და აჰა, კომპლექსშიც მოვედით.

კარებში გვხვდება კომპლექსის გამგე რუსლან ალბუროვი. მკვირცხლი, ხალისიანი ახალგაზრდა. რუსლანი აქაურია. დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა.

თეთრი ხალათები წამოვისხით და შენობაში შევედით.

ამ კომპლექსს 1978 წელს ჩაეყარა საფუძველი. მისი ძირითადი დანიშნულება დეკეულების გამოზრდაა. რაიონის სხვადასხვა ფერმიდან შემოჰყავთ ძუძუთა ხბორები. მათ აქ ორ წლამდე უნდა დაჰყონ, შემდეგ კი უბრუნებენ იმ ორგანიზაციებს, საიდანაც წამოიყვანეს. ზოგჯერ სხვა რესპუბლიკებიდანაც ყიდულობენ ხბორებს, ზრდიან ორ წლამდე, შემდეგ კი ზოგს თავად იტოვებენ, ზოგს ყიდიან.

კომპლექსი სხვადასხვა განყოფილებად არის დაყოფილი.

საკარანტინო განყოფილებაში ახლად მოყვანილ ხბორებზე წარმოებს სამედიცინო დაკვირვება. ეს აუცილებელია, რადგან ადვილი შესაძლებელია, ერთმა დაავადებულმა საქონელმა მთელ კომპლექსს გადასდოს ინფექცია. კარანტინის გავლის შემდეგ ხბორები გადაჰყავთ მეორე განყოფილებაში, სადაც ორ თვემდე უნდა დაჰყონ. ასე თანდათან, ასაკის და წონის მიხედვით გადაჰყავთ დეკეულები ერთი განყოფილებიდან მეორეში.

საქონლის სადღეღამისო მატება



სურათზე (მარცხნიდან), ინსტრუქტორი ვალერიან დევნოზაშვილი და მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი სოსო მჭედლიშვილი.

# გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია „დროშის“ მკითხველთა სახელით სულითა და გულით მიესალმება სახელოვან იუბილარს — სამოცი წლის „კომუნისტს“, რომელსაც საქართველოში ალერსითა და სიყვარულით წინამძღოლ გაზეთს უწოდებენ.

გაზეთმა თავისი კეთილი წვლილი შეიტანა იმ დიდ გამარჯვებებშიც, რასაც ბოლო ხუთწლედების მანძილზე მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ.

საქართველოს კომპარტიის ძახილზე მუდამ წარმატებით [illegible] ჩვენი მშრომელი ხალხი, საყვარელო გაზეთო!

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლის თავთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება:

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა“

**ნანული ბარათაშვილს** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყოფილების გამგეს; **მიხეილ გორგილაძეს** — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს; **ლერი კიკნაძეს** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეს; **გურამ სამსონაძეს** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის უცხოეთის ინფორმაციის განყოფილების გამგეს; **გერასიმე ფირცხალავას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს; **ნოდარ ჯაველიძეს** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილების გამგეს.

### „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“

**ევგენია ბალაშვილს** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კორექტორს; **ვასილ გოლიკოვს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშას; **შოთა დავითურს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მბეჭდავს; **ლევან თოლორდავას** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მთარგმნელს; **ნოდარ მაისურაძეს** — რედაქციის ილუსტრაციის განყოფილების გამგეს; **სერგო მამალაძეს** — დამკაბადონებელს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საწარმოო განყოფილების უფროსს **ვახტანგ დოხნაძეს.**

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოება

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**გიორგი ბედინეიშვილი** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი; **ანასტასია ბედოევა** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის გამგე; **ლია გოგიშვილი** — რედაქციის მთარგმნელი; **ალექსანდრე ზურაშვილი** — პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე; **ვლადიმერ თორდუა** — კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის განყოფილების გამგე; **მარგარიტა ლეკიშვილი** — კორექტორი; **დავით მაჭავარიანი** — საკუთარი კორესპონდენტი; **გიორგი ნაჭყებია** — რედაქტორის პირველი მოადგილე; **ნორა ნორაკიძე** — უფროსი კორესპონდენტი; **ნანა ღვინეფაძე** — ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე; **იოსებ ყიფიანი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დისპეტჩერი; **რევაზ ხანთაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობი; **ლარისა ხუბულური** — კორესპონდენტი; **გივი ჩიქვინიძე** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის საბჭოთა მშენებლობის განყოფილების გამგე; **ვაჟა ჯალაღანია** — რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

### სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით დაჯილდოება

გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლის თავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა რედაქციის მუშაკთა ერთი ჯგუფი:

**ბაკურ ბახტურიძე** — კორესპონდენტი, **გურამ კალანდაძე** — მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე, **ვილენ მარდალეიშვილი** — კორესპონდენტი, **გელა ქოქიაშვილი** — რესპუბლიკური ინფორმაციის განყოფილების გამგე, **თენგიზ ყიფიანი** — პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, **გალინა ხარებაშვილი** — კორესპონდენტი.

---

**კომპლექსში 3000 სული საქონელია. პირუტყვის მოვლა მთლიანად მექანიზებულია, რის გამოც მუშახელიც ცოტა ჰყავთ.**

**თვით სამუშაოს ხასიათი ვერ მოითმენს აქ ზარმაცსა და უგერგილოს, კომპლექსის მომსახურე პერსონალიდან ყველა მოწინავეა. ძნელია რომელიმე მათგანის გამოყოფა. ყველა კეთილსინდისიერად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. ხოლო უკეთესთაგან უკეთესს თუ მაინც დავასახელებთ, გვერდს ვერ ავუვლით გულგას ხალილოვას. მას მეტად პასუხსაგები უბანი აბარია — უვლის ხბორებს ერთიდან ორ თვემდე. ამ ასაკში ხბო ძალიან მიზეზიანი და სათუთი მოსავლელია. ხალილოვას ერთ ადგილზე გაჩერებულს ვერ ნახავთ, დაკრიალებული აქვს იქაურობა.**

**— ამათ როგორ ულალატებს კაცი, — ამბობს გულგასი, — ისე შეგეჩვევიან, ზღურბლზე გადმოვდგამ ფეხს თუ არა, ერთ ამბავს ატეხავენ. მცნობენ. ბავშვებივით არიან, — ზოგი მხიარული ხასიათისა, ზოგი უფრო ნაღვლიანი, ყველას დროზე უნდა მიეფერო და მოუალერსო, თორემ განაწყენდებიან.**

**გულგას ხალილოვას ხბორები დღე-ღამეში თითქმის ნახევარ კილოს მატულობენ წონაში. ეს ძალიან მაღალი მიღწევაა.**

**საბია მამედოვა, ალადინ კასიმოვი და სხვებიც სასახელოდ შრომობენ.**

**კომპლექსს დიდი მომავალი აქვს. იგი მხოლოდ წელს ამუშავდება მთელი დატვირთვით.**

**კომპლექსის მუშაობაში არის ნინაღობები, რომელთა დაძლევისათვის გადასაჭრელია სხვადასხვა პრობლემები. უპირველესი პრობლემა რა თქმა უნდა, საკვებია, რატევნელებს, როგორც ვთქვით, ახლაც არ ჰყოფნით საკვები. წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა, როცა პირუტყვის სულადობა თითქმის ერთნახევარჯერ გაიზრდება. ხსნა ერთია: აუცილებლად უნდა გადაწყდეს მორწყვის საკითხი. სხვანაირად საკვების პრობლემა ვერ მოიხსნება.**

**გასაკეთებელია ხელოვნური დათესვლის შენობა.**

**საძოვარი ტერიტორიის უქონლობის გამო პირუტყვი ზამთარ-ზაფხულ დახურულ შენობაში იმყოფება. არადა კომპლექსს უზარმაზარი ფართობი აკრავს, რომლის შემოკავების შემდეგ საშუალება ექნებათ გარეთ გაიყვანონ საქონელი.**

**კომპლექსში გასახსნელია ბუფეტი. მუშა-მოსამსახურეებს ახლიდან უხდებათ სანოვაგის ზიდვა. მოსაგვარებელია მუშათა დასვენების, კულტურული მომსახურების საკითხიც.**

**რატევანში კომპლექსის გარდა მეცხოველეობის ორი ბრიგადაა. ეს ბრიგადები გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის მიყიდვის გეგმებს. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ბრიგადამ, რომელსაც ელგუჯა კოდიაშვილი ხელმძღვანელობს. ის ახლახან მიიღეს პარტიის რიგებში. კარგად მუშაობენ მწველავები დ. ლაზარიდი, მ. დევნოზაშვილი, ნ. ავქოფაშვილი და სხვები.**

**სულ ახლახან შეიქმნა მეღორეობის კომპლექსი 50 დედაღორზე. რატევნელებს 4000 სულამდე ცხვარიცა ჰყავთ. გათვალისწინებულია მეღორეობისა და მეცხვარეობის შემდგომი ზრდა.**

**რატევნელი მუშაკიც თვეში 200-250 მანეთს იღებს, ამას მივუმატოთ შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთიდან. ასე რომ, რატევნელები კარგად ცხოვრობენ.**

**რატევნის საბჭოთა მეურნეობაში რამდენიმე 8 წლიანი და ერთი საშუალო სკოლაა. აქვთ საბავშვო ბაღი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამრეწველო მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტი, სამედიცინო პუნქტი, სპორტული მოედნები. მუშაობს ქორეოგრაფიული სტუდია, თვითმოქმედი მხატვრული ანსამბლი, დრამატული წრე.**

**მშვენიერია რატევნელთა დღევანდელი დღე. გვწამს, რომ ხვალინდელი დღე უფრო კარგი და უფრო ლამაზი იქნება.**

**ვტოვებ ბოლნისს, მიხარია, რომ იქ, ჩემს ძველისძველ სახლში სიცოცხლე კვლავ ჩქეფს. მიხარია, რომ ისევ მძლავრად გიზგიზებს ცეცხლი კერაზე. ისევ ამაყად გადმომყურებს საუკუნეთა გადმოსახედიდან ბოლნისის სიონი...**





ჭაბუა ამირეჯიბი

გრიგოლ ლორთქიფანიძე

გიზო გაბესკირია

ლევან ნამგალაშვილი

კახი ხუციშვილი

ოთარ მეღვინეთუხუცესი

თენგიზ არჩვაძე

იური იარვეტი



# სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

მრავალსერიანი მხატვრული სატელევიზიო ფილმის „დათა თუთაშხიას“ შექმნისათვის 1981 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს გრიგოლ ლორთქიფანიძეს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიზო გაბესკირიას, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლევან ნამგალაშვილს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს კახი ხუციშვილს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ოთარ მეღვინეთუხუცესს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს თენგიზ არჩვაძეს და სსრ კავშირის სახალხო არტისტს იური იარვეტს.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია ჟურნალის მკითხველებთან ერთად მხურვალედ ულოცავს მათ ამ მაღალ ჯილდოს და უსურვებს ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

# ქებათა ქება რუსუდანს...



შვიდი წლის გოგონა იყო რუსუდან ხუნწარია, როცა მშობლებმა თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში მიაბარეს. რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ე. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით დაეუფლა იგი ფორტეპიანოზე დაკვრის ტექნიკას. ნორჩი პიანისტი სკოლის წლებშივე მონაწილეობდა სასკოლო თუ საქალაქო კონცერტებში, რადიო-ტელეგადაცემებში... თორმეტი წლისა კი უკვე სოლო კონცერტით წარსდგა მსმენელთა წინაშე და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

1966 წლიდან რუსუდან ხუნწარია სწავლას განაგრძობს მოსკოვის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში პროფესორ სტანისლავ ნეიჰაუზის კლასში, წარჩინებით ამთავრებს კონსერვატორიას, შემდეგ კი ასპირანტურას.

ქართველი პიანისტის მუსიკალურმა მონაცემებმა იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. აი, როგორ ახასიათებს თავის მოწაფეს სახელოვანი პედაგოგი ს. ნეიჰაუზი: „პიანისტის სტიქიაა ემოციათა მრავალფეროვანი სამყარო, ლირიკულობა და პოეტურობა, დინამიკურობა, დახვეწილი გემოვნება, უბრალოება, შინაგანი დამაჯერებლობა მოკლებული ყოველგვარ სიყალბესა და გარეგნულ ეფექტს“.

„რუსუდანი ორიგინალურად აზროვნებს, იგი მუდამ ცდილობს, იპოვოს შემოქმედებით ამოცანათა საკუთარი, თავისებური გადაწყვეტა; მასში ჰარმონიულადაა შერწყმული დიდი მუსიკალობა, მჭვრეტელობა და შთაგონება ალსავსე ნათელი ტემპერამენტითა და ჭეშმარიტი არტისტიზმით. და რაც მთავარია, რუსუდანი თავდადებული და გულწრფელი ხელოვანია“, — წერს პროფესორი იაკობ ზაკი.

1975 წელს რუსუდან ხუნწარიამ ლისაბონში (პორტუგალია) ვიანა და მოტას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატის საპატიო წოდება მოიპოვა.

„განსაკუთრებით მსურს, ალვნიშნო ახალგაზრდა პიანისტის რუსუდან ხუნწარიას დიდი წარმატება, რომელმაც იგი პორტუგალიელი მსმენელის საყვარელი მუსიკოსი გახადა. ჩემი აზრით, ამ მუსიკოსს დიდი მომავალი აქვს“, — წერდა კონკურსის ჟიურის წევრი, ცნობილი პიანისტი ლევ ვლასენკო.

რთულ შემოქმედებით პაექრობაში გამარჯვებამ, ბუნებრივია, ამ უნიჭიერეს პიანისტს ძალა შემატა, მეტი სტიმული მისცა მის საკონცერტო მოღვაწეობას. ამ პერიოდიდან იწყება რუსუდანის აქტიური საშემსრულებლო ცხოვრება. იგი დიდი წარმატებით გამოდის კონცერტებზე საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში, საზღვარგარეთ... მის გამოსვლებს ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევენ სპეციალისტები.

„დღეს რუსუდანი უკვე ჩამოყალიბებული, საკუთარი შემოქმედებითი ხელწერისა და სტილის, საკუთარი მანერის პიანისტია. მას აგრეთვე ახასიათებს დიდი პიანისტური თავისუფლება, ნიუანსირების სიფაქიზე და შესრულების მაღალი კულტურა“, — წერს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვლადიმერ კრაინევი.

ფართო და მრავალფეროვანია რუსუდან ხუნწარიას საკონცერტო რეპერტუარი — მოიცავს თითქმის ყველა ეპოქისა და სტილის კომპოზიტორთა მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. პიანისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დიდ დაინტერესებას იჩენს ქართული საფორტეპიანო მუსიკით; ასრულებს ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ გაბიჩვაძის და სხვა ცნობილ კომპოზიტორთა, აგრეთვე ახალგაზრდა, დამწყებ ავტორთა ნაწარმოებებს.

საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს, საქართველოს ფილარმონიის სოლისტს რუსუდან ხუნწარიას მრავალი საჯარო გამოსვლა და შემოქმედებითი პაექრობა ელის. გვჯერა, იგი კვლავაც სასახელოდ დაიცავს ეროვნული საშემსრულებლო კულტურის ტრადიციებს.

ეთერ ლონდარიძე



# სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე



მზე ჩადის.

თანდათან გაიკრიფა სანაპირო.

მთელი დღე ქვებთან მოჭიდავე ტალღა ჩაიფშვნა და ზღვის მდუმარე უდაბურებას შეერია. სანაპიროს გასწვრივ უსწორმასწორო, სველი ანაბეჭდი დარჩა, როგორც ბრძოლის წინა ხაზი, როგორც დროებითი საზღვარი წყალსა და მიწას შორის.

— ზღვა დაიღალა! — ამბობს ბიჭი და მუხლებზე მკლავებშემოხვეული გაჰყურებს ზედაპირშენაოჭებულ წყალს.

როდესაც ბიჭზე ვფიქრობ, ყოველთვის იმ დროს ვუბრუნდები, როცა ის არ არსებობდა. ალბათ ერთადერთმა სიყვარულმა იცოდა, რომ გარკვეული ხნის მერე მოვიდოდა, ჩვენ შორის ჩადგებოდა, ორ ნაპირს პატარა ხელებით შეაერთებდა.

მახსოვს:

ციოდა, სციოდა. აპრილის დასაწყისში რომ იცის ხოლმე ხანდახან — ისე. გამოტყუებულ სიმწვანეს აკანკალებდა.

ნაძვის ქვეშ ვიდექით. შენი მწვანე კაშნე მეხვია და კისერში უჩვეულო სითბო მეღვრებოდა. ღმერთო ჩემო! რამდენი ვინმე ატარებდა ასეთივე ნაჭერს, საწვიმარს შიგნით საგულდაგულოდ ჩაფენილს, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო...

გამოთხოვება ხანგრძლივი იყო და სევდიანი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შორეულ ნაოსნობაში მივდიოდი. თუმცა ის რამდენიმე დღე, შუალედი შეხვედრიდან შეხვედრამდე, მართლა რამდენიმე თვეს უდრიდა. ო, როგორ ულმობლად ნელა გადიოდა დრო, ვიდრე ბედნიერი შეხვედრის წამი დარეკავდა, ვიდრე ჩვენი თვალები უსიტყვოდ, მაგრამ მაინც ყველას გასაგონად გაიმეორებდნენ კაცობრიობისათვის უძვირფასეს სიტყვებს:

„ყოველთა დიდი არს სიყვარული".

ვიცი, ეს ყველაფერი, შეიძლება, ვიღაცამ მოსაწყენ გულაჩუყებად ან ზარბაზნების გრუხუნში ჩიტის სტვენად ჩამითვალოს, მაგრამ ჩვენ და ჩვენისთანები ხომ ამ სიტყვებს მოვყავდით, მოვყავართ და მომავალშიც ერთგულად გვატარებს, თუკი ადამიანში მისი ხატება არ ჩაქრება. თუ ასე მოხდა, გრანდიოზული კატასტროფაც მაშინ დაიწყება: გაქრება მღელვარება, თვალები აღარაფერს ეტყვიან ერთმანეთს და ნებისმიერი კაშნეც არაფრის გამხსენებელი, უბრალოდ საჭირო ნივთი იქნება.

ყველაფერს შევეჩვიეთ და აღარაფერი გვიკვირს. თითქოს ასე უნდა ხდებოდეს, ბალახი ამოდიოდეს, ხე ნაყოფს ისხამდეს, პურის თავთავი ყოველწლიურად მაინცდამაინც ხორბლის მარცვლებად უნდა გარდაიქმნას და არა მუხუდოდ ან ლობიოდ.

სიყვარულიც, მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს. სიყვარული — ყოვლისაღმშენებელი და ყოვლისშემძლებელი, მაგრამ უნდა გვაოცებდეს, ალამაზებდეს ჩვენს ცხოვრებას, როგორც ველური ყვავილების გვირგვინი, რომელიც თვითონ ბუნებამ დაწნა და ჩვენს სიცოცხლეს თავზე დაადგა.

თუმცა, არცთუ იშვიათად, ჩვენი ოცნებით სრულქმნილი ადრესატი, გარეგნული ბრწყინვალებით მოსილი ცრუ სიყვარული, უფრო ყულფში თავგაყოფილი კაცის ქვეშ შედგმულ სკამს წააგავს, რომელსაც ძალიან მალე ფეხს გამოკრავს სინამდვილე...

ეს უკვე მოჩვენებაა, სიყვარულის ნიღბით კიდევ რაღაც დადის ამ ქვეყანაზე, ადამიანის სახელისა და გულის გასატეხად.

ნამდვილი სიყვარული თამამია და შეუდრეკელი. გალიას და ბორკილს ვერ იტანს. თავისუფლების არ იყოს, ურჩევნია მშიერ-ტიტველმა იაროს, ვიდრე არამი კუტი ღრღნას და ანგარების ბაგაზე იყოს დაბმული.

არც ეს არის ახალი, ესეც უთქვამთ, სხვა ფორმით, სხვადასხვა ჟანრში, მაგრამ მაინც უთქვამთ. მერე შავდება რამე? ასი წლის წინ თუ ნაძვის ქვეშ ორი შეყვარებული საუბრობდა, ჩვენ აღარ უნდა ვმდგარიყავით?..

შენც კარგად გახსოვს:

მთელი დღე ხეტიალით მოქანცულები, უცებ პროვინციული ქალაქის სიცხითა და ყაყანით ჩახუთულ ბაზარში აღმოვჩნდით. მივყვებოდით დახლებს და ფასებს ყასიდად ვკითხულობდით. მერე მოხუცმა ქალმა, დანაოჭებული ტუჩები უკბილობის გამო რომ შიგნით შევარდნოდა, სევდიანი ღიმილით გიყურა, როგორ ასცანცლე ალუბლის კუნწულა მეზობელთან საუბარში გართულ გამყიდველს და პირმოდგმული ვედროდან, ჩაის გაბზარული, ხმარებისაგან ფერგახუნებული თეფშით მოზრდილ ტოპრაკში თუთა ჩაყარა.

— აიღეთ, შვილო! — გამოგვიწოდა.

— რა ღირს, დეიდა?

— ხილი იხილეთ, ფასს რას კითხულობთ!

— როგორ გეკადრებათ!.. — ჯიბეზე გავიკარი ხელი.

მოხუცმა უარის ნიშნად ხელები გაატატანა და ისეთი თანაგრძნობის მზერა გამოგვაყოლა, რომ მომინდა, მივბრუნებულიყავი, ნიკაპთან განასკვული, შავ თავშალში გამოკრული პატარა სახე დამეკოცნა.

ნეტავ სად არის ახლა ის ქალი? ყოველ თუთობას კიდევ თუ დააქვს სუფთა მარლაგადაფარებული სავსე ვედროები?

მოხუცები ერთმანეთს გვანან. ერთ დროს იმ ქალს დავემსგავსებით და ნეტავ ჩვენც თუ გაგვახარებს სხვისი სიყვარული! ანდა გამოვარჩევთ კი მილეთის ერთნაირი საზრუნავით დამძიმებული სახეებიდან, ამ უჩვეულო ბედნიერებით გაწამებულ კატეგორიას, სიყვარულის ასაკს, რომელსაც თანდათან, ჩქარი მატარებლის მგზავრებივით ვცილდებით და ხანდახან ვეჭვობთ კიდეც, ეს ყველაფერი სინამდვილეში იყო თუ არა — სიზმარმა ან ფანტაზიამ ხომ არ გვაჩუქა. მისი მომხიბლავი სიუჟეტი სხვის ბიოგრაფიას ან რომელიმე სამიჯნურო რომანს ხომ არ დავესესხეთ...

არა, ყველაფერი ასე მოხდა. მე იმ თუთის გემოც მახსოვს, ფოტოატელიეს წინ, ძელსკამზე ჩამომსხდრები ყუნწებს რომ ვაკვნეტდით და პირს ვიტკბარუნებდით. მერე უსაქმობით გაბეზრებული, ჭაღარა ფოტოგრაფიც გვერდით მოგვიჯდა. დიდი თავპატიჟი არ დაუწყია — ტოპრაკი სამივემ დავცალეთ.

მერე იმან (ფოტოგრაფმა)

გვითხრა: — ისეთი კარგი ვინმეები ჩანხართ, სურათი უნდა გადაგიღოთო... დაგვსხა, მიგვატრიალ-მოგვატრიალა. მკლავი შენი სკამის საზურგეზე დამადებინა. თავები ერთმანეთს მიუახლოვეთო, კი არ გვთხოვა, გვიბრძანა... ორ დღეში გამოიარეთ... ფული? რას ამბობთ, მინდოდა და გადაგიღეთ... რა ვიცი, მომეწონეთ, კარგი ვინმეები ჩანხართო...

ჩვენი პირველი ფოტოსურათი! მართლა „კარგი ვინმეები" ვართ, მტვრიანი ფეხსაცმლებით, მოღლილი სახეებით... ვილაცამ გვითხრა, ერთად არ უნდა გადაგეღოთ, ცუდის ნიშანიაო, — ვითომ ვისაც სურათი არ გადაუღია — ისინი არ დაშორებოდნენ ერთმანეთს.

„ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად..."

ჩაიარა ნაწამებმა ტრისტანმა და იზოლდამ...

წამიერად გაკრთა აბესალომის სარეცელთან მუხლმოყრილი ეთერის პორტრეტი...

მონუმენტივით აღიმართა „დე გრიესა და მანონის სევდიანი რომანი"...

ფეხისწვერებზე გაირბინეს სუნთქვაშეკრულმა ბავშვებმა — რომეომ და ჯულიეტამ...

ყველას ერთი აქვს საერთო — ერთი ნაბიჯი აკლდებათ ბედნიერებამდე; ყველასათვის ერთი ტრაგიკული ზარი რეკავს — ირღვევა მიწა და უფსკრულისკენ მიექანებიან. ასეთია მათი „არასრული ნეტარების" ფინალი.

მარტოა მედეას შემზარავი, ცალუღელა სიყვარული...

კენტად იწვის ხვარამზეს სიყვარულის სანთელი:

„ვინა ხარ, ვინ იარები,
ლალო, მაგ ლალის ცხენითა?
თავს რად არ შამაიბრუნებ,
ყანას რად მამკევ ცრემლითა?"

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს"...

— ცისფერია სიყვარული, რადგან ცა სილალის სიმბოლოა და შეყვარებული სულების სავანე, სადაც უხილავ სანთლებად ანთია უკეთილშობილესი გრძნობა. თავისი კუთვნილი „შესაწირი" ყველამ უნდა მიიტანოს და მაშინ უფრო გაადვილდება ცხოვრება, უფრო საინტერესო იქნება ადამიანთა ურთიერთობა...

●

მიმოვიხედე. ჩვენღა დავრჩენილვართ — მე და სილაში მოთამაშე ჩვენი ბიჭი.

— ზღვა დედამიწაზე დიდია?

— არა.

— თვალს ვერ ვუწვდენ, და...

— დედამიწაზეა და იმაზე დიდი როგორ იქნება?!

— დედამიწა ყველაზე დიდი და ძვირფასია ადამიანისათვის!

გამეცინა.

— ეგ ვინ გითხრა?

— შენ მითხარი და დავიხსომე.

— ყოჩაღ.

— კალთაში ჩაგიჯდები, რა...

— შეგცივდა?

— ცოტა. — მოხერხებულად მოკალათდა, თავი მკერდზე მომაყრდნო და ერთხანს გაისუსა.

— რაზე ფიქრობ?

— მოხუცები რატომ კვდებიან, თოფს არ ესვრიან და მაინც კვდებიან... ალბათ ღონე ელევათ და იმიტომ, არა?

— ალბათ.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, თორემ ღამე მეშინია ხოლმე, კარგი?

— კარგი!..

— ხვალ კარუსელზე დამსვამ?

— კი.

— რამდენჯერ?

— რამდენჯერ გინდა?

— ხუთჯერ!

— კარგი!

— არა, ექვსჯერ... — თავი დავუქნიე, — მოდი, უთვალავჯერ...

— მოდი...

— მომიყევი რამე დელფინებზე.

— ხომ მოგიყევი.

— კიდევ რა, გთხოვ... მეცოდებიან დელფინები.

— რატომ?

— ადამიანებს სულ ეხმარებიან, თვითონ კი რა უჭირთ, ვერ ამბობენ — იქნებ შიათ, იქნებ დედა უნდათ.

— დედა შენც ხომ არ მოგენატრა.

— ჰო... დედა ყველას ყავს?

— კი.

— ბალახსაც?

— ბალახსაც!

— ესე იგი სულიერია და სტკივა, ჩვენ კი ზედ დავდივართ.

— მაშ, რა ვქნათ!

— არ ვიცი... ალბათ ფრთხილად უნდა ვიაროთ ქვებზეც, ბალახზეც, მიწაზეც...

„თქვენს ბავშვებს სათნოება ასწავლეთ. მხოლოდ სათნოებას და არა ფულს შეუძლია ბედნიერების მოტანა" — წერდა ბეთჰოვენი თავის ძმებს.

მომხიბვლელი და ამავე დროს სახიფათოა სათნოება, ბედნიერების გარდა დიდ ქარიშხლებსა და გართულებებს ჰპირდება მის მფლობელს, მაგრამ მაინც სათნოება — ჭეშმარიტი სიყვარულისკენ მიმავალი, ყველაზე გამოცდილი და საიმედო მეგზური...

ვდგებით. პირსახოცებს ხელჩანთაში ვაწყობთ და მივდივართ. ძალიან ფრთხილად ვაბიჯებთ ქვებს, ბალახს, დედამიწას, რათა ჩვენი სიმძიმით რამე არ ვატკინოთ.

# გარმი ითხოვს დაცვას

## ლუარსაბ ეგოროვი

● ჩამწყვდეული ნადირივით ღმუოდა პანჯი. გაავთრებით ეხეთქებოდა ქვებს და თეთრად აქაფებული ისროდა შხეფებს.

1929 წლის აპრილი იდგა.

ის-ის იყო დილაბნელი აიშალა, რომ საბჭოთა ტაჯიკეთის საზღვარი ბასმაჩების ბანდამ გადალახა. შვიდასამდე იყვნენ, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი.

ბანდის მეთაური ფუზაილი სასტიკი და თავშეუკავებელი ხასიათის ადამიანი იყო. ახლაც მოუსვენრობა ეტყობოდა. ატამანი აქეთ-იქით დააგელვებდა გახვითქულ შავ იორღას და გზისკენ გაურბოდა თვალი.

დასაზვერად გაგზავნილი პიმენოვი აგვიანებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაადგა საშველი.

— როგორ არის საქმე? — შორიდანვე შეეხმიანა ატამანი პიმენოვს და გახვითქული იორღა შეაჩერა.

მზვერავის სახეზე მღელვარების ნატამალიც არ ჩანდა.

— კარგად! — პიმენოვმა ცერი შემართა და მაშინვე დასძინა, — ძალიან კარგად!

ფუზაილი გამჭოლავად ჩააშტერდა მოსაუბრის მოცისფრო თვალებს და კბილებშუა გამოსცრა:

— თქვი!

— წითლები არ ჩანან.

— შეგვიძლია, ავიღოთ ქალაქი გარმი?

— თავისუფლად.

პიმენოვმა რუკა გადაშალა და თითი გააყოლა ზედ:

— აი, აქამდე გზა თავისუფალია. ამას იქით კი, ალაჰმა უწყის, რა მოგვილის.

— ალაჰი ჩვენს მხარეზეა.— ბანდის მეთაური უკვე კარგ ხასიათზე იყო, — ცოტა შევისვენოთ და იერიშზე გადავიდეთ. გასაგებია?

...ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა.

მოხუცმა კაცმა სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა გარინდებული ქუჩა, მესერით შემორაგულ სახლთან შეჩერდა და ჭიშკარზე დააკაკუნა.

ძაღლი აყეფდა.

— ვინ არის მანდ? — კარმა დაიჭრიალა და ოთახიდან საშუალო ტანის, მკვრივად შეკრულმა კაცმა გამოიხედა.

— მე ვარ... ტელეგრაფისტი.

ეზოში ჩამოსულმა ტამბუდურმა გაავებულ ძაღლს დაუცაცხანა. [illegible] შეშფოთებული თვალები შეაგება ახლად მოსულს.

— ალბათ ცუდი ამბავი მოიტანე, არა?

გარმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს კრავჩუკს გუმანმა არ უმტყუნა.

მოხუცმა უსიტყვოდ გაუწოდა დუშამბედან ახლად მიღებული დეპეშა.

კრავჩუკმა სწრაფად გადაიკითხა მოხუცის ნაცნობი ხელით ჩაწერილი ტექსტი: „გარმი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს კრავჩუკს. ბასმაჩების ბანდამ გადმოლახა საბჭოთა ტაჯიკეთის საზღვარი და გარმისკენ მოიწევს. მოაგვარეთ ქალაქის დაცვა. გამოგიგზავნით დამხმარე ძალებს. შუა აზიის სამხედრო ოლქის მხედართმთავარი დიბენკო".

მოხუცმა სწრაფად მიმოავლო თვალი ოთახს. ირგვლივ სანიმუშო წესრიგი სუფევდა. კრავჩუკი ახლად გადმოყვანილი იყო გარმში. ცოლ-შვილი ჯერ კიდევ დუშამბეში ჰყავდა და ამ პატარა სახლში თვითონ მარტო ცხოვრობდა.

— ჩაიწერეთ, დუშამბეში გადასაცემ ტექსტს გიკარნახებთ და ჩაიწერეთ.

ბეჭებში წახრილ მოხუცს კრავჩუკი სწრაფად და ხმადაბლა უკარნახებდა: „მაცნობეთ რამდენი კაცია ბანდაში, ვინ მეთაურობს მას. ვიბრძოლებთ უკანასკნელ ადამიანამდე. კრავჩუკი".

...მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ლუარსაბ ბოსტაშვილი ბედმა ხან სად ატარა, ხან სად. ბოლოს გარმში მოხვდა და იქ დაიდო ბინა.

უცოლშვილო კაცი იყო ბოსტაშვილი. დინჯი, უთქმელი. მარტოდმარტო ცხოვრობდა.

ცხენსაშენში მუშაობდა, თავს ირჩენდა და არავის აწუხებდა.

იმ დილითაც ადრე წამოდგა ლუარსაბი. კარგ ხასიათზე იყო. წაიღიღინა. სწრაფად დაიბანა პირი. წაისაუზმა და ქუჩაში გავიდა.

როცა ცხენსაშენში მივიდა, მზე უკვე ამოწვერილიყო. ირგვლივ ნუშები ყვაოდნენ და გაზაფხულის საამო სურნელი იფრქვეოდა.

„შემოდგომაზე აუცილებლად წავალ საქართველოში“, გაიფიქრა ბოსტაშვილმა და მოფრუტუნე ცხენებს გადახედა.

ფიქრს ფიქრი აება.

გაახსენდა დედა, და-ძმა, სიღნაღის გადასახედიდან ხელისგულივით გაშლილი ალაზნის ველი, ახლობლები, ტოლ-სწორები...

— ახალი ამბავი გაიგე? — მოულოდნელად ჩაესმა ყურში ფიქრებში გართულ ლუარსაბს.

ახედა. ცხენსაშენის ერთ-ერთი თანამშრომელი წამოსდგომოდა თავზე.

— რა ამბავი?

— რა და... — მაღალ-მაღალმა კაცმა შეიყოვნა და მიახალა, — საცაა ბასმაჩები შემოიჭრებიან ქალაქში... ხალხს ამოჟლეტენ... ყველა გარბის.

— ბასმაჩები?

— დიახ, ბასმაჩები! ორი ათასი შეიარაღებული ბასმაჩი ქალაქთან დგას და შეტევისათვის ემზადება... გაიქცევი?

ბოსტაშვილი წამოდგა.

— არსადაც არ გავიქცევი!

— გასაგებია! — მაღალ-მაღალმა კაცმა გაიღიმა, — მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ხარ და არ გეშინია. გჯერა, რომ ხელს არ გახლებენ. მართალს არ ვამბობ?

ბოსტაშვილი აილეწა.

— პატიოსან კაცს არავის და არაფრის ეშინია... ვნახოთ, როგორც გული მიკარნახებს, ისე მოვიქცევი.

წუთის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

ვიდრე ქალაქი ძალთა მოკრებას მოასწრებდა, საჭირო იყო დროის მოგება და ბასმაჩების შეჩერება.

სახელდახელოდ შეიქმნა მოხალისეთა პატარა ჯგუფი, რომელშიც თორმეტი მასწავლებელი, სამი ჩეკისტი, ქალაქის საბჭოს და სახელმწიფო ბანკის თანამშრომელი გაერთიანდა.

ეს პატარა ჯგუფი რამდენიმე საათი გმირულად იცავდა ქალაქის მისადგომებს. როცა გაშმაგებულმა ბასმაჩებმა მიუვალ კლდეებში ჩასაფრებული მოხალისეთა ჯგუფის ყველა წევრი ამოხოცეს, გარმისკენ გზა უკვე გახსნილი იყო.

ქალაქი პანიკამ მოიცვა.



ლუარსაბ ბოსტაშვილი

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა

ქალაქის საბჭოს პატარა, დაბალი შენობა შტაბად გადაქცეულიყო. მკლავებაკაპიწებული კრავჩუკი აქეთ-იქით დარბოდა და განკარგულებებს იძლეოდა.

— თქვენ რა გინდათ აქ? — იკითხა გაოცებულმა კრავჩუკმა, როცა მის წინ ატუზულ ბოსტაშვილს შეავლო თვალი.

— ქალაქის დამცველთა რაზმში ჩამწერეთ და იარაღი მომეცით.

კრავჩუკი შეცბა.

— თქვენ? თქვენ მოგცეთ იარაღი? — საბჭოს თავმჯდომარემ მხრები აიჩეჩა და შესძახა — არასოდეს!

— ამხანაგო კრავჩუკ...

— ვინ არის თქვენი ამხანაგი?! მიბრძანდით! თქვენ მეფის არმიის ოფიცერი იყავით და იარაღს ვერ მოგცემთ...

— მომცემთ! მე იარაღის ხმარება ვიცი და მომცემთ!

ბოსტაშვილის ხმაში ფოლადი წკრიალებდა.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ქეჩო მოიქექა.

მის წინ იდგა საშუალო ტანის, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი, იდგა და ყავისფერი თვალებით გულმართლად, მოთმინებით შესცქეროდა სახეში.

მთელი ღამის განმავლობაში გარმის თავდაცვის შტაბს კავშირი არ შეუწყვეტია დუშამბეში მყოფ შუა აზიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალთან.

უკანასკნელი ცნობა მოხუცმა ტელეგრაფისტმა მეორე დღეს გადასცა დუშამბეს: „ტყვიები აღარ გვაქვს. ბასმაჩები უკვე ქალაქში არიან. სად არის დამხმარე ძალები? ჩქარა... გვიშველეთ... ჩქარა!“

გადაცემის ლენტა მოულოდნელად შეწყდა.

შეწყდა და აღარ გაგრძელებულა.

იმის შესახებ, თუ რა მოხდა ქალაქ გარმში, 1929 წლის 30 აპრილს დაწვრილებით იუწყებოდა ტაშკენტის გაზეთი „კრასნაია ზვეზდა“.

აი, რას წერდა იგი:

„რომ არ დადუმებულიყო აპარატი, ის წვრილ ლენტაზე დაბეჭდავდა ყოფილი მეფის გვარდიის კაპიტნის ბოსტაშვილის გმირული სიკვდილის ამბავს.

ის გვიამბობდა, რომ 1929 წლის 23 აპრილის განთიადზე ფუზაილის მხედრებისკენ მიმართული რამდენიმე თოფიც დადუმდა. ადამიანები, რომლებსაც ისინი ეჭირათ, ტყვიების წვიმის ქვეშ უსულოდ ეყარნენ.

მაშინ უფლებაჩამორთმეულ გვარდიის ყოფილ კაპიტანს საშუალება მიეცა სისხლით მოეპოვებინა რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი მოქალაქის სახელი.

მოქალაქემ, ამხანაგმა ბოსტაშვილმა, თავის თავზე აიღო ყველაზე საშიშ პუნქტზე ცოცხლად დარჩენილი რამდენიმე საბჭოთა მუშაკისაგან შემდგარი პატარა რაზმის მეთაურობა.

ბასმაჩები კარგად ხედავდნენ ბოსტაშვილის ფიგურას. მათ ყურამდე გარკვევით აღწევდა პატარა წითელი რაზმის მეთაურის მკვეთრი ხმა: „ცეცხლი რევოლუციის მტრებს!“

ლუარსაბ ბოსტაშვილი ბოლომდე გმირულად ებრძოდა მტრის ჭარბ ძალებს. პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. სასიკვდილოდ დაჭრილი ლუარსაბი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ფუზაილი წაადგა თავზე.

ბასმაჩების თვალებჩაწითლებულმა ატამანმა ზიზღით დახედა მიწაზე გაშოტილ ვაჟკაცს და გაბოროტებით დაიღრიალა:

— კოპკარი!

ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოსტაშვილი ცხენზე გამოებათ და ისე ეთრიათ...

... ბასმაჩები ლოცულობდნენ.

საზეიმო ხალათში გამოწყობილი, მოლებით გარშემორტყმული ფუზაილი მეჩეთის პარმაღთან იდგა და ხელებაპყრობილი ლოცულობდა:

— ალაჰმა გამარჯვება გვარგუნა. მალე ყველა ბოლშევიკს ამოვხოცავთ და, ალაჰის წყალობით...

მისი სიტყვები ტყვიამფრქვევის კაკანმა დაფარა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

წითელი არმიის ნაწილები „ვაშას“ ძახილით შემოიჭრნენ ქალაქში.

გალეშილი ბასმაჩები უმწეოდ აწყდებოდნენ აქეთ-იქით.

— თავს ვუშველოთ! — ყურში ჩაუჩურჩულა პიმენოვმა გაოგნებულ ატამანს და ცხენს მოახტა.

როცა ბასმაჩებმა დაინახეს, რომ ფუზაილიც ცხენს მოახტა და გაქუსლა, იხუვლეს, აირდაირიენ და თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ.

ხმალამოწვდილი წითელარმიელები „ვაშას“ ძახილით მისდევდნენ მტერს.

* * *

გარმი ძაძებით იყო მოსილი.

ბასმაჩებთან უთანასწორო ბრძოლაში დახოცილ გმირებს ასაფლავებდნენ.

სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სამოქალაქო და სამხედრო პირები.

დინჯი, მოზომილი ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე სამხედრო კომისარი ფედინი. წამით შეიყოვნა და დაბოლმილი ხმით დაიწყო:

— ამხანაგებო, მათ შორის, ვისაც დღეს საუკუნოდ მიიბარებს ტაჯიკეთის მიწა, არის გვარდიის ყოფილი კაპიტანი ლუარსაბ ბოსტაშვილი. იგი გმირულად დაეცა ნათელი საქმისათვის ბრძოლაში.

ბინძური ნაძირალები, რომლებიც ისტორიამ საბჭოთა საზღვრის იქით გადაისროლა, ვერასოდეს გაიგებენ საიდან გაჩნდა ის საოცარი ძალა, რომელმაც ოქტომბრის მეთორმეტე წლისთავზე, მეფის გვარდიის ყოფილი კაპიტანი წითელი გვარდიის მტკიცე ჯარისკაცად, საბჭოთა ქალაქის, გარმის, სახელოვან დამცველად გარდაქმნა...

საძმო საფლავზე ახლა ტანწერწეტა ალვის ხეები შრიალებენ. გმირი მებრძოლების პატივსაცემად აღმართულ ობელისკთან, ხშირად მოდიან მშრომელები.



# ცრემლი ვაზისა

ომარ გოჩელაშვილი

მოთხრობა

გიო პაპამ ბოლო ვაზს შემოუარა, ნაკვირტი დედაფოთლები და ქირქანა მხარები შემოაცალა, სამამულო რქის ლორთქო ყლორტს მიესათუთა და შვებით ამოისუნთქა; მარჯვენა ხელის სალოკი თითით შუბლზე წვეთებად დამსხდარი ოფლი მოიწურა და ზვარს გაერიდა.

— დაილოცე, ძირკურთხეულო! — ხმამაღლა თქვა ფიქრი ბერიკაცმა; ჩაიმუხლა, მწვანეში ჩაჯდა, რომ შეესვენა და ვაზების მზერით დამტკბარიყო.

გულის ჯიბეზე მოიფათურა ხელი, სიგარეტი და ასანთი მოიძია.

— ვერ იქნა და ვერ მოვიშორე ეს სატკივარი, — სინანულით ამოიჩურჩულა, შუბლი შეიჭმუხნა; დიდმა სატკივარმა შეახსენა თავი, გულზე ნემსკავივით რომ მოეჭიდა და მოქაჩა.

თამბაქოს წევა მაშინ დაიწყო გიო პაპამ, დათო-ბიჭის დაღუპვის ცნობაც რომ მიიღო. უფრო ადრე ვაჟა და ნიკო შეეწირნენ სამშობლოს. უმრწემესი შვილის სიკვდილმა უფრო გატეხა მამა, დარდი გულში ჩაიხვია, თითქოს ტყვია ჩაიდუღა და ვარამის გასაქარვებლად თამბაქოს მიეტანა.

მოხუცმა ზვარს გახედა.

„თუ იდარა, ხვალ შევწამლავ და მორჩა! ორ-სამ დღეში აყვავილდება და მერმე შიგ აღარ შეისვლება. ტყუილად კი არ უნატრია ამ ძირმადლიანს: „ნეტავ, ხრილობაში პატრონი ავად გამიხდესო! ისრიმობა რომ დადგება, ე, მაშინ გავფურჩნი კიდევ და შევწამლავ. ერთი ორჯერ მოხვნა და გათოხნა კიდევ დასჭირდება. წელს ბარაქიანადასხია და უნდა მაამოს“.

შვილები რომ ფრონტზე დაეღუპა გიო პაპას და უძეოდ დარჩა, ფიქრდარდიანი გახდა. ზვრის მოვლასიყვარულში თრგუნავდა ბოღმას, თითქოს ვაზები მისი ნვრილფეხობა იყო, მისი ნაბუდარი; ზვარში ათენებდა და აღამებდა ბერიკაცი.

განა დიდი ვენახი ჰქონდა გიო პაპას? ჰა და ჰა; ერთი ჩარექი თუ იქნებოდა. ბერიკაცს მუდამ მოვლილი, სამაგალითო ზვარი ედგა.

შრომა-ამაგისათვის პენსია დაუნიშნა კოლმეურნეობამ, გული მაინც არ უსვენებდა, საერთო ზვრების მოვლაშიც წილს იდებდა.

სიგარეტი ბოლომდე ჩაიფერფლა ბერიკაცის ხეშეშ თითებში და ფიქრს თავი წაართვა, გამოერკვა. საალაზნოზე საღამო ჩამოწოლილიყო.

წამოდგა, თვალით დაემშვიდობა ზვარს და შინისკენ გასწია.

ალაზნისპირიდან სოფლამდე კილომეტრზე მეტი გზა იყო, შინ კარგა დაბინდებულზე თუ მიაღწევდა.

„დედაკაცი ვახშამს გაამზადებდა. ერთ ჭიქა „საფერავსაც“ დავაყოლებ დღეს, დაღლილზე მომიხდება, ჯანს შემმატებს. დილაადრიან კი უნდა ავდგე, მზენათობამდე წამლობის თადარიგს დავიჭერ“, — ფიქრობდა გზადმიმავალი.

საურმე გზა გალია და ასფალტიანს დაადგა. ავტომანქანები, ერთურთის გასწრებას რომ ლამობდნენ, გვერდს შუქფართა ბრდღვიალით უვლიდნენ.

„სად მიეჩქარებათ ნეტავი? ჰაი, დედასა! ჩემს ყმაწვილობაში, დიდი წვიმების დროს ისე ალაფდებოდა ეს გზა, ურემს ძლივს გავიტანდით ხოლმე. ახლა კი?! ამ მანქანებივით სწრაფობს ცხოვრება!

რა იქნება ოციოდე წლის მერმე, ჰა? მე ველარ მოვესწრები, ალბათ. ჩემი კოჟანდარა დათო-ბიჭი კი იხილავდა იმ დროებასა. ღმერთმა დასწყევლოს ომის სახსენებელი!“

კვლავ ნაღველი შემოაწვა ბერიკაცს, წელში მოიმშვილდა.

„დუქანში შევლა არ გადამვარდეს გულიდან, თორემ უპაპიროსოდ დავრჩები“.

სოფლის სასადილოსთან შეჩერდა, შეყოყმანდა—იქიდან მთვრალთა ღრიანცელი მოისმოდა. გიო პაპამ ხმა შეიცნო.

„ი, ღვთისაგან გარეგანი ბახვა ღრეობს თავისი ამფსონებით. ჰაი, დედასა, სად ჰყავთ პატრონი? კაცს შიგ აღარ შეესვლება“.

ფრთხილად, დაზარებით შეაღო კარი, მოქეიფეთ თვალი აარიდა და დახლს მიუახლოვდა, ღიპადქცეულ კურატა მებუფეტეს სიგარეტისათვის ხურდა მიაწოდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — აკიჟინდა სუფრა.

მოხუცმა კუშტად მიხედა, თავის დაკვრით მიესალმა.

— აბა, დაგვლოცე, ბაგეთაფლიანო! — წამოიმართა ბახვა.

ბერიკაცმა დუმილი არჩია.

„მუდამ აუღებელი სუფრა აქვს ამ ბედოვლათს. ათი წელია სწავლობს და ჯერაც არ დაუმთავრებია, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგისგან აგრონომი არ დადგეს“.

მარცხნივ ნოდარა ეჯდა ბახვას, კულულებად დაყრილი თმა მხრებამდე სცემდა. მარჯვნივ „ჭინჭყლა ვანა“ უმშვენებდა თამადას მხარს. ვანა რა გზით იხვეჭდა საქეიფო ფულს, კაცმა არ იცოდა, მაგრამ ხარჯვაში ტოლს არ დაიდებდა.

„სტიოპკას“ კი ვინ არ იცნობდა, ყმაწვილბიჭობაში „მოსკვიჩით“ დაჰყავდა სოფელ-სოფელ მგზავრები. მერე „ჟიგული“ იყიდა... ახლა კი ახალთახალ „ვოლგას“ მართავდა. კვლავ გულმოდგინედ „ემსახურებოდა“ უტაქსოდ და უავტობუსოდ დარჩენილ მგზავრებს.

მეხუთეს „შამაია პეტოს“ ეძახდნენ. ალაზანში ფეხდასველებული არავის ენახა იგი, ხიზილალა და ლოქო კი გამოულევლად ჰქონდა, ქელეხებში მისი იმედით იყვნენ.

გიო პაპას არ უნდოდა ამ სოფლის არაშვილებთან თავის გაყადრება. ამიტომ იჩქარა, გასასვლელს მიაშურა.

— ეს ულვაში გამპარსონ, თუ აქედან ისე გაგიშვა! — შესძახა ბახვამ.

მოხუცმა ბახვას თვალი გაუსწორა და მიხვდა, ისე ვერ გაეცლებოდა, თუ სუფრას არ დაულოცავდა. სიტყვა აღარ დაუძრავს, მორჩილად ეახლა.

— კეთილი და კარგი ლხინი! — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა.

მოპირთავებული ჭიქა შეაგებეს.

— ვინც არ შესვას, კაცი არ იყოს! — დაასინდისა ბახვამ და სათამადო ადგილს დაუბრუნდა.

— გაგიმარჯოთ, შვილებო!

ნოდარა ამფსონებისკენ შევიწროვდა და სტუმარს სკამი შესთავაზა.

— გმადლობთ და კარგად იყავით! — იუარა გიო პაპამ.

— ისეთი სადღეგრძელოა, რომ არ დალიო, არ იქნება! — მკერდზე მჯილი დაიბაგუნა ბახვამ. — ომში დაღუპულებს გაუმარჯოს! — პაპა გიოს ბიჭების თამადობით გაუმარჯოს იმათ! ცოცხლად გაუმარჯოს!

გული შეუქანდა ბერიკაცს; მისი შვილების სადღეგრძელოს სვამდნენ არაკაცები, მაინც კეთილი გულით სვამდნენ და როგორ ეთქვა უარი?! სახეზე ანაზდად ნაოჭები გაუმრავლდა და ჩამოღვენთილმა კურცხალმა ჭაღარა წვერი დაუსველა.

— აბა, ჩამოჯექი და ისეთი პური გაჭამოთ, სამოთხეშიც ინატრო. — მოხუცი ძალისძალად დასვა, — აბა, რობერტავ, ხუთი ბოთლი მოაშველე სუფრას! — გასძახა მებუფეტეს ბახვამ.

„ე, რა ხალხს გადავეკიდე, კაცო! რას იტყვის სოფელი? დაუშტვინე ბახვასა და მის ამფსონებთან იქეიფაო. არ გინდა, ახლა თავი დაალნიო ამათ?“

— ჯერ აზამბარში უნდა გამოგიყვანოთ, გიო პაპავ, ერთი ჭიქაც ვალი გაქვს! — ბახვამ ბოთლი კვლავ სასმისში ჩააყუდა.

თვალი ავად აუთამაშდა ბერიკაცს, მეინახეთ გადახედა: გულსავსედ იჯდა „შამაია“, ლოყებდაბერილი სახე თითქოს ჩამოზეთოდა, შუქზე უპრიალებდა, ბედმადლიერი კაცივით ილიმებოდა.

— აბა, თაფლო კაცო, თქვი რაღა! — ჩააცივდა ბახვა.

— ვერ დავლევ, შვილებო! — ჭიქა მისწია მოხუცმა და წამოდგომა დააპირა.

— ჩვენ რომ ვსვამთ, განა თავი სანეხვეზე გვიპოვნია?! — განყრა ბახვა, ბერიკაცის ნაჯაფარ მხარს ტორით დაანვა და სკამზე დასვა.

— ეს ჭიქა უნდა აითვისოს! — კრიჭაში ჩაუდგა ნოდარაც.

— კეთილი ყურით გამიგონეთ, შვილოსა, — შეგონებაზე გადავიდა მოხუცი, — თქვენ გამოშვებული ხარივითა ხართ, მე კი — დამაშვრალი ჯაფითა. მასპინძლობისათვის მადლობა, ახლა კი ჩემს გზას ვეწევი. ხვალ ადრიანად ვარ ასადგომი, ვენახი უნდა შევწამლო!

— ვენახი სად გაგექცევა, მოხუცო, ჯერ დანურული დავლიოთ.

— ეს ჭიქა ვაპატიოთ, ბიჭებო! წინადადება შეიტანა თამადამ, — ახლა რომ სადღეგრძელოს ვიტყვით, იმას კი დალევს. აბა, ფეხზე ადგომით გაუმარჯოს ამ ჯადოსნურ სითხეს. ღვინო არ იყოს, კაცი კაცობით არ იქნებოდა, ძმაკაცს ძმაკაცი უღალატებდა. ქართველი უღვინოდ ვის გაუგია?! ღვინოსა და საქართველოს გაუმარჯოს, პურმარილი არ მოგვკლებოდეს! — ბახვამ დაცლილი ჭიქა ცერზე დაიწრიტა. — ალავერდი შენთანა ვარ, ბერიკაცო! თუ არ დალევ, ქართველი არა ყოფილხარ, არც ვაზი გვყვარებია და არც ჩვენი ქვეყანა!

„მთლად გაევერანებულან და ესაა! ვის ნაოფლარს სვამენ ასე უხვად და ურცხვად?“ — აგულზვავდა ბერიკაცი, გულში ჩაგროვილმა ბოღმამ ამოხეთქა:

— თქვენ ღვინის ყადრი არ იცით, შვილოსა, სმა არ იცით!

— ჩვენზე ამბობ, გიო პაპავ?! — გაიკვირვა ნოდარამ.

— ჰო, თქვენზე... ჭიქების დაცლა ქეიფი როდია. არც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაქლაქია ვაზისა და ხალხის სიყვარული! ვაჟკაცობა სუფრასთან კი არა, შრომით უნდა დაამტკიცოთ!

— შენ აგიტატორად კი არ მოგიწვევიათ სუფრაზე, ბერიკაცო, — აუჯანყდა მოხუცს ბახვა, — ღვინო შესვი და დრო გავატაროთ, ორიოდე პარასკევილა გიდევს წინა!

გიო პაპას გამქირდავი სიტყვა გულში მოხვდა, მაგრამ არ გაიდრიკა, დინჯად განაგრძო:

— რამდენი გარჯა უნდა, ვიდრე ამ ჭიქაში ღვინო მოექცეოდეს? ვინ იცის, რა კოჟრებიანი ხელით ნალოლიავები მტევნის ნაჟურ-ნაწურია ეს კურთხეული?!. ამ ღვინოში ოფლი და სისხლია შერეული, ვაზისა და კაცის ცრემლია! გლეხკაცის ფიქრითა და ნაღველით არის სავსე, მისი ჯანი და ღონეა შიგა, სიხარული და სინანული!

— ე, კაცო, ნუ აგვატირე ახლა! — თავი მოისაწყლა ბახვამ.

— ეს ღვინო კი არა, ბალზამია, მაგრამ ვინც უშრომლად მიირთმევს, შხამია! ჰოდა, არამია თქვენზე ეს ღვინო! — გულდადუღებულმა ამოთქვა და მეინახეთა სახეები სათითაოდ შეათვალიერა.

— შენ რა ენა აიქავე მოხუცო?! — ბენვი აიშალა ბახვამ.

— აბუჩად გვიგდებს, ხალხო, გაგონილა?! — დაიღრიალა „ჭინჭყლა ვანამ“.

— შეეშვით, ილაყბოს მოხუცმა, გულის ჭია გაახაროს! — სიტყვა შეაგება „შამაიამ“.

— გაეთრიოს აქედან!.. — დაიღრიალა ვანამ და წამოდგა.

— მორჩი ბაზარს და ღვინო შესვი! — ახლა ვანას აუხირდა თამადა.

— არ მინდა და არ დავლევ! ერთი ამის მომყვანის დედაც... — ღვინიანი ჭიქა აიქნია და შემინულ კედელს შეალეწა ვანამ.

შეკრთა გიო პაპა, გული ლავარზე აეგო თითქოს, ბოლმისგან ჯერ მოიშალა, მერმე აენთო, უცებ წამოდგა.

— აქეთ მომხედე, ბიჭო, შენ! — ხელით მისწვდა ვანას, ბებრული მარჯვენა მოიქნია, ლავაშური აჭამა ღრეულს.

ნამით შეცბა სუფრა, გაირინდა — ბერიკაცისგან ხელის გამოღებამ დააფეთა მოქეიფენი, არ მოელოდნენ.

— შეგჭამ, შე საწყალო, შენა! — დაიღრიალა ვანამ და ბოთლს ნაეტანა.

ბახვამ დროზე შეაშველა ხელი. მოხუცს ასცდა გასროლილი ბოთლი, მინა-კედელი სულ მთლად ჩამოილო.

— ისედაც ერთი გაბანება ხარ და გაგაქრობ, შე ნყეულო, გვარი და სახელიც აღარ დარჩება! — ძლივს აკავებდნენ აბობოქრებულ ვანას, — ე, რა მიყო, ხალხო?! გამიშვით!.. — კვლავ გაიწია, მაგიდას წამოედო და სუფრაააყირავა.

ბერიკაცს გული დაეხანჯლა, მკერდი ხელით მოისრისა და არამზადებს ძლივძლივობით გამოაღწია. მუხლმა უმტყუნა და რობერტა მებუფეტემ ხელი შეაშველა, კარისკენ წაიყვანა.

ვანა გაუსხლტა გამკავებლებს და მოხუცს გამოუდგა, მაგრამ ვეღარ მისწვდა, მილიციელებმა შემოუსწრეს.

* * *

„ჭინჭყლა ვანა“ თხუთმეტი დღის შემდეგ დაუბრუნდა სოფელს; თმაგადაპარსული, კრიჭაშეკრული, გულბოღმიანი. ხმას არავის სცემდა, თითქოს დამუნჯებულაო. დარდიმანდობას ჩვეული, ფრთამოტეხილი დადიოდა, თვალს ვერავის უსწორებდა.

მთელმა სოფელმა იცოდა იმლაშინდელი ამბავი. გიო პაპას იმ მარჯვენას ულოცავდნენ, ვაზისა და ღვინის შემგინებელს რომ გააწნა.

ვანას გულს ახლა ავი ჭია ღრღნიდა, ცხოვრებით სვეგამწარებული მოხუცისთვის სამაგიეროს მიზღვევის ჟინი აწუხებდა.

ბერიკაცს მუშტი-კრივს ვერ გაუმართავდა, მისი ცემა ისედაც შერყვნილ-შელანძღულ სახელს რა ვაჟკაცობად დაედებოდა?!..

ჰოდა, საბოროტოდ სხვა გზა აირჩია გზამრუდმა, სულ სხვა ქამანდით სურდა დაეცა ბერიკაცი, ერთბაშად გაენადგურებინა.

შინ მიბრუნებულმა საჩეხში გადანახული ნალდი მონახა, ქვასალესი მოიძია და საქმეს გულდინჯად შეუდგა.

— შიხრ-შახრ, შიხრ-შახრ, — ახმიანდა ლითონი სასრევზე.

„აბა რა გონია, საქვეყნოდ გამოჭენებას ვაპატიებ? ისე გავამწარო, თავბედს იწყევლიდეს! გლოვის კარავს დავუყენებ უბედურს!“ — შემღვრეულ თვალებში შურისძიების სურვილი ულვივოდა.

„მტერმორეული არასოდეს ვყოფილვარ და არც ახლა დავრჩები ვალში. ეს გულის დარდი თუ არ ამოვიღე, რა მომასვენებს“, — ფიქრობდა შურისძიებით ალვსილი.

— ჰე-ჰე-ჰე-ჰეე! ახლა სადღა წამიხვალ, ბერიკაცო, ჩემს ხელთა ხარ, ჩემს ხელთა! განანებ, თუ კაცი ვარ! — საქმეს მორჩა და წამოიძახა ვანამ.

მერმე ბასრი ნალდი საგულდაგულოდ შეინახა, ეზოში აბორიალდა. სამტროდ ნალდალესილს მოსვენება დაკარგოდა, ადგილს ვერ პოულობდა.

თიბათვის დღე ილეოდა. ზაფხულის ღამე დგებოდა.

შინ შევიდა, ტახტზე წამოწვა და გააბოლა.

„ღამებნელში ჩავალ ალაზანზე. შარაგზას ვერ გავყვები, ვინმე არ გადამაწყდეს: ჰო, უნდა ვიფრთხილო, შუაღამისას ვინ ოხერი დამლანდავს?! მთვარე რომ ამოვა, მაშინ უკეთ გავარჩევ გასარჩევს... ნახევარმთვარეა და არც თუ კაკაჩი ღამე იქნება. ცოტას წავიძინებ და მერმე; მანამდე ხალხიც მიდგებ-მოდგება“. — ხელები თავქვეშ ამოიდო, შურ-მტრობით ჩასისხლიანებული თვალები სიბნელეს მიაშტერა.

* * *

გულგასახარად კიაფობენ მთვარის მკრთალი შუქით დაფერილი ზვრები, ზოგი ვრცელი და უსაზღვრო, თვალუწვდენ მწკრივებად გაწფენილი და გახასხასებული, ზოგი მცირე და დანაწევრებული.

ჩურჩულით და შარიშურით ალერსობენ ვაზები, მათ კალთებს ეჩრდილებიან ისრიმა მტევნები.

ვანა მიჰყვება ზვრებშუა მიჯნას, აბალახებულ საურმეზე მიიპარება; ყველაზე კარგად მოვლილ ზვარს არჩევს, სამაგალითოს. აი, ისიც — გიო პაპას ცაგახსნილი და გამორჩეული ვენახი, აკენჭილკლერტილი და მინაფხვიერი, შიგ ნემსიც რომ არ ჩაიკარგება.

ვანა შედგა, შეათვალიერა.

მოხუცი გიო დაუდგა წინ, ვაზის ტანივით დაღვანქილი, წელში მოხრილი, თვალჩაცვენილი, უძლური და ჯანსუსტი. ლოყა აეწვა, ბებრული ხელით ალიყურნაჭმევი ლოყა. განა ეტკინა მოხუცის სილაქი ვანას? უწყინა! როგორ შებედა ხელის გაკარება?! მერმე მილიციამიც როგორ დაუდგა პირისპირ: უვითური და გადაგვარებულიაო, სოფლის არაშვილი და ზედმეტი ბარგიო. ისიც თქვა: მამა კარგი ჰყავდაო, საცოდავი, ჩემი ბიჭების ტოლ-სწორიო. ეს ვერანა ვის დაემსგავსაო? მაგრამ ერთი ხისგან ბარიც გამოდის და ნიჩაბიცო. მერმე დაუმატა: ოთხმოც წელს მივაღწიე და არავისთვის მიწყენინებია, ვაზის შეგინება და ნაოფლარი ღვინის დაღვრა ვეღარ ავიტანე, ხელი წამცდაო.

...ჰოდა, სააკაცოდ მიუახლოვდა ვანა ვაზს, ხელი გაჰკრა, მოუქნია პირბასრა ნალდი, ძირზე აჭრა...

ეამა ჯავრნაყარს, გული ბუდეს დაიგულა. მერმე მიჰყვა რიგთაშორისს, დაუნდობლად დაუწყო კაფვა ორმხრივად, მიყოლებით, სათითაოდ.

ორმწკრივი გაიტანა, შეჩერდა, სარბოძს დაეჭიდა, მოარყია, მოშალა და წააქცია.

ნახმლევი რაინდებივით დაეცნენ და მიწვნენ ვაზები, მოისრნენ და გაპარტახდნენ.

ახლა მეორე მწკრივს მიადგა: ჯერ დამუხლა ვაზები, მერმე ძირზე აჭრა. კვლავ მოშალა სარ-ბოძი და მიწაზე გაჰფინა ივარქმნილი.

ნამუსრევი შეათვალიერა: ხმალშუბით აჩეხილ ვაჟკაცებს ჰგავდნენ აკუწული ვაზები.

მთვარის მკრთალ შუქზე შეამჩნია: იცრემლებოდნენ დედა-ვაზები, ტიროდნენ მიწაზე გართხმული დაისრიმებული მტევნები, სულგანტევებულად ეყარნენ ლორთქო ყლორტები, მიწას ულონო ზნკალებით ებღაუჭებოდნენ. ცრემლი კი არა, სისხლი სდიოდათ ღვარად და მიწას ალბობდა...

კვლავ წინ აღუდგა ბერიკაცი გულქვა არნაუტს, მრისხანე, ბებრულ-ხელაღმართული. თითქოს ისევ გააწნესო სილაქი, ვაგლახად დაიმანჭა ვანა, მოხუცის დასახვედრად ალმართა ნალდი, მოუქნია. მოჰკაფა ბერიკაცი, დასცა.

კაცბოროტის გულში გამარჯვების სიხარული ზეიმობდა, ახარხარდა, კვლავ მიეჭრა მევენახეს, ასხეპ-აკუწა...

არა, გიო პაპას კი არა, ვაზებს ჩეხავდა და ნალდავდა ისევ, მესამე ორმწკრივი უკვე გაეტანა და ახლა მეოთხეს მიყვებოდა. ერთი ამდენილა დარჩენოდა გასაკაფი.

მოულოდნელად შემოესმა გმინვა-ოხვრა, კვნესა-კივილი, აბჯართ ჟღრიალი, შუბთა შხარანი, ხმალთა ჭახჭახი...

მიმოიხედა, შედრკა, შეშინდა.

ფეხზე დგებოდნენ აჩეხილი ვაზები, მუხლს იმაგრებდნენ. არა,

(დასასრული მე-16 გვერდზე)

# ლირიკა

**ალექსანდრე ტაბატაძე**

## შვებულებაში გასვლის წინადღეს

შვებულებაში გადიხარ უკვე,
გათავისუფლდი... მეტი რა გინდა!
რა გენაღვლება, მოიწყენს თუ კი
მცირე ოთახში შენი მაგიდა.
ეს ქაღალდები ასე ეყაროს,
ავტოკალამში დაშრეს მელანი,
ყველაფერს მტვერი გადაეფაროს,
ხომ ვერ შენიშნავს მაინც ვერავინ.
გამოიკეტე კარი ოთახის,
ბილიკი ვიწრო სადმე მოძებნე
და დაუბრუნდი შენს თავს ცოტა ხნით,
მონყურებული ცისფერ ოცნებებს.
დასახლდი სადმე გადაკარგულში
და განერიდე ხმაურს ქალაქის,
გადაივიწყე, რაც იყო გუშინ —
წიგნები, წყენა თუ ამხანაგი.
ცისფერ ოცნებებს მიეცი თავი,
როგორც მდინარეს ფოთოლი ხმელი,
გულაღმა დაწექ და შუქზე მთვარის
ცას მიაწვდინე დაღლილი ხელი.
დაეპატრონე ვარსკვლავებს ცაზე,
არ გინდა მეტი რამ საკუთრება,
ცა ქუდად როგორ გახურავს თავზე —
შენც განიცადო, ხომ გაქვს უფლება!
ეშმაკებს დარჩეთ შენი ოთახი,
გასწი, ბილიკი სადმე მოძებნე
და დაუბრუნდი შენს თავს ცოტა ხნით,
მონყურებული ცისფერ ოცნებებს.

## ა ნ დ რ ი ა წ მ ი ნ დ ა

წელს კი სიტყვიდან აღარ გადავალ, მამა,
გაიზაფხულოს, სამოგზაუროდ დათბეს
და უსათუოდ ანდრიაწმინდას წავალთ,
მოგაძებნინებ ბავშვობას შენსას სადმე.
და იმ ბილიკზე გავისეირნოთ ერთად,
თურქობის დროს რომ გაიხიზნენით ღამით,
ბებიაჩემი გზა-გზა პირჯვარს რომ გწერდა,
შემოგხეოდა ტანზე პერანგი ხამის.
მერე შევუყვეთ საჭამიასერს დინჯად,
თვალი მოვავლოთ ანდრიაწმინდის შინდვრებს,
რომ ნახვის ნატვრა აღარ შემოგვრჩეს ხინჯად
და ვცეთ თაყვანი, გვიან არ არის ვიდრე.

## სვეტიცხოველი ღამით

მთვარიან ღამით უნდა ნახო სვეტიცხოველი,
როდესაც ირგვლივ ყველაფერი ისე მდუმარებს,
რომ აღარ გჯერა სხვა სიმაღლე მიუწვდომელი,
სხვა სიდიადე კიდევ თუ არის.

როცა თვალნათლივ ხედავ უჩინარს,
ამ საოცრების პირველად ხარ თითქოს მჭვრეტელი
და ხუროთმოძღვარს ჯერ მოუჭრელ ხელში უჭირავს
ვაზის ჩუქურთმა, უკვდავება და საჭრეთელი.

როცა შენამდე აღწევს ფიქრი ყოველი კედლის,
როცა სიზმრებში თვლემენ ჩრდილები
და ლილისფერი ზეცის ფონზე გუმბათი თეთრი
ისე ჩანს, როგორც უარყოფა ჟამთა დინების.

გუმბათთან ერთად ცად მიფრინავ, —გგონია ზოგჯერ,
სავსე ხარ ფიქრით, მთვარის შუქით და სილამაზით,
და ღრუბლებს შორის გაჭიმულ თოკზე
ახალი მთვარე ცალ ფეხზე დგას, როგორც ჯამბაზი.

## ბალადა რაიკომის ორი მდივნისა

თემურ ჩხეიძეს,
მერაბ ქაჯაიას

უკვე მზად არის უკანასკნელი დუბლიც:
გამორთულია პროჟექტორების შუქი.
წყალობით ესე რეჟისორის თუ უფლის
კარგად ჩათავდა ყოველივე და... თუკი
არ დაკარგულა თუნდაც ერთი დღე უქმად,
თუკი ილებდნენ სურათს სისწრაფით ქარის,
ეს იმიტომაც, „ქართული ფილმის“ უკან
იდგა მესხეთი! ეს მისი ღვაწლიც არის!
და ჰა, დამდგარა გამოთხოვების წუთი,
ემშვიდობება ერთურთს მდივანი ორი
და იხსენებენ ტბას მოლივლივეს წუნდის
და მყინვარივით მოჩანს ხერთვისი შორით.
მალე შორი გზით წავა მდივანი ფილმის,
ხოლო მდივანი ახალციხისა რჩება,
ის კვლავ ფეხდაფეხ ნასოფლარებში ივლის,
მას კვლავ მოუწევს სხვა ყამირებთან შებმა.
ამიერიდან თორელთან ერთად ივლის,
ძმა იქნება და შემწე იქნება მისთვის,
უფრო ძალუმად იძგერებს გული მდივნის
და კიდევ უფრო დაუმძიმდება ტვირთი,
რომ გაგვინელოს ძველი ჯავრი და შიში
და აგვიცხადოს. რაც ვერ აცხადდა ფილმში.

## გორიდან სადღაც გადაკარგულში...

გორიდან სადღაც გადაკარგულში
დგას ეკლესია პატარა ბორცვზე,
დგას ეკლესია აგრე ქართული,
მონატრებული წირვას და ლოცვებს.
ჩამორღვეული კედლების დუმილს
და ღამურების უაზრო ფარფატს
ათასში ერთხელ ჩურჩული ჩუმი,
ათასში ერთხელ თუ აკრთობს ალბათ.
ათასში ერთხელ თუ ავა ბორცვზე
გამოპარული გორიდან წყვილი
და კედლის ნაცვლად ერთურთს ჰკოცნიან
და მიაქვთ ცეცხლი თავთავის წილი.
...ბორცვიდან ჩანდა წითელი ველი,—
ყაყაჩოების ცეცხლი ეკიდა
და ყანის ბოლოს თიკანი ჭრელი
ხასხასა ბალახს ზანტად ბეკნიდა.
მაგნიტოფონში ვიღაც არტისტი
ვნებით მღეროდა „ავე მარიას“
და შორიახლოს რტოზე არყის ხის
მზეს თაყვანს სცემდა ჭიამაია...

* * *

მე შემიყვარდა სოფლელი გოგო,
ლამაზი, მაგრამ ამპარტავანი
და სიყვარული ვუხსენე როგორც,
მის თვალში უცებ დავპატარავდი.
დავიკარგე და ავტირდი მწარედ
მისი შავი თმის აბლაბუდაში...
თუ ვიყო ღირსი, დამსაჯე ბარემ,
სიყვარულისთვის, ღმერთო, თუ დამსჯი.
... მე ვუგზავნიდი მხურვალე ლოცვას,
მან დამიბრუნა წყვილი ისარი
და სიყვარული ვუხსენე როცა,
გადამივიწყა, როგორც სიზმარი...

* * *

როცა მონყენით მივყვები დღეებს
და მიმაცილებს შრიალი ხეთა,
მე ვეკითხები ქუჩაში ხეებს:
—სად არის იგი, სად არის, ნეტავ?
როდესაც ქალაქს ღრმა ძილით სძინავს
და მთვარე ბჟუტავს ღრუბლებში კენტად,
მე ვეკითხები სარკმლიდან წვიმას:
—სად არის იგი, სად არის ნეტავ?
ველარ გაუძლებს გული მოლოდინს,
გასხლტება ფიქრი, დამტოვებს სახტად
და რუსთაველის ქუჩის ბოლოში
აიტუზება ნაცრისფერ სახლთან...



# გამოთხოვება

31 იანვარს თბილისელები გამოეთხოვნენ საქართველოს სახალხო არტისტს ეროსი მანჯგალაძეს. სამუდამოდ წავიდა ჩვენგან მსახიობი და მოქალაქე, რომლის ცხოვრება და შემოქმედება სამშობლოს, კომუნისტური პარტიის, ხალხის თავდადებული სამსახურის ნათელი მაგალითია. ეროსი მანჯგალაძის სახელი სამართლიანად ამშვენებდა ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. იგი მრავალი წლის განმავლობაში ახარებდა მაყურებელს ნათელი და დაუვიწყარი სახეებით, ნიადაგ ხვეწდა და ამდიდრებდა თავის შემოქმედებითს პალიტრას.

...სამგლოვიაროდ არის მორთული რუსთაველის თეატრის სცენა, ის სცენა, რომელზეც ცხოვრობდა, ქმნიდა, იწვოდა ეროსი მანჯგალაძე... ყვავილებში ჩაფლულ მაღალ კვარცხლბეკზე დგას კუბო. უსასრულო ნაკადად მოდიან ადამიანები, რათა გამოხატონ ღრმა პატივისცემა მსახიობის ხსოვნისადმი.

თვალსაჩინო ქართველ მსახიობთან — ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწესთან გამოსათხოვრად მოვიდნენ ამხანაგები: ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ზ. ჩხეიძე, ს. ხაბეიშვილი.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა საქართველოს კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ე. შენგელაიამ, საქართველოს სახალხო არტისტმა ე. მაღალაშვილმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ალექსიძემ.

სამგლოვიარო მიტინგი გაგრძელდა დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს მსახიობის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, მის მარად ცოცხალ შემოქმედებაზე.

...გაისმის სამგლოვიარო მელოდიები და კუბოს საფლავში უშვებენ. საფლავზე ყვავილების მთა დადგა.

# რუსთაველის პორტრეტი

შოთა რუსთაველის სახე ყოველთვის იყო ხელოვანთა შთაგონების წყარო. ვინ იცის, დიდი მგოსნის რამდენი პორტრეტი დაუწერიათ, გამოუძერწავთ, ქვაზე ამოუკვეთავთ, ხეზე, ლითონზე თუ მოზაიკაში გამოუხატავთ. განსაკუთრებით ბევრი სურათი შეიქმნა 1936-1937 წლებში. ამ პერიოდს ეკუთვნის შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ახლა პირველად ქვეყნდება. ორიგინალი ინახება აწ განსვენებულ პროფესორ მამია დუდუჩავას არქივში (ამის შესახებ გვაცნობა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ). პორტრეტის ავტორია თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე.

დიმიტრი შევარდნაძეს განათლება მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში მიუღია. მუშაობდა დრეზდენის მუზეუმში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი ოცნება იყო ხელოვნების მუზეუმის დაარსება. 1916 წლის 31 მარტს მიაღწია კიდეც ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წესდების დამტკიცებას. ექვთიმე თაყაიშვილის დახმარებით დ. შევარდნაძემ ძველი ქართული კედლის მხატვრობის პირების გადასაღებად ნაბახტევში, დავით გარეჯში, სამცხე-საათაბაგოსა და სხვა რაიონებში ექსპედიციები მოაწყო.

1917 წლის იანვარში დიმიტრი შევარდნაძემ დღევანდელი სამხატვრო გალერეის შენობაში მოაწყო გამოფენა ძველი ქართული კედლის მხატვრობის პირებისა. ეს იყო ქართული ფრესკული მხატვრობის პირველი გამოფენა, რომელმაც საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა.

მალე დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიმიტრი შევარდნაძე ხელმძღვანელობდა კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს. იგი იყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დაარსების ერთ-ერთი თაოსანი, ამიტომაც ახასიათებს მას აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, როგორც „სახვითი ხელოვნების დაუღალავ მსახურს, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ფუძემდებელს, სამუზეუმო საქმის დიდ ორგანიზატორს, ქართული ხელოვნების მუზეუმის შემქმნელსა და ქართული თეატრალური ხელოვნების ამაგდარს".

დიმიტრი შევარდნაძეს ეკუთვნის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრის სპექტაკლების „აბესალომ და ეთერის" (1923 წ.), „თამარ ცბიერის" (1926 წ.) და სხვათა კოსტუმების ესკიზები. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ უნივერსიტეტის ემბლემისათვის გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა მხატვრის ნამუშევარმა — „შველი ნუკრით".

დიმიტრი შევარდნაძის საუკეთესო სურათები – „მოხუცის პორტრეტი", „ქალი ფანჯარასთან", „ნატურმორტი" და სხვა ექსპონირებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

**ბორის კანდელაკი**

დავით ნავროზაშვილი

## მე ეს იმედი

მე გაზაფხული მიხმობდა
მუდამ
და სიჭაბუკის სურვილი
მწველი,
ასე მოვიდა ჩემს ბებერ
გულთან
ეს კიდევ ერთი ახალი წელი.
მე ეს იმედი მზესავით
მათბობს
და სულში მიდნობს ჟამთა
ყინულებს,
რომ კვლავაც ვივლი, — გზა
არის ფართო,
და სადმე თვალი თუ არ
მივლულე,
მივეახლები მშობლიურ
ხნულებს
და მათთან ერთად
ვიგაზაფხულებ.



მხატვარი
**დიმიტრი შევარდნაძე**

შოთა რუსთაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სესიაშვილი

აჯანყება



ნაზი ჯალაღანია

მოქანდაკის პორტრეტი

# რევაზ ნარტყოშვილი



კახელი სტუმარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამური



ირემი



მოხუცი

გლეხკაცი





ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის სასახლე



ფოტო თარხან არჩვაძისა

მთაწმინდიდან



ბოგდან ჩალი



## ახალი სახლი

აგურს, კრამიტს, ცარცს თუ ალიზს
რა ხანია ჩვენაც ველით,
გუგუნებენ მანქანები, —
დაგვჭირდება ყველაფერი.

რომ დაიწყებს ზრიალს ხერხი,
ჩახ! — ნაჯახი ნაფოტს დაყრის, —
მშობლიური სოფელია
მშენებელი ჩვენი სახლის.

მაგრამ ძველ სახლს რაღა ვუყოთ?
ასე მშვიდად რომ დგას ჯერაც! —
მუზეუმად ვაქციოთო, —
დაიყვირა ბიჭუკელამ.

ვინც შეხედავს, ყველა იტყვის,
რომ ვიზრდებით წლიდან წლამდე...
ძველ სახლს, მოდით და მეგზურად
ჩვენი ტკბილი ბებო ჰყავდეს.

ზარი რეკავს სიხარულის,
ცისფერი დღე მზეზე ბრწყინავს,
ამ ვიწრო სახლს დავთმობთ მალე,
მივაშურებთ ახალ ბინას.

სოფლის ბოლოს, ტყის ნაპირას,
მდინარეც რომ მოჩქეფს ახლოს,
მზით ავსილი აივნითა
დამკვიდრდები, ჩვენო სახლო!

## გმადლობთ, ხელებო!

ფართო უბანს მოკაშკაშე
მზის სხივებში გაეღვიძა.
აფეთქებულ გაზაფხულით
აგუგუნდა დედამიწა.

დაფლეთილი ღრუბლებიდან
ღიმილს აფრქვევს ზეცა შვებით,
ეზოებში სიხარულით
ჟივჟივებენ ბეღურები.

მიდის ქალი და ლამაზი
თავსაფარი ლაზათს მატებს, —
ყვავილებით მოუქარგავს,
ზედ ფანტელი დაფარფატებს.

ბაღთან ახლოს, მხიარული
მეყვავილე ყიდის ყვავილს,
ტოტზე ზის და მისებურად
აყრანტალებს ყიას ყვავი.

აქ ტირიფი აფრქვევს სურნელს,
იქ ლანქერის მოქრის ჩქერი,
და განსაცდელს, მოულოდნელს,
არ გვიქადის არაფერი.

მშვიდია და წყნარი დილა.
ხალისით და ღია გულით
სამუშაოდ მიიჩქარის
ხალხის ტალღა მხიარული.

ბევრი მგზავრობს ავტობუსით,
ფეხით მიდის მეტი უფრო,
რომ წელშიაც გაიმართოს
და ჰაერიც შეისუნთქოს.

ახალთახალ ვედროს შეხეთ,
რომ უჭირავს ხელში მღებავს.
ჩქარობს კაცი, ამიტომაც
მიაშურა გაჩერებას.

ელმავალმა ზედ ვაგზალთან
ბარე სამჯერ დაიჭექა:
ყურადღება, მოდის გლეხი,
უჭრაჭუნებს ფეხზე ჩექმა.

ინსტიტუტში, ვით ორი ძმა,
მიდის ორი აფრიკელი,
ნეილონის ჯუბიანებს
ავსებიათ გული ლხენით.

პირველკლასელ ბიჭსაც ვხედავ,
დედის გვერდით მიბაკუნებს...
ყელამდე აქვს საქმე ყველას,
ახალისებს დილა გულებს.

ეს ვისი ხმა ანკრიალდა?
ყური უგდეთ, სადღაც ზევით,
აივანზე, მოაჯირთან
ვიღაც მღერის გატაცებით.

წინკანაა? არა, ხალხო,
ერთი ციდა გოგო მღერის,
ბაფთა შვენის ნაწნავებზე,
არ ადარდებს არაფერი.

ყველა გამვლელს ხელებს უქნევს
მხიარულად და თამამად.
რად არ მოჩანს ახლო ვინმე?
არც დედაა და არც მამა.

აი უკვე მოაჯირსაც
მიატანა ორივ ხელი.
გოგო მღერის, ნიავს მიაქვს
ხმა წკრიალა, მშვენიერი.

ჰე, მშობლებო, სად ხართ, ამ დროს,
დედის თვალო რადა გძინავს?
ნეტავ ასე უპატრონოდ
როგორ დარჩა პანაწინა?!

დედა სამზარეულოში
დასტრიალებს გაზის ქურას,
ბებიამ კი ძაფებისთვის
ალბათ უჯრებს მიაშურა.



იქნებ ვინმემ, სანამ დროა,
აირბინოს მეხუთეზე?
მოაჯირზე აძვრა გოგო,
გვიანია ახლა ესეც!

გაშრა გლეხი, რომ იხილა
მოაჯირზე მდგარი ბავშვი,
ჯარისკაციც, ვით მღებავი,
გაქვავებულს ჰგავდა მაშინ.

როცა ზევით აიხედეს
და გოგონას მოჰკრეს თვალი,
შეკრთა ორი აფრიკელიც,
გზაზე წყვილად მიმავალი.

მიბრუნება რომ ინდომა,
ჩაუვარდა ყველას ენა, —
უცაბედად ქუჩის მხარეს
არ დაცურდა ცეროდენა?!

კიდევ კარგი, რომ იმარჯვა
და რიკულებს მოეჭიდა.
ხალხის თავზე ფართხალებდა
გოგონია ერთი ციდა.

ერთი წამიც და მოსწყდება!
ამ დროს თითქოს ვინმემ ბრძანა,
ხელთან ხელი მეგობრულად
აღიმართა ერთიანად.

ზოგი ნაზი და ძლიერი,
ზოგი თეთრი, ზოგი შავი,
ხელი მარჯვე, ხელი გამრჯე,
კეთილი და გამბედავი.

ის ხელები, რომლის ძალას,
შეუძლია ესოდენი,
მშენებლობაც შეუძლია
და ღონიერს თესვაც შვენის.

მათ დიდება, ოდითგანვე
ოფლისღვრა რომ ერგოთ წილად.
აი, სწორედ ამ ხელებზე
ჩამოფრინდა პანაწინა.

კანკალებდა, შიშისაგან
დასდებოდა მიტკლის ფერი,
მაგრამ შიში რას მიქვია, —
ფეხზე დადგა უვნებელი.

მარტის დღეა, მშვიდი ცაა,
შერევია ბგერა ბგერებს,
ჩვენც მადლობა ვუძღვნათ გულით
კეთილსა და გამრჯე ხელებს!

უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

მოთხრობა

# მზვერავის დაბრუნება

ვლადიმერ ერიომენკო

— ფრონტზე ისეთი რამ შემემთხვა, პირდაპირ მრცხვენია კიდეც თქმისა. მართალია, მაშინ მედალი „მამაცობისათვის“ მივიღე, მაგრამ გახსენება მაინც მეუხერხულება... არც არასოდეს ვიხსენებ... ახლა ისე, გრძნობა მომერია. თანაც, დიდი ხანია, რაც ეს ამბავი მოხდა. გამოთვალე, ოცი წელი, რის ოცი? მეტიც...

ვსხედვართ ქვანახშირის მაღარო „ბულანაშ-4“-ის ხმაურიან ეზოში, რომლის მსგავსი ეზოებიც ურალში თანდათან მცირდება. ქვანახშირის ან მადნის მარაგი „გამომუშავდება“ და მაღაროც უქმდება.

დაბალ, შემოდგომის წვიმებით გადარეცხილ ტერიკონებს მიღმა მაღაროელთა დასახლებაა, რომელსაც მაღაროს სახელი ჰქვია.

ჩემი თანამოსაუბრე, მიწისქვეშა გზების მუშა სერგეი მიხეილის ძე ნაზაროვი ლაპარაკისას უმახვილო ო-საც კი ო-დ გამოთქვამს, წინადადებებსაც ოდნავ ჭიმავს, თითქოს ყოველ სიტყვას წონისო.

— ვოლგაზე ვომობდი, ცენტრალურ რუსეთშიც, ბალტიისპირეთშიც, და მთელი გერმანია გავიარე. ათასი რამ ხდებოდა. რაც მარტო სტალინგრადში გადამხდა, მთელი წიგნი დაიწერება; ეს კი პირდაპირ კურიოზია.

სერგეი მიხეილის ძე მუშაობისგან სამუდამოდ მოკაკვულ, ნახშირის მტვრით დაწინწკლულ თავის მოკლე თითებს ისრესს. ჩანს, რომ ახლაც, ამდენი წლის გასვლის შემდეგ, ძალზე აღელვებს ის, რაზედაც უნდა გვიამბოს. შავგვრემანი, ნახშირის მტვერმოკიდებული სახეც კი შესამჩნევად უფითრდება.

— ჩვენი ნაწილი იმ დროს ლენინგრადთან იმყოფებოდა, ბლოკადის გარღვევისათვის ვემზადებოდით. და ისეთი შფოთიანი დღეები გადავიტანეთ, შემდეგ რამდენი არ ვიომე, ისეთი დღეების მომსწრე არა ვყოფილვარ. იქნებ მხოლოდ ჩვენ, მეკავშირეებს, მოგვდიოდა ელეთმელეთი შიშისგან... გაზეთილი კურდღლებივით აქეთ-იქით დაგვარბენინებდნენ. ის არის მოხვალ წინა ხაზიდან, ისევ გგზავნიან. ტოლჩაში ჩასხმულ მდუღარესა და ორცხობილას გზადაგზა ყლაპავ — ისევ ყინვაში გარბიხარ.

ამჯერად სამი დღე და ღამე არ მიძინია, იქნებ მეტიც, რა ვიცი. ის იყო დავალებიდან დავბრუნდი, მეთაური მიხმობს.

„სერიოჟა, უნდა წახვიდე, სადღაც ხაზია გაწყვეტილი“, — მეუბნება იგი. ჩვეულებრივ. მომმართავს ხოლმე: „ამხანაგო ნაზაროვ“, ახლა კი სახელით... ჩანს, ეს უკვე ბრძანებაზე მნიშვნელოვანია!

რა გაეწყობა. წავიყოლიე ჯარისკაცი პეტრო ჩუგუნოვი და გავწიე. ბლინდაჟიდან გავედით, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ისეთი ძილქუში მომერია, პირდაპირ მიწისკენ მხრიდა. ფეხზე დგომა იმიტომაც მიჭირდა, უჭმელიც ვიყავი. პეტროც ისეთივე ალღოიანი იყო, როგორც მე. ვნახეთ გაწყვეტილი მავთული, შევაერთეთ, ვგრძნობ, რომ აი ახლა ამ ფიჭვის ძირში ათი წუთით მაინც თუ არ დავიძინე, უკან ველარ გავბრუნდები. ოთხი კილომეტრი უნდა გავველო. პეტროს ვუთხარი:

— მოდი, შენაცვლებით წავთვლიმოთ. ჯერ მე რამდენიმე წუთით მოვატყუებ თვალს, მერე კი შენ.

— თორემ, მივალთ თუ არა, შეუძლიათ ისევ წამოგვაგდონ... — დამეთანხმა ჩუგუნოვი.

შევთანხმდით, წაგვეძინა ნახევარ-ნახევარი საათი, მეტი არა. თანაც ზამთარია, დროც არა გვაქვს. ხის ძირას დავყარე ტოტები, დავჯექი და როგორც დავეგდე...

სერგეი მიხეილის ძე დადუმდა. ლაწვმაღალი პირისახე დაძაბულობისგან კიდევ უფრო დაუგრძელდა, ხოლო დაკორძებულ თითებიანი ხელებით მოუსვენრად მოიჩხრიკა ჯიბეები. მოსწია. ნახშირის დასატვირთად ჩვენს მახლობლად გრუხუნით ჩავლილ ცარიელ ვაგონებს გააყოლა მზერა და ახლა უკვე ოდნავ შემკრთალი ხმით განაგრძო:

— ფიჭვის ძირში ჩამეძინა, გამეღვიძა კი ტომარაში. ჩვეულებრივ ტომარაში. და ვგრძნობ, რომ მე, ღვთის მონა, გერმანელებს ტყვედ მივყავარ. მივყავარ და ერთმანეთში ჩუმად საუბრობენ. ხმებით ვარჩევ — სამნი არიან. ღმერთო, რაღა არ ვიფიქრე იმ წუთებში!

პირში სისხლის მარილიან გემოს ვგრძნობ, თავი მიგუგუნებს. ალბათ, რაღაც მთხლიშეს კინკრიხოში. ხელები შეკრული არა მაქვს, არც ალიკაპი ჩაუჩურთავთ პირში. ლამის ვიღრიალე, მერე გამიელვა: „რად უნდა ვიღრიალო? მართალია, ტომარაში ვარ, მაგრამ რაღაც უნდა ვიეშმაკო. ვითომ მკვდარი ვარ. არა, სიკვდილი არ გამოდგება. სულელად კი გამოვდგები. თავში ხომ დამკრეს, მერე ისე, რომ ყველაფერი მიტრიალებს. აი პირველ შემთხვევაში გამოსავალი, — გავიფიქრე მე, — მერე კი მოვიაზრებ, როგორ მოვიქცე“. არც გავნძრეულვარ. მივაყურადე. როგორც ფქვილის ტომარას, ისე მისროდნენ ზურგიდან ზურგზე. მკვირცხლად მიდიოდნენ. მაინცდამაინც მძიმე დღესაც არა ვარ, მაშინ კი შიმშილით სიქაგაცლილი ორმოცდაათ კილოგრამამდე თუ ვიქნებოდი ჯარისკაცის სრული აღჭურვილობით. მიმათრევენ, მე კი ამ სულელური შემთხვევის გამო ბოლმამორეულმა ლამის გონება დავკარგე.

„პეტრო ჩუგუნოვს რაღა დაემართა? იქნებ იმას სხვა ტომრით მიათრევენ? იქნებ მოკლეს კიდეც? კარგი იქნებოდა, ჩემთვისაც ეხეთქათ, ვიდრე აი ასე, კატასავით ტომარაში“... მაგრამ როგორ მოხდა ყოველივე? არ დამიჯერებთ, ხან მაცხელებდა, ხან მაციებდა ამ თავისტეხაში.

სერგეი მიხეილის ძეს ჯერ ერთი სიგარეტის მოწევა არ დაემთავრებინა, ხელი ჯიბეში გაიკრა ფაციფუცით. ახალ სიგარეტს რომ მოუკიდა, თითქოს ცოტა დამშვიდდა კიდეც.

— რა არ ხდება ქვეყანაზე! მაშ კარგი, ისევ მივაყურადე. მართალია, სამს მივყავდი, მაგრამ ვგრძნობ, მიყუჩდნენ, უკვე კარგა ხანია მიბაკუნობენ, სუნთქვა უჭირთ და მდუმარედ მიდიან... ძნელია თოვლში სიარული.

ვგრძნობ, ფრიცი, რომელ-

საც მე ვყავდი წამოკიდებული, კიბეზე ჩადის, ესე იგი, მოვედით. გულის ფეთქვა ყელში ამომივიდა, სადღაც შემიტანეს და როგორც გუდურა, ისე დამაგდეს მიწაზე. დამაგდეს, ერთ წუთს რაღაც წაიყაყანეს და წავიდნენ.

ვწევარ და არ ვინძრევი. სიჩუმეა. მხოლოდ ჩემი მაჯის საათის წიკწიკი მესმის, ამის გამო უფრო მეტად ამიტანა შიშმა.

ჯიბეში ფრთხილად ჩავიცურე ხელი და დანა ამოვიღე, რომლითაც მავთულების ბოლოებს ვაერთებ ხოლმე; დანა მაშინვე გამახსენდა, როცა გერმანელებს მოვყავდი, მაგრამ ამ იარაღს უკიდურესი შემთხვევისათვის ვინახავდი. ჭუჭრუტანა გამოვჭერი, გავიხედე: მიწური ცარიელია. კუთხეში მხოლოდ ნავთის ლამპა ანათებს. ჩვენი, რუსული ლამპა, შვიდხაზიანი შუშით. წარმოუდგენელმა სიბრაზემ ამიტანა: „აი, თქვე საზიზღრებო, — ვფიქრობ, — ჩვენებური ლამპა ვიღაც მოხუცს წაართვით!“ ტომარა მთელ სიგრძეზე გავფატრე და ამოვვარდი. ირგვლივ მიმოვიხედე, იარაღს ვეძებ. არსად არაფერი ჩანს, ღუმელთან მხოლოდ მესანგრის ნაჯახია დაყუდებული. ეტყობა, შეშას ამით აპობენ. დავტაცე ხელი და კართან მივიჭერი. იმავე წამს ლაპარაკი და ფეხის ხმა გავიგონე.

ეჰ, სულელო ჩემო თავო, ცოტა ადრე მაინც გამოვმძვრალიყავი ტომრიდან, კარს ამოვეფარე და გავინაბე. ორნი შემოვიდნენ. რომელიც ჩემთან ყველაზე ახლოს მოხვდა, ნაჯახი დავკარი, მეორემ კი რაღაც მაგრად მომაკერა კბილებში, მაგრამ იმასაც მივწვდი, და ტყვიასავით გამოვვარდი მიწურიდან.

გამოვვარდი, ფეხებსაც კი ვერა ვგრძნობ, ჩამტვრეულ კბილებს პირში რახარუხი გაუდით, ნაჯახს კი ხელს არ ვუშვებ. დამთხვეულივით გავრბივარ, არც კი ვიცი, საით. ისევ ბნელოდა, მაგრამ მიმართულება სწორად ავიღე. ვერ გადმოგცემთ, როგორ გავრბოდი. ერთდროულად ორ მოწინავე ხაზზე გავსხლტდი — ფაშისტებისა და ჩვენებისა, დანაღმულ ველებს შორის გადავეშვი; კი არ გავრბოდი, მივფრინავდი. როცა სიკვდილი კაცს თვალებში ჩახედავს, მამაცი და საზრიანი ხდება... აი, ასე აღმოვჩნდი ჩვენებთან ხელში ნაჯახჩაბღუჯული.

სერგეი მიხეილის ძეს ხმის დაძაბულობა დაუცხრა. როგორც ფინიშსმიღწეულმა მორბენალმა, თავისი სხეულის კუნთები მოადუნა და ნაბიჯზე გადავიდა. თვალებში შეშფოთების ცეცხლი ჩაუქრა. ამბავი არ დაემთავრებინა, მაგრამ ის მთავარი, რაც ნაზაროვს ასე აღელვებდა, ამდენი ხნის გასვლის შემდეგ, უკვე ითქვა. რასაკვირველია, დაამთავრებს ამ ისტორიას, მაგრამ უხალისოდ, რაც მთავარია, იმ მღელვარების გარეშე, რასაც დასაწყისში განიცდიდა.

პოზაც კი შეიცვალა. მეგონა, ნაზაროვი ყოველ წუთს მზად იყო წამომდგარიყო, წამომხტარიყო კიდეც — ისე დაძაბული იჯდა. ახლა კი, საზურგალზე გადაწოლილი, შემოდგომის მზის ძუნწი სხივებისთვის რომ შეეშვირა სახე, მაღაროს დანაგვიანებულ ეზოს მიღმა ჩაბნელებულ ტყის პირსა და ფერმკრთალ, მინავლულ ზეცას გასცქეროდა. ველოდები, იგი კი არ ჩქარობს.

— გვიან, როცა ჩემს საქმეს ირკვევდნენ, ვერაფერი ვერ გაეგოთ, როგორ გადმოვლახე მოწინავე ხაზი და დანაღმული ველი. როგორ მოხდა, რომ არც გერმანელებმა მესროლეს და არც ჩვენებმა.

ხეირიანად მე თვითონ ვერ გამეგო, როგორ მოხდა ყოველივე. გავრბოდი, როგორც გახურებულ ღუმელზე-მეთქი. მორჩა და გათავდა.

„ყველაფერი ეს ხომ არ დაგესიზმრა? — მეკითხებიან, — რაღაც ძალიან უცნაურად გამოდის. სამ საათში ყველაფერი მოასწარი: შეაკეთე ხაზი, იყავი ტყვედ, მოკალი ორი ფრიცი და შინაც მოირბინე. რაღაცას ურევ, ძმობილო“.

ჩემი ჩალეწილი კბილები და სისხლის ლაქებშემხმარი ნაჯახი რომ არა, მე თვითონ დავიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი სიზმარში მოხდა.

* * *

... დიდხანს მაჯახირეს. მაშინ ასეთ რამეებზე დიდი სიმკაცრე იყო.

„ეს რა ტყვეობაა, როცა ფაშისტები თვალითაც არ მინახავს?“ — ვეუბნები. „სულ ერთია, რახან მტრის ხელში იყავი, სათანადო შემოწმება უნდა გაიარო“.

მოდით, შემამოწმეთ!

ჰოდა, შემამოწმეს, კარგია, რომ პეტრო, ჩემი მეწყვილე, გამოჩნდა. დილით გამოგვეცხადა, მას შემდეგ, რაც მე ამ უკულმართი ტყვეობიდან გამოვიქეცი.

რა მომხდარა იცით? როცა მე დავიძინე, პეტროც მოიშალა.

„ვდგავარ შენთან, — ამბობს იგი, — ვგრძნობ, რომ ზეზეულად მძინავს. რომ არ დამძინებოდა, გადავწყვიტე — [illegible], თანაც ხაზს შევამოწმებ — მეთქი“.

სამასი-ოთხასი მეტრი გავლილია, მობრუნებულა და მე აღარ დავხვედრივარ. ჯერ უფიქრია, მხარი ხომ არ მეცვალაო. მართალია, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ბნელოდა. მერე უპოვია გაწყვეტილი მავთულის ბოლოები, ჩვენ რომ შევაერთეთ. მე კი არ ვჩანვარ. ჰოდა, ჩემს ძებნაში გათენებამდე ტყეში უხეტიალია.

როცა ყველაფერი გაირკვა და მე ჩემს ნაწილში დამაბრუნეს, მეთაურმა მითხრა: „სერჟანტო ნაზაროვ, საგმირო საქმისთვის შენ ორდენის ღირსი ხარ, რთულ სიტუაციაში სწორად მოქცეულხარ, მაგრამ, სერჟანტო ნაზაროვ, დასჯის ღირსიც ხარ; საგუშაგოზე რომ დაგეძინა. ერთი მხრივ — გმირობა, მეორე მხრივ — მძიმე დანაშაულია, ამიტომ ორდენზე კი არა, მხოლოდ მედალზე „მამაცობისათვის“ წარგადგენთ!“

— აი, როგორ ოინებს ჩადიოდა ომი, — დაამთავრა თავისი ამბავი ნაზაროვმა და წამოდგა, — კმარა, ახლა გავივლი აგერ, ჩვენი უბნის ნახშირს ტვირთავენ, გავიგებ, რამდენი მოვანგრიეთ დღეს, — ახლა მისი ხმა დამცინავად და ლაღად ისმოდა, მან თავი გაიქნია ცარიელი ვაგონ-ბაქნებისკენ.

თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ.

## 85 წლის ხელოვანი

მოქანდაკე გიორგი სესიაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თავის საყვარელ საქმეს ემსახურება. მცირე როდია მისი წვლილი სახვითი ხელოვნების, კერძოდ, დაზგური ქანდაკების აღორძინება-განვითარების, ახალგაზრდა ხელოვანთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

გიორგი სესიაშვილი თავდაპირველად კომერციულ საქმეს ეუფლებოდა სამშობლოში, შემდეგ კი შვეიცარიასა და საფრანგეთში. და სწორედ იქ, დაებადა სურვილი, ძერწვის ხელოვნებას დაუფლებოდა.

ჯერ ჟენევაში, ერთ-ერთ კერძო სახელოსნოში, სწავლობდა, შემდეგ კი პარიზში გადაინაცვლა. მან გულდასმით შეისწავლა მუზეუმებსა და გამოფენებზე გამოტანილი ძველ და თანამედროვე მოქანდაკეთა ნამუშევრები.

პირველმა სამოქალაქო ომმა დროებით შეაჩერა ახალგაზრდა შემოქმედის ალმაფრენა — გიორგი სამშობლოში დაბრუნდა. ომის დამთავრების შემდეგ იგი იაკობ ნიკოლაძეს შეხვდა. დიდი როდენის მონაფეს მოეწონა გიორგი სესიაშვილის ნამუშევრები და თავის სახელოსნოში მიიწვია. მალე იგი სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე შევიდა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გ. სესიაშვილმა რამდენიმე საინტერესო ქანდაკება შექმნა: ბარელიეფი „სათოხარში“ (1922 წ.), „ქალიშვილი ტვირთით“ (1922 წ.), გორელიეფი „აჯანყება“ (1924 წ.).

როდესაც სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტთან კერამიკის განყოფილება გაიხსნა, გიორგი სესიაშვილმა ხალისით დაიწყო მუშაობა ხელოვნების ამ დარგში.

გიორგი სესიაშვილის შემოქმედების ეს პერიოდი ძალზე ნაყოფიერია. მხატვარმა შექმნა მშვენიერ გამოსახულებათა მთელი სერია, მაგალითად: „ყანწი“ (1961 წ.), „შვილი“ (1965 წ.), „მზის სხივებქვეშ“ (1968 წ.), „დანტეს სიზმარი“ (1970 წ.)...

გიორგი სესიაშვილის ბატალურ სცენებსა და შრომის თემაზე შექმნილ კომპოზიციებს განსაკუთრებული ეროვნული ელფერი დაჰკრავთ. კონსტანტინე გამსახურდია ახალბედა შემოქმედთ საკონსულტაციოდ გიორგი სესიაშვილთან გზავნიდა; „ჭეშმარიტ მძერწავს“ უწოდებდა მას.

გ. სესიაშვილი თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას სპორტულ თემას უთმობს.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში გიორგი სესიაშვილმა თავისი დაუღალავი შემოქმედებითი ძიების გზით მხატვრული გამომსახველობის ახალ საშუალებებს მიაგნო — მკვრივ მასალაში, კერძოდ, თაბაშირში რელიეფური ხაზებით შექმნა ნახატი, რასაც გიფსოგრაფია უწოდა. ამ ტექნიკით არის შესრულებული „ქალიშვილი“ (1928 წ.), „ქალიშვილი და შველი“ (1930 წ.), „საბალეტო სიუიტა“ (1975 წ.), „დედობა“ (1975 წ.) და სხვ.

გიფსოგრაფიაში მომუშავე ხელოვანი პირველ რიგში კარგად უნდა ფლობდეს ნახატს, რადგან იგი მოქნილ შტრიხებს მოითხოვს, ნახატი აუცილებლად დინამიკური უნდა იყოს, შტრიხი უნდა „მოძრაობდეს“, „მღეროდეს“, „როკავდეს“. ამ ტექნიკით შესრულებული სპორტულ, ქორეოგრაფიულ თემებზე შექმნილი ნამუშევრები ლაღია და ელასტიური, იგრძნობა ფიზიკურად ჯანმრთელი, ნაწრთობი სხეულის სიმსუბუქე. მას იტაცებს ადამიანის სხეულის მოძრაობაში გადმოცემა. თითოეული ასეთი სურათი მუსიკალურ ნაწარმოებს გაგონებთ.

ხანდაზმული ხელოვანი დაუღალავად შრომობს, ასრულებს ჩანახატებს, კვლავ ეძებს საინტერესო მოძრაობას, კვლავ ადამიანია მისი ნამუშევრების ძირითადი თემა.

კვლავაც დიდხანს სჭეროდეს საქართველო!

რონა ყენია

# რევოლუციის ჯარისკაცი

ლევან ღოლიძე

საბჭოთა საქართველო დღესასწაულობს თავის 61-ე წლისთავს. როგორც დიდ ზეიმს შეჰფერის, კიდევ ერთხელ ვიხსენებთ იმათ, რომლებიც თავდადებული ბრძოლით ჭედდნენ ჩვენს საერთო გამარჯვებას; მგზნებარე გულითა და ოცნებით აგებდნენ ახალ სამყაროს, სადაც დამკვიდრდებოდა თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა.

ერთ-ერთი ასეთი ნათელი პიროვნება იყო გრიგოლ სიმონის ძე კობიძე, კავკასიელ რევოლუციონერთა წარმომადგენელი, რომელსაც თანამებრძოლები გოგიტო ციმბირელის ფსევდონიმით იცნობდნენ.

ჩვენს წინ დევს 1924 წელს გამოცემული წიგნი, რომელიც 1500 ტირაჟით დაიბეჭდა თბილისის სამხედრო კომისარიატის სტამბაში. ეს წიგნი გახლავთ რევოლუციონერი გოგიტო ციმბირელის ლექსების კრებული „ცეცხლის აკორდები“.

რა თქმა უნდა, მხატვრულად სუსტია გოგიტო ციმბირელის ლექსები, მაგრამ მაინც მადლიერნი ვართ მისი, რომ ჩვენამდე მოიტანა რევოლუციის ეპოქის ცხელი სუნთქვა. აი, სტრიქონი ლექსიდან, რომელშიც პოეტი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას უმღერის: „...და დღეს ჩემს გულში იცინის დროშა...“

დღითი დღე მტკიცდება საბჭოთა საქართველო მოძმე ხალხთა თანავარსკვლავედში. რევოლუციონერი და მოქალაქე გოგიტო ციმბირელი საზეიმოდ აცხადებს:

„...ფრთები გაშალე, ჩემო ტურფავ მშრომელთ სამყაროვ!“

როგორც ყველა პატიოსანი მშრომელი, გოგიტო ციმბირელიც ღრმად შესძრა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამ. 1924 წლის 21 იანვრით დათარიღებულ ლექსში „ის აღარა გვყავს!“ ასე გადმოგვცემს თავის განცდებს: „ნურავინ მეტყვის, რომ მსოფლიოს წითელ ტრიბუნას აღარ ანათებს ჩვენი მრნამსი, მზე — ჩირაღდანი“.

რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში გოგიტო ციმბირელი შევიდა როგორც ცარიცინის გმირული დაცვის აქტიური მონაწილე.

1918 წელია. ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. თეთრგვარდიელები ცარიცინს უტევენ.

გვიან ღამით ცარიცინელი მოხალისეებით სავსე ეშელონი და ჯავშნოსანი მატარებელი მანიჩისკენ დაიძრა. შაშხანებით შეიარაღებულმა მოხალისეებმა გზა უნდა გადაულობონ თავით-ფეხებამდე შეიარაღებულ კორნილოველებს.

ვაგონიდან ვაგონში გადადის ოცდაცხრა წლის მეთაური გოგიტო ციმბირელი, ეცნობა ახალგაზრდა მებრძოლებს, რომლებმაც ჩაქუჩის, წერაქვისა და ნიჩბის ნაცვლად დღეს პირველად აიღეს ხელში შაშხანა. მეთაური მათ იარაღის ხმარებას ასწავლის, უნერგავს რწმენას.

სადგურ ელმუტთან ცარიცინელ მოხალისეებს მოულოდნელი ცეცხლი გაუხსნა კორნილოველი გენერლის გნილორიბოვის არტილერიამ. ჯავშნოსანი მატარებლის საპასუხო ცეცხლმა შეშფოთება და დაბნეულობა გამოიწვია მოწინააღმდეგის რიგებში. ცარიცინელი მებრძოლები შეტევაზე გადავიდნენ. მათ წინ მიუძღოდა გოგიტო ციმბირელი. კორნილოველებმა ვერ შეინარჩუნეს სტანიცა ველიკოკნიაჟესკაია. მეორე დღეს ჩვენმა მებრძოლებმა გაათავისუფლეს სტანიცები შაბლევსკაია და ტორგოვაია. გზა ხსნილი იყო ტიხორეცკაიასკენ, კავკასიისკენ...

ცარიცინის დაცვაში გამოჩენილი გმირობისათვის მამაცი მეთაური გრიგოლ კობიძე — გოგიტო ციმბირელი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

წითელი მეთაურის გმირულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივის ფონდები, გრიგოლ კობიძის თანამებრძოლის, თბილისელი პეტრე სიდოროვის მოგონებები. 39-ე მსროლელი დივიზიის ყოფილმა მებრძოლმა პეტრე სიდოროვმა ბევრი რამ გააკეთა თავისი მეთაურის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მონახა იმ დაუვიწყარი დღეების ბევრი მონაწილე, შეაგროვა საჭირო მასალები, რომლებიც შემდეგ გადასცა ვოლგოგრადის მუზეუმს, დაწერა სტატია ცარიცინის ბრძოლის მოგონებათა კრებულისათვის, რომელშიც აღწერა თავისი უშიშარი მეთაურის საბრძოლო გმირობა.

ჩოხატაურელი გლეხის შვილი გრიგოლ კობიძე 15 წლიდან მოჯამაგირეობდა ბათუმში, როტშილდის ქარხანაში, შემდეგ კი ბორჯომის შუშის ქარხანაში მუშაობდა. ამ დროიდან მონაწილეობს იგი მუშათა გაფიცვებში, ავრცელებს არალეგალურ ლიტერატურას და პროკლამაციებს, აქტიურად თანამშრომლობს გაზეთებში.

1908 წელს გრიგოლ კობიძეს აპატიმრებენ. ასახლებენ ვიატსკის გუბერნიაში. პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ ბრუნდება შინ და ცარიზმთან ბრძოლას აგრძელებს დასავლეთ საქართველოსა და ბაქოში. 1912 წელს კვლავ დაპატიმრება. ამჯერად მეტეხის ციხე. გრიგოლ კობიძეს უკვე იცნობენ ფსევდონიმით — „გოგიტო ციმბირელი“ — და უყურებენ, როგორც გამობრძმედილ და მტკიცე რევოლუციონერს. ორი წლის პატიმრობის შემდეგ გოგიტო ციმბირელი იძულებულია, სამუშაოდ გადავიდეს ჩრდილოეთ კავკასიაში, პეტროვსკში, შემდეგ კი გროზნოში. აქ მოუსწრო მას პირველმა მსოფლიო ომმა. გოგიტო ციმბირელი თურქეთის ფრონტზეა, აგრძელებს აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას.

1918 წელს გოგიტო ციმბირელი შედის ბოლშევიკთა პარტიის რიგებში, იარაღით ხელში იცავს ოქტომბრის მონაპოვარს, ხდება წითელგვარდიული რაზმის მეთაური. გამოცდილ ბოლშევიკ-ლენინელს საგანგებო დავალებით გზავნიან ცარიცინში. ეს დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა.

1919 წელს გოგიტო ციმბირელი თბილისშია. ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით რევოლუციურ მუშაობას ეწევა მოსახლეობაში, აქტიურად მონაწილეობს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მგზნებარე ბოლშევიკი შეურიგებლად ებრძვის კულაკურ ბანდებს, მენშევიკთა ნარჩენებს. გოგიტო ციმბირელი თბილისისა და მისი ოლქის ერთ-ერთი პირველი სამხედრო კომისარია, შემდეგ კი რესპუბლიკის დედაქალაქის პროკურორი.

გოგიტო ციმბირელს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ რევოლუციის ერთგულებისათვის, უშიშარი ხულისათვის, უბრალოებისა და თავმდაბლობისათვის. იგი ბევრისათვის იყო მაგალითი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ესოდენ ძლიერ უყვარდა გოგიტო ციმბირელს. ლექსში „წითელ ახალგაზრდობას“ იგი ახალგაზრდებს მიმართავდა: „დღეს თქვენ ხელშია ლენინიზმის დროშა წითელი, თქვენი ვალია მისი დაცვა, წმინდათ ტარება!“.

---

ვაზები კი არა, მტრის ურდოსაგან დალეწილი რაინდები დგებოდნენ მწკრივებად. ჯაჭვ-აბჯარს ირგებდნენ ტანზე, ჩაფხუტ-მუზარადს ისინჯავდნენ, ხმალ-შუბს იმარჯვებდნენ, ალყაში აქცევდნენ ვანას, მისი შეპყრობა და გაბალთვა ენადათ.

— შენ ქართველი კი არა, ოსმალო ხარ, ყიზილბაში, ურჯული!

— გიო პაპას კი არა, ერსა მტრობ, ხალხს, სოფელს, საკუთარ თავს!

— ვაზს კი არა, იმ ტოტს ჭრი, რომელზედაც ზიხარ და გასაზრდოებს!

— ბრიყვი ხარ, გულქვა, არაკაცი!

— სიკვდილი მზაკვარს!

— სიკვდილი!

— სიკვდილი!

განსაჯეს ვანა ხმალ-შუბოსნებმა, მიეწურნენ, წრეში მოაქციეს ნიშანში ამოიღეს, სხეულის ყველა წერტილზე მიაბჯინეს შუბები, ხმლები აღმართეს ასაკუწად.

ნალდი მოიქნია ვანამ: არ მიჰყვა მკლავს ძალა, ვერ გაატოკა ხელი, მარწუხებით შეეკრათ თითქოს, ანწუხზე აგებდნენ, ათასი შუბისწვერი ჩხვლეტდა სხეულს, სისხლი ღვარად სდიოდა.

უნდოდა ეყვირა ვანას, ეღრიალა, მაგრამ მხოლოდ ხრიალებდა, უიმედოდ და ძლივს გასაგონად ხრიალებდა...

გამოეღვიძა.

ჩაბნელებულ ოთახში ტახტზე იწვა ვანა სახსრებმოშლილი და სიმწრის ოფლში ცურავდა.

სიზმარ-ცხადი ერთმანეთისაგან ვერ გაერჩია და გაოგნებულს, თვალის გახელისა ეშინოდა. მერმე სისხლი მიეძალა განაწამებ სახეს, ქუთუთოები გახსნა, ტახტზე წამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და აცახცახდა.

ერთხანს ასე დაჰყო. წამოდგა, კარი გააღო, აივანზე გავიდა.

წალმლისფრად შეფერილიყო ცა.

თვითონაც ვერ გაერკვა, რა ძალამ უბიძგა ვანას, კიბეზე დაეშვა, ეზო გაირბინა, ჭიშკარში გაიჭრა და ალაზნისაკენ დაადგა შარას, ანგარიშმიუცემლად გაჰყვა.

გონს მაშინ მოეგო, მოხუცი მევენახე ცაგახსნილ ვენახში რომ დაინახა. შეჩერდა, შემზირა ხმალშუბოსან რაინდებივით ამაყად ჩამწკრივებულ ვაზებს — სამამულე რქა-ყლორტები დილის ნიავზე ნანაობდნენ, მზეს თუ აწონებდნენ თავს.

ახლა ბერიკაცს დააკვირდა, შეათვალიერა. იგი მზრუნველად დასტრიალებდა ისრიმით დაძიგულ ვაზებს, დაკოჟრილი ხელებით ელოლიავებოდა ყოველ ფოთოლს, უალერსებდა, ესათუთებოდა და ღიმილით შეჰფოფინებდა. სვებედნიერი კაცის იერი ჰქონდა მოხუცს.

ვანა მოლზე ჩაჯდა. მზის სითბო და მაჭრის სიტკბო ჩაეღვარა სხეულში, ალიონმა სახე გაუნათა და შაბიამნისფერ ცასავით გადაესარკა სული.

# გვიხმობენ მთანი მაღალნი

### ფიქრები პრემიერის შემდეგ

ცნობილ ფრანგ მთამსვლელს ბერნარდინის ჰკითხეს, მაინც რატომ დადიხარ მთებშიო? ბერნარდინიმ საკმაოდ მკვახედ უპასუხა: თუნდაც იმიტომ, რომ იქ ასეთ სულელურ შეკითხვას არავინ მაძლევსო.

მეც ბევრჯერ მიმიცია ასეთი „სულელური შეკითხვა" ჯუმბერ მეძმარიაშვილისთვის, მიხეილ ხერგიანისთვის, ჩვენი სხვა მთამსვლელებისთვისაც...

ჯუმბერი მუდამ აღელვებით, ენის ბორძიკით მოგვითხრობდა მთებსა და მწვერვალებზე, იმ განუმეორებელი სილამაზის მარადიულ თეთრ მდუმარებაზე, რომელსაც მხოლოდ მწვერვალზე ასული ადამიანი შეიგრნობს და განიცდის; მიშა კი ამ შეკითხვაზე უცნაურად ჩაიცინებდა, თითქოს ამბობდა, თქვე საცოდავებო, რა უნდა გელაპარაკოთო...

მთავარი დასკვნა, რაც მათი ნათქვამ-ნააზრევიდან გამომქონდა, ის იყო, რომ ადამიანი მწვერვალთა ძლევისას მართლაც ზეკაცად გრძნობს თავს და მთებთან ჭიდილში გამარჯვებული, ჰიმნს უმღერის ადამიანის უძლეველობას, მიზანსწრაფვას, მეგობრობას, ხდობას!

მართლაც, ზეკაცები იყვნენ ჩემი ჯუმბერი, მიშა და მათი მეგობრები, რომლებთანაც რევაზ თაბუკაშვილმა შეგვახვედრა თავის დიდებულ კინოდილოგიაში „მთანი მაღალნი".

განუზომლად დიდია შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ თაბუკაშვილის ღვაწლი ქართულ კულტურაში. ჩვენს დოკუმენტურ კინოში მან თამამად შემოიტანა და დაამკვიდრა კინოპუბლიცისტიკის ჟანრი, წარმოუდგენლად ძნელი, შრომატევადი, თავსატეხი ჟანრი.

კინოდილოგია „მთანი მაღალნი" შედგება ორი კინომოთხრობისგან: „ვიტორიო სელლა" და „მიხეილ ხერგიანი". ცხადია, ეს ორი ამაღელვებელი ნაწარმოები ერთმანეთთან ბუნებრივადაა შერწყმულ-გადაჯაჭვული, მაგრამ ისინი ცალცალკეც აღიქმებიან, როგორც დამოუკიდებელი, მეტად ემოციური ნოველები. შეუძლებელია, ამ ფილმებს აუღელვებლად უყუროს კაცმა, მით უმეტეს მან, ვისაც ეკრანმა გაუცოცხლა ძველი მეგობრები და ამხანაგები, ეს „დამარცხებული გამარჯვებულები" — მიხეილ ხერგიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ილია გაბლიანი, გურამ თიკანაძე...

კინოდილოგიის ავტორებმა კარგი საქმე გააკეთეს, როცა „მიხეილ ხერგიანში" ორგანულ ნაწილად შეიტანეს 1923 წელს მყინვარწვერზე ქართველ მთამსვლელთა პირველი ასვლის ამსახველი ძველი ფირი. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობამ მისცა დასაბამი საბჭოთა ალპინიზმს. დილოგიაში გამოყენებულ ძველ ფირზე აღბეჭდილი არიან გიორგი ნიკოლაძე, ალიოშა ჯაფარიძე და სხვა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელები.

კულმინაციური მომენტები ორივე ფილმში, განსაკუთრებით „მიხეილ ხერგიანში" დიდი ოსტატობითაა ხორცშესხმული და მძაფრი ექსპრესიით დამუხტული. ეს კადრები განსაცვიფრებელი სიმბოლიკითაა გადაწყვეტილი. ეს არის ნამდვილი ჰიმნი „დამარცხებული გამარჯვებულებისა" და, რეჟისორის თანაბრად, ოპერატორების იური ბარამიძისა და გენადი რეხვიაშვილის დიდ შემოქმედებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს. აქვე უნდა გავიხსენოთ: იური ბარამიძე — კარგი მთამსვლელი, მიხეილ ხერგიანის მეგობარი იყო და ბევრი ღამე უთენებია მიშასთან მიუვალ. თოვლიან მთებში, ქართა საბრძანებელში გამართულ კარავში.

ვიტორიო სელლამ — XIX საუკუნის გამოჩენილმა იტალიელმა მოგზაურმა და მთამსვლელმა, ეთნოგრაფმა და ფოტოხელოვანმა, მკვლევარმა და მეცნიერმა ხანგრძლივი, საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. მან საკუთარ სამშობლოსავით შეიყვარა საქართველო, რომლის შესწავლა-ფოტოგრაფირებას დიდი ენერგია და მონდომება შეალია. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა ზემო რაჭითა და სვანეთით, რომელთა შესახებ უნიკალური, დიდი ოსტატობით გადაღებული სურათები მთელ იმდროინდელ ეპოქას ხორცშესხმულად წარმოგვიდგენს. ეს მდიდარი ფოტომასალა რ. თაბუკაშვილმა ბრწყინვალედ დაუკავშირა ვიტორიო სელლას შთამომავლებთან თავისი დღევანდელი შეხვედრების ამსახველ ერთობ მიმზიდველ დოკუმენტებს.

სცენარისტისა და რეჟისორის მახვილგონივრულ მიგნებად მიმაჩნია ფილმის ის მოზრდილი ფრაგმენტი, საქართველოში მოღვაწე იტალიელებს რომ მიეძღვნა. წარსული და აწმყო ერთმანეთში ბუნებრივი, თითქოს უხილავი ძაფებითაა გადახლართული; XIX საუკუნიდან დაწყებული თბილისში მცხოვრებ იტალიელთა მთელი პლეადა და აგერ სულ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს მხარდამხარ მოღვაწე, სახელგანთქმული მშენებელი კარლო მორეტი...

შეუძლებელია, გულგრილი დარჩეს ადამიანი, როდესაც საქმე ეხება ძველი ქართული ხელნაწერების აღმოჩენა-მოპოვებას. სწორედ რ. თაბუკაშვილის მონდომების შედეგია, ქართული „კურთხევანის" პირველი ტექსტები ერთი საუკუნით რომ „დაგვიძველდა"...

რევაზ თაბუკაშვილის, რომელი ერთი პატრიოტული საქმე ჩამოვთვალო! მარტო ვიტორიო სელლას საქართველოსადმი მიძღვნილი ფოტოარქივისა და დღიურების მოპოვება რად ღირს!

ცალკე წერილის თემაა ოპერატორთა ნამუშევარი; დარწმუნებული ვარ, ამ დარგის სპეციალისტები იტყვიან თავიანთ კომპეტენტურ სიტყვას. არ ძალმიძს, აღფრთოვანება არ გამოვთქვა ბევრი დიდებული კადრის გამო,—იქნება ეს კავკასიონის ზვიადი მთაგრეხილი თუ ალპების პირქუში მწვერვალები, სვანეთის პეიზაჟები თუ იტალიის მთიანეთის ხეობები, ნისლის საბურველში გახვეული ჭიუხები თუ გონდოლების ტრადიციული რეგატა ვენეციაში...

ასევე მაღალ შეფასებას იმსახურებს როგორც კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძის, ისე მხატვარ თენგიზ მირზაშვილის ნამუშევარი.

...გუშინდელ დღესავით მახსოვს, თბილისის აეროდრომზე დაშვებული თვითმფრინავი, მიშა ხერგიანი რომ ჩამოასვენა. ახლაც ყურში ჩამესმის დამხვდურთა მოთქმა და ზარი, მახსოვს მიშას მამა ბესარიონი, შავი ხილაბანდი რომ ჰქონდა ნაკრული და საზარლად გმინავდა.

ახლა კი ვიხილე გაცოცხლებული მიშა, რომელიც სლავა ონიშჩენკოსა და სხვა ამხანაგებთან ერთად მიემართებოდა სუ-ალტოს მთისკენ, რათა მასაც თავზე მოქცეოდა.

ვენეციის ტელევიზიის მიერ გადაღებული ეს კინოფირიც რომ ვიხილეთ, ესეც რევაზ თაბუკაშვილის დაუცხრომელი ძიების ნაყოფი გახლავთ. დიახ, ეს მან დაგვანახა მიშა ხერგიანის ცხოვრების უკანასკნელი ნაბიჯები, ცხოვრებისა, ასე მუხანათურად რომ განყვიტა ბასრმა ლოდმა სუ-ალტოს ციცაბოზე. ასვლის წინ საოცრად სევდიანი თვალებით დაჰყურებს მიშა სამარშრუტო რუკას... მცირე ხნის შემდეგ ვხედავთ მიშა ხერგიანის უკანასკნელ გამოხედვას სუ-ალტოს შვეული კედლიდან.

სწორედ ამ საბედისწერო ჟამს გამოვლინდა მთის შვილების, სხვადასხვა ეროვნების მთამსვლელთა ვაჟკაცური, მთის წყალივით ხალასი და წმინდა მეგობრობა.

აკი თქვა ერთხელ მიშა ხერგიანმა, ჩემთვის ყველა მედალზე ძვირფასი გაჭირვებაში ჩავარდნილი მთამსვლელის გადარჩენააო!

ამ მეგობრობაზე, მიშა ხერგიანის დიდ ადამიანურ თვისებებზე ფილმში ნაღვლიანად ლაპარაკობენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე 1953 წლის ექსპედიციის ხელმძღვანელი, ინგლისელი ლორდი ჯონ ჰანტი, რუსეთის მთამსვლელობის მამამთავარი ევგენი აბალაკოვი, რუსი თუ იტალიელი ალპინისტები.

დაუვიწყარია ევერესტის პირველ დამპყრობთან, „თოვლის ვეფხვად" წოდებულ შერპთან თენსინგ ნორგეისთან ერთად ყაბარდო-ბალყარეთში აღბეჭდილი „კლდის ვეფხვი" — მიშა ხერგიანი.

რეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა ყოველივე ეს ერთ მთლიან, ლოგიკურ, ამაღელვებელ ნაწარმოებად შეკრა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფილმში უხვადაა ისეთი ფრაგმენტები თუ ეპიზოდები, რეტროს რომ უწოდებენ.

კინოდილოგიის მეორე ფილმის შექმნით ავტორებმა „დამარცხებულ გამარჯვებულებს" ახალი მწვერვალი დააპყრობინეს.

ორივე ფილმში დიდი გემოვნებითა და გზნებით დაწერილ სადიქტორო ტექსტს გულში ჩამწვდომად, ამაღელვებლად კითხულობს... რევაზ თაბუკაშვილი.

**მიხეილ კაკაბაძე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსთაველის მეგობარი

მსოფლიოში, ალბათ, არ დარჩა ხალხი, შოთა რუსთაველის პოემას რომ არ იცნობდეს; „ვეფხისტყაოსანი", თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ის, რომ გერმანულად მეორედ აჟღერდა ქართული პოეზიის ეს თვალმარგალიტი, საქართველოს დიდი მეგობრის, ცნობილი ავსტრიელი მწერლის ჰუგო ჰუპერტის დამსახურებაა.

ჰუგო ჰუპერტი ფაშისტურ რეჟიმს გამოექცა. მან მრავალი წელი დაჰყო ჩვენს ქვეყანაში, ეცნობოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას, დაწვრილებით სწავლობდა მის წეს-ჩვეულებებს.

საქართველომ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მიიღო ავსტრიელი პოეტი. მისი ახლო მეგობრები იყვნენ გამოჩენილი პოეტები სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა, იოსებ ნონეშვილი, მოქანდაკე თამარ აბაკელია; ძვირფას სტუმარს არაერთხელ შეხვედრია პოეტი კარლო კალაძე.

ჰუგო ჰუპერტი არაერთხელ მოხიბლულა ქართული სტუმართმოყვარეობით და მისადმი გულწრფელი დამოკიდებულებით.

„...სიმონ ჩიქოვანი მიწვევს მოსკოველ მწერალთა საზოგადოებაში — ვიქტორ გოლცევთან და ირაკლი ანდრონიკოვთან ერთად ძველ ქართლში, ქალაქ გორში"... — ვკითხულობთ თბილისში მცხოვრები მეგობრისადმი — მარიამ გოგიშვილ-სუკოსიანისადმი გაგზავნილ ბარათში.

თბილისის მუსიკალური კომედიისა და ჭიათურის დრამატული თეატრების ყოფილმა მსახიობმა მარიამ ალექსანდრეს ასულმა, რომელსაც თავად ასულდგმულებდა პოეზია და ხელოვნება, უცხო მიწის შვილს გაუღვიძა ის თავდავიწყებული სიყვარული ქართული პოეზიისადმი, რაც დაეხმარა ჰუგო ჰუპერტს, ბოლომდე მიეყვანა მეტად ძნელი და კეთილშობილური საქმე.

„...რუსთაველის პერიოდმა მთლიანად შთანმთქა, დამატყვევა, როგორც ზოგიერთი ადამიანი ჭადრაკის თამაშმა. შეჩერება შეუძლებელია. შაირის სალექსო რითმებს ბევრი საერთო აქვს ჭადრაკის ამოცანებთან. საჭიროა, სვლების განსაზღვრულ რაოდენობაში, წესების მკაცრი დაცვით ამოიხსნას უძნელესი ფორმის პრობლემა, შინაარსი, მიაღწიო გამარჯვებას, შეუძლებელი შესაძლებელი გახადო", — წერს იგი მარიამ ალექსანდრეს ასულს და მას თავის „მუზას" უწოდებს.

მარიამ ალექსანდრეს ასული, რომელიც საუცხოოდ ფლობს ქართულ ენას, ჰუგო ჰუპერტს შთაგონებით უკითხავდა პოემას, უხსნიდა, აგებინებდა ქართული ლექსის სულს, შეჰყავდა იგი რუსთაველის პოეზიის სამყაროში.

— იგი თავდავიწყებით მუშაობდა, — იგონებს მარიამ ალექსანდრეს ასული, — შეეძლო, სულმოუთქმელად ეწერა. შესვენების დროს რუსთაველის ძეგლთან მიდიოდა, რითა თაყვანი ეცა მისთვის. ეს დაფასება და სიყვარული გენიალური ქართველი პოეტისადმი, მხიბლავდა და შეძლებისდაგვარად, ხელს ვუწყობდი მას შემოქმედებით მუშაობაში...

ჰუპერტისათვის ყველაზე საუკეთესო ჯილდო იყო ჯერ კიდევ [illegible] წლებში სპეციალისტების დადებითი გამოხმაურება „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ თარგმანზე.

სამშობლოში დაბრუნების წინ ჰუგო ჰუპერტი სინანულით ეთხოვებოდა „მომხიბლავ კავკასიას, მთიან, მდინარიან და ზღვიან მზეთუნახავს — სტუმართმოყვარე სამეგრელოს, იმერეთს და გურიას, კეთილ ქუთაისსა და ბათუმს".

შესანიშნავი ავსტრიელი პოეტი გულისტკივილით ეთხოვებოდა თავის თბილისელ მეგობრებს, რომლებშიც ის ყველაზე მეტად აფასებდა გულითადობას, გულწრფელობას, ტემპერამენტს, მუსიკალობასა და კეთილშობილებას.

საქართველოში ყოფნისას პოეტი დარდობდა სამშობლოზე, ამჟამად კი სიყვარულით იგონებს ქვეყანას, სადაც დატოვა თანამოკალმეები, მეგობრები, ამხანაგები და მათ თავის თითქმის ოთხმოცი წლის ასაკშიც კი არ ივიწყებს.

**მარგარიტა ვახტანგოვა**

პირველი ქართველი გრავიორი, ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი გრიგოლ ტატიშვილი 73 წლისა გარდაიცვალა 1911 წელს. მას ეკუთვნის ხეზე ფაქიზად ამოჭრილი „დედაენის", „ბუნების კარის", „რუსკოე სლოვოს", „ნობათის", „ჯეჯილის", „ნაკადულის" და სხვა მრავალი გამოცემის ილუსტრაციები. როგორც ნინო ნაკაშიძე წერდა: „გრიგოლ ტატიშვილი ერთნაირად საყვარელი იყო დიდებისა და პატარებისათვის".

1911 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელში" (№ 31) მოთავსებულია ნეკროლოგი გრიგოლ ტატიშვილის გარდაცვალების გამო. მასში ვკითხულობთ:

„ქსილოგრაფია სრულიად უცნობი იყო არამცთუ ქართველებისათვის, არამედ თვით კავკასიაშიც იშვიათად მოიძებნებოდა ამგვარი ხელოსნები. ეს კი საჭირო იყო. მაშინ ცინკოგრაფია ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩვენში და თუ რომელიმე გამომცემელი მოინდომებდა თავისი გამოცემა სურათებითა და ნახატებით გაელამაზებინა, მას საზღვარგარეთ უნდა შეეკვეთა. ეს კი ძალიან ძვირი ჯდებოდა. საზოგადოება ნელ-ნელა დაინტერესდა ტატიშვილის შრომით. განსაკუთრებით 1889 წელს, როდესაც მან გამოსცა პირველი დასურათებული საბავშვო წიგნი „შალვას თავგადასავალი". მას შემდეგ მიმართავდნენ ხოლმე რუსეთის სხვადასხვა გამომცემელნი, რომლებიც მუდამ მადლიერებით და ქებით იხსენიებდნენ მის ნაშრომს".

ამას წინათ საოჯახო წიგნსაცავში წიგნების შეკვრას წავაწყდი. მათ შორის იყო ფაქიზად გაფორმებული ალბომი „ჩართული ანბანის" სახელწოდებით. იგი გამოცემულია 1894 წელს მინადორა ტატიშვილის მიერ, დაბეჭდილია ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის სტამბაში. სატიტულო ფურცელზე ავტორისეული წარწერაა: „ამ ალბომის შემოსავლიდამ 10 პროცენტი შემიწირავს მომავლის საქალებო ქართულის სკოლისათვის". გარეკანის შიდა გვერდზე დაბეჭდილია გრიგოლ ტატიშვილის წინათქმა:

„სრული თერთმეტი წელიწადი ვიმუშავე ამ ჩართულ ანბანზე (მონოგრამებზე). ჩემი თავისუფალი დრო მთლიანად მის შედგენა-ამოჭრას მოვანდომე. ეს ჩემი განზრახვა 1882 წელს განსვენებულმა დავით ერისთავმა მომიწონა, რომელსაც ხელოვნება უყვარდა და რომელიც მისი დიდი თაყვანისმცემელი იყო და უფრო წამახალისა კიდეც იმით, რომ ხშირად შემიკვეთავდა ხოლმე სხვადასხვა ჩართულ ასოებს... ამასთანავე მეტყოდა ხოლმე, რომ ჩვენ, ქართველებს არა გვაქვს ხელოვნური ანბანიო სხვადასხვა ლითონის ნივთებზე ამოსაჭრელად და ქსოვილებზე დასითვით (გლადით) ამოსაკერადო... ერისთავისგან წახალისებულმა, რაც კი შემეძლო, ვიშრომე და დავამთავრე კიდეც..."

## საოჯახო წიგნსაცავში




გრიგოლ ტატიშვილის მიერ ხეზე ამოჭრილი ჩართული ქართული ასოების მთელი კომპლექტი, რაც ზემოხსენებულ ალბომშია დაბეჭდილი, შესრულებულია მაღალი ოსტატობითა და ხელოვნებით.

გრიგოლ ტატიშვილი იყო საქართველოში გრავიორისა და ქსილოგრაფიის დიდი ოსტატი, ამ კეთილშობილური საქმის პირველი მოთავე და საფუძვლისჩამყრელი.

გთავაზობთ ალბომის ერთი გვერდის ილუსტრაციას.

**მიხეილ ჭოჭუა**
ქალაქი ოჩამჩირე.




ნ. ჯორჯიკია ვარჯიშის დროს. 1957 წ.



საქართველოს ნაკრები რვა ქალაქის მატჩზე ეთამაშება ლატვიის გუნდს. 1950 წ.

ყოფილ დიდ კალათბურთელზე, ან საერთოდ მაღალი რანგის სპორტსმენზე წერა საკმაოდ რთული საქმეა და ალბათ სარისკოც. უნდა აისახოს მთელი იმდროინდელი მიმართულებები, რა პერიოდშიც ისინი სარბიელზე გამოდიოდნენ და ახალ მიმდინარეობებსა თუ სათამაშო კონცეფციებს უყრიდნენ საფუძველს. ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ მაგალითად ტალინელ პუტმახერის „კრიუკს“ (გვერდითი გდება), რაც უნიკალური იყო ორმოცდაათიან წლებში, დღეს ბარე ორი ათეული სპორტსმენი ფლობს. ანდა ავიღოთ, იმავ ბალტიისპირელთა დაცვის თავის დროზე საკმაოდ გავრცელებული ვარიანტი — „ბლოკი“. ყველაფერი ეს სადღეისოდ დრომოჭმულად გამოიყურება და ისევე როგორც ყოველგვარი რეტროსპექტივა მხოლოდ სევდანარევ ღიმილს იწვევს... მაგრამ არიან კალათბურთელები, რომელთა სათამაშო აზროვნება, მეტოქის ჩანაფიქრის გამოცნობის საოცარი ალღო და ინტუიცია, შესაშური ბრძოლისუნარიანობა და თამაშის დაუოკებელი ჟინი დღესაც მისაბაძია ყველასთვის.

ნოდარ ჯორჯიკია! რამდენის მთქმელია ეს სახელი ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების კალათბურთის მოყვარულთათვის, ქართული კალათბურთის წარსული დიდება ხომ მასთან არის დაკავშირებული. სპორტის არც ერთ სახეობას კი, ჭიდაობის გარდა, არ მოუტანია იმდენი სასახელო გამარჯვება და მედალი რესპუბლიკისათვის, რამდენიც კალათბურთს.

1944 და 1946 წლებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ თბილისის ოფიცერთა სახლის სპორტსმენები, მათი სული და გული მერვე ნომერი — ნოდარ ჯორჯიკია გახლდათ. იგი თამაშობდა „დინამოს“ შემადგენლობაში 1950, 1953, 1954 წლებში, როცა გუნდი სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს დაეუფლა, ხოლო 1950-1951 წლებში ჩვენი ქვეყნის თასი მოიპოვა, მაშინაც, როცა 1952 წელს თბილისელებმა ტრადიციული რვა ქალაქის მატჩში პირველი ადგილი დაიმკვიდრეს.

ნოდარ ჯორჯიკია პირველთაგანი იყო იმ კალათბურთელთა შორის, ვინც 1947 წელს ბრწყინვალედ განვლო ევროპის ჩემპიონატის ბრძოლები პრაღის სარბიელზე და ოქროს მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კალათბურთი ფართო მასშტაბით გავიდა საერთაშორისო ასპარეზობებზე. 1947 წელს საკავშირო კალათბურთის სექცია კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიბა) შევიდა და პირველად მიავლინა ნაკრები გუნდი ევროპის ჩემპიონატზე.

— მახსოვს, როგორ გვიხაროდა პრაღაში მოპოვებული გამარჯვება, — იგონებს ნოდარ ჯორჯიკია, — განსაკუთრებით გვახარებდა ის, რომ გაიმარჯვა დებიუტანტმა — საბჭოთა საკალათბურთო სკოლამ და რარიგ რთული იყო ეს გზა, პირველი გამარჯვებისა. დღე და ღამე გუნდის შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტის ძიებაში ვიყავით...

სპორტულმა პრესამ და სპეციალისტებმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს დებიუტანტის გამოსვლებს და ასპარეზობის დამთავრების შემდეგ კონტინენტის იდეალურ ნაკრებში ოთხი საბჭოთა კალათბურთელი — ჯორჯიკია, ლისოვი, ალექსეევი და ქორქია შეიყვანეს.

— მოგეხსენებათ, საერთოდ ყოველგვარ დებიუტს მრავალმხრივი სირთულეები ახლავს და მათ შორის თვით მაყურებლის პრობლემაც — ამბობს ნოდარ ჯორჯიკია, — დამწყები მსახიობივით, ჩვენც გვაშინებდა მათი სიმრავლე. რას იზამ, მაშინ არ გვქონდა მრავალათასტრიბუნიანი სპორტის სასახლეები, როგორც ახლაა. ამიტომაც 5-6 ათასი მაყურებლის თავიანთი გუნდის ქომაგობა სიახლე იყო და ძნელად დასაძლევიც. გარდა ამისა, პრიზიორების სერიოზულ პრეტენდენტებად არავინ გვთვლიდა. ესეც გვბოჭავდა და ბოლოს, გუნდის ტაქტიკური სქემაც საკმაოდ პრიმიტიულად გამოიყურებოდა. ჩვენი ხუთეული (ლისოვი, კულამი, ალექსეევი, კონევი, კულაკაუსკასი) მტკიცედ მისდევდა სათამაშო ქარგას — 3 წინ, 2 დაცვაში — ასეთი იყო მოედანზე მოთამაშეთა „კლასიკური“ განლაგება. და აი, ნახევარფინალში ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან — ეგვიპტის გუნდთან მათი თავდასხმის ლიდერის მონტესერის უვნებელყოფა მე მომანდვეს, რის გამოც საგონებელში ჩავვარდი. რა მოვუხერხო მონტესერს? — ამ ფიქრმა ძილი გამიფრთხო. ბოლოს დავასკვენი — რაღა მე ვდიო თავდამსხმელს, მოდი, თავად მდიოს. და მართლაც, მოედანზე როლები შეიცვალა, — როგორც კი მსაჯმა სასტვენს ჩაბერა, მეტოქის ფარისკენ გავიჭერი — არის ორი ქულა! მას კიდევ ორი მოჰყვა და ვამჩნევ, რომ აჩრდილივით ამედევნა მეტოქეთა თავდამსხმელი. მისი უვნებელყოფის წყალობით ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა — 48:32 და ფინალისაკენ გაიკაფა გზა.

და აი, ფინალიც — მატჩი ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. აქაც ძლიერი მეტოქე ელოდა ნოდარ ჯორჯიკიას კოზაკის სახით. იგი, ჩვეულებრივ, ენიძლავებოდა მეგობრებს. ამ მატჩში ამდენ ბურთს ჩავაგდებო. ცხადია, მსგავსი ნიძლავი ამ შეხვედრაშიც ჰქონდა დადებული, მაგრამ... ქართველ მცველთან ვერაფერი გააწყო. უფრო მეტიც, ცნობილი ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ წარმომადგენელსა და კალათბურთის სპეციალისტს ბიუსნელს მასპინძელი კარგა ხანს მიაჩნდა ევროპის იდეალური ნაკრების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად. მაგრამ ჯორჯიკია-კოზაკის — ამ დუელის შემდეგ ჩეხი სპორტსმენი საერთოდ ამოიშალა სიიდან...

საგულისხმო იყო ისიც, რომ საბჭოთა ნაკრებმა შეჯიბრებაზე სტარტი ასეთი ხუთეულით აიღო — უშაკოვი, კონევი, ალექსეევი, ლისოვი, კულამი, ხოლო უშუალო ასპარეზობის მსვლელობაში მან შემდეგი სახე მიიღო: ალექსეევი, ქორქია, ლისოვი, ჯორჯიკია, კონევი. სულ მალე საბჭოთა ნაკრებს მორიგი სერიოზული გამოცდა ელოდა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშების სახით. კიდევ ერთხელ




სსრ კავშირის 1951 წლის თასის გათამაშების გამარჯვებული გუნდების კაპიტნები მაშა კოზლოვსკაია (უკრაინა) და ნოდარ ჯორჯიკია ალმის დაშვების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიბრწყინა ნოდარ ჯორჯიკიას მაღალმა ოსტატობამ. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ყველას ოლიმპიადის კალათბურთელთა ტურნირის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი ბრაზილიის გუნდთან, რომელსაც საბჭოთა ნაკრები საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე აგებდა 11 ქულით. ამ დროს მოედანზე შემოვიდა ნოდარ ჯორჯიკია, რომელმაც თამაშში ნამდვილი ცეცხლი დაანთო და მის გარღვევებს ვერაფერი მოუხერხა ბრაზილიელთა აღიარებულმა დაცვამ. საერთოდ ბრაზილიელები, რომელთა რიგებში ორი ვირტუოზი ზანგი იყო, თავბრუდამხვევი ტემპით თამაშობდნენ, შესანიშნავად ფლობდნენ ცრუ მოძრაობას და ზუსტად ესროდნენ ბურთს კალათში. საბჭოთა ნაკრებმა გაამაგრა დაცვა და შეხვედრა მოიგო— 54:49. ამას მოჰყვა კიდევ ერთი შეხვედრა არანაკლებ ტემპერამენტიან ურუგვაელ სპორტსმენებთან. ისინი ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ მარცხს მოედანზე და ხშირად უხეშობდნენ მეტოქისა და მსაჯების მიმართ. მათ შორის გამოირჩეოდა ძალზე სწრაფი და მოქნილი თავდამსხმელი აკოსტა, რომლის უვნებელყოფა ძალიან გაუჭირდა ჩვენს გუნდს. მოედანზე კვლავ ჯორჯიკია შემოდის და... აკოსტა ფარ-ხმალს ყრის მის წინაშე.

საბჭოთა ნაკრები XV ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ხდება და ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართველ სპორტსმენს. რამდენი საინტერესო მატჩის მომსწრე გახდა მაყურებელი თბილისშიც...

კალათბურთში ნოდარ ჯორჯიკია ფეხბურთიდან მოვიდა. ჩასწვდა ამ ცეცხლოვანი თამაშის არსს. საბოლოოდ ეზიარა მას უნივერსიტეტის კედლებში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე ჯორჯიკია სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად იარაღით ხელში კავკასიონის მისადგომებს იცავდა — იბრძოდა ბაქსანის ხეობაში. აქ მას მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები და მედლები, ხოლო როგორც კი მტერი უკუაგდეს, ომის წლებში, მან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა.

დღეს ნოდარ ჯორჯიკია კვლავ მწყობრშია და ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით ემსახურება ქართულ სპორტს, მისი შემდგომი განვითარების საქმეს.

ქართველი გულშემატკივრების სახელით ვულოცავთ მას დაბადების მე-60 წლისთავს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს ვუსურვებთ პირად ცხოვრებაში.

**უშანგი ჭიჭინაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.



ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძე.

# ჭადრაკი



## კოდირებული ბარათი

1878 წლის შემოდგომაზე რუსეთში ვითარება ძალიან დაიძაბა. ქალაქებსა და სოფლებს მუშათა და გლეხთა მოძრაობის ტალღა მოედო.

აგვისტოს დამდეგს ხალხოსნებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ჟანდარმთა და III განყოფილების შეფი მეზენცევი. 1 ნოემბერს პეტერბურგში გამოვიდა იატაკქვეშა-რევოლუციური გაზეთის „ზემლია ი ვოლიას“ პირველი ნომერი, რომელიც ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებდა და შიშის ზარს სცემდა მეფის მინისტრებს.

სწორედ ამ დაძაბულ დღეებში, ნოემბრის პირველ რიცხვებში, უჩვეულო მღელვარება იყო პეტერბურგის ჭადრაკის მოყვარულთა წრეშიც, რომელსაც მოსკოველ მოჭადრაკეებთან მიმოწერით ბრძოლა ჰქონდა გამართული ორ დაფაზე.

პირობის თანახმად, მეტოქეებს საპასუხო სვლები სამ დღეში მაინც უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ შვიდი დღე მიიწურა და მოსკოველებისაგან არაფერი ისმოდა. დანებებით ისინი არ დანებდებოდნენ, რადგან უპირატესობა აშკარად მათს მხარეზე იყო.

პეტერბურგის წრე შეკითხვას შეკითხვაზე გზავნიდა და ბოლოს, როგორც იქნა, საპასუხო სვლები მიიღო.

რამ გამოიწვია ასეთი გაუგებარი შეფერხება? მიზეზი მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ გაირკვა, როცა მკვლევარებმა III განყოფილების საიდუმლო არქივში (იგი დაცულია მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში) მოჭადრაკეთა ბარათები აღმოაჩინეს.

დიახ, 1878 წლის 1 ნოემბერს პეტერბურგის ფოსტამტში III განყოფილების აგენტებს ხელში ჩაუვარდათ „საეჭვო“ ბარათი რაღაც „საიდუმლო“ ფორმულებით.

„ს. პეტერბურგი. ოფიცერთა ქუჩა, № 10. ბინა 15. მიხეილ ივანეს ძე ჩიგორინს.

1878 წ. 29 ოქტომბერი

№ 1

პეტერბურგი
24. კb2:f6

თუ:

25. ლa1:f6

მაშინ:

ლd7—e7
მოსკოვი
კg7:f6

№ 2

მოსკოვი
28.
29. ლc6:c7
პეტერბურგი
მb7:d6

სავსებით ვეთანხმები თქვენს ვარიანტს d5 სვლაზე.

ჩვენი კლუბი ნელ-ნელა იზრდება, თუმცა მოთამაშეები ღმერთს არ უქნია, — ერთი წესიერი პარტია არ გამოერევა.

ფ. ბოვიკინი.

III განყოფილებაში განგაში ატყდა: ხომ შეიძლება ეს უცნაური ბარათი დაშიფრული ბრძანება იყოს აჯანყების შესახებო?

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. და აი, იმავე ფოსტიდან განყოფილებაში კიდევ ერთი ბარათი მიიტანეს ძველი ტექსტით და ახალი მინაწერით:

„პირდაპირ მაკვირვებს ფოსტის დაუდევარი მუშაობა. თქვენ და ბ-ნ. შ-ს (როგორც ჩანს, ეს იყო ცნობილი პეტერბურგელი მოჭადრაკე ე. ს. შიფერსი) ბარათები მე გამოგიგზავნეთ — ჩემი ხელით ჩავუშვი საფოსტო ყუთში შმიდტთან (თვალსაჩინო მოსკოველი მოჭადრაკე) თათბირის შემდეგ.

ჟანდარმები ზეიმობდნენ — ამ ბარათებმა ისინი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მეამბოხეთა კვალს მიაგნეს. შემდეგ კი... მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გრაფი ვალუევი ბარათების ტექსტს გაეცნო და ზედ ერთადერთი სიტყვა წააწერა: „ჭადრაკია!!!“ გულში კი უთუოდ უფრო „ალერსიანი ქათინაურებით“ შეამკობდა თავის უვიც, ბრიყვ ხელქვეითებს.

ასეთი რეზოლუციის გამო, საქმე, რაღა თქმა უნდა, მაშინვე შეწყდა, მაგრამ ჟანდარმებს არც უფიქრიათ ბარათები გადაეგზავნათ „საჭადრაკო ფურცლის“ რედაქტორ მ. ჩიგორინისთვის, რომელიც პეტერბურგ-მოსკოვის მატჩში შუამავლის როლს ასრულებდა.

შემდეგ თამაში გაურთულებლად გაგრძელდა. ორივე პარტია მოსკოველებმა მოიგეს. ეს პარტიები დაბეჭდილია ჩიგორინისეულ „საჭადრაკო ფურცელში“ (1878 წ. №№ 2-6, 1879 წ. №№ 1-4).

### შამათი ოთხ სვლაში...

ამ ამოცანის პირობა, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა (იხ. დიაგრამა). დიაგრამაზე აღბეჭდილ პოზიციაში თეთრები ერთ სვლაში შამათს უცხადებენ მეტოქეს. მაგრამ აბა სცადეთ შამათი ოთხ სვლაში, ოღონდ უთუოდ პაიკით.

ჟურნალი გამოაქვეყნებს იმ მკითხველთა გვარებს, რომლებიც პირველნი გამოგზავნიან სწორ პასუხს.

**ედუარდ გუფელდი**

# გრიბოედოვის თანამგზავრის ჩანაწერები

ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების წევრმა, სწავლულმა რობერტ ლაიელმა 1822 წლის ივნისში ალექსანდრე გრიბოედოვთან ერთად იმოგზაურა საქართველოში, კერძოდ, კახეთში.

მოგზაურები თბილისიდან დაიძრნენ 22 ივნისს და შეჩერდნენ მუხროვანში, რომელზედაც ლაიელი წერს: „ამ მშვენიერ ადგილას არის შტაბი ერთი პოლკისა, რომლის ერთი ბატალიონი ჩვეულებრივად აქვეა დაბანაკებული".

23 ივნისს, საღამოს 5 საათზე, მოგზაურებმა დატოვეს მუხროვანი, გადალახეს მდინარე იორი და მივიდნენ გომბორის სამხედრო სადგურამდე. იქვე გაათიეს ღამე და მეორე დღეს თელავისაკენ აიღეს გეზი.

თელავში ისინი მაზრის უფროს ილინსკისთან დაბინავდნენ. აი, რა შთაბეჭდილება მოუხდენია თელავს მოგზაურებზე: „...თელავი მეტად შესანიშნავია თავისი სამი ციხით. ამათგან ყველაზე დიდ ციხეში ხშირად ცხოვრობდა ერეკლე მეფე, განსაკუთრებით ზაფხულობით".

ლაიელი თითქმის დაწვრილებით აღწერს მეფეთა სასახლეს: „მეფის სასახლეს გარს არტყია ერთი ციხე და მას ჰყოფს რამდენიმე სხვა სახლიდან, სადაც კარისკაცები ცხოვრობდნენ. ახლა სასახლე დანგრეულია და სააუდიენციო დარბაზი თავლად არის გამოყენებული. უეჭველია, ეს სახლი სასახლეში ფართო და კეთილმოწყობილი სადგომი უნდა ყოფილიყო. მის ქვედა სართულში მაიორ ილინსკის პირადი საჭიროებისათვის შეუკეთებია რამდენიმე დაბალი და ლამაზთალოვანი ოთახი და მათ შორის ისიც, სადაც მეფე ერეკლე გარდაცვლილა..."

ლაიელი მოხიბლულა თელავის მდებარეობით: „მე აღტაცებული ვარო მისი გემოვნებით, ვინც თელავი მეფის რეზიდენციად აირჩია. მართლაც ამაზე ლამაზი გადასახედი ადგილი თითქმის არ მოიძებნება... მოიხილავს. გასაოცარი სანახაობა იშლება მაყურებლის თვალწინ კარგ ამინდში, განსაკუთრებით მომხიბლავია საღამოობით. ჩრდილო-დასავლეთით, თელავის ხეობაში მიედინება ალაზანი. მიდამო მოფენილია ტყეებით, ვენახებით, ნოყიერი საძოვრებით, ნაყოფიერი სათესი მინდვრებით, ლამაზი გორაკებით. ამფითეატრად ამართულ ღრუბლებში შერეული კავკასიონი".

თელავის მაზრაში, ლაიელის ცნობით, იმჟამად უცხოვრია 34.000 სულს.

მოგზაურებმა თელავში ისაუზმეს და გეზი აიღეს ალაზნის გაღმა მხრისაკენ. მათ მიეგებათ ენისლელი თავადი ჯორჯაძე. გზად დაათვალიერეს გრემის სასახლის ნაშთები.

სოფელ ენისელში სტუმრებს კარგად გამასპინძლებიან. ლაიელი აღწერს ქართულ სუფრას, მენიუს და ღვინის სმის წესებს. „მარნისკენ მიგვიწვიეს. ამაოდ ვეძებდით აქ ღვინოს და როცა შევეკითხეთ, გვითხრეს, რომ ის დამარხული იყო მიწაში, ჩასხმული ვეებერთელა ქვევრებში, რომლებიც ბევრად მეტს იტევდნენ, ვიდრე უდიდესი ტევადობის კასრები. მოიტანეს ბარები, მოფხიკეს მიწა, ორ ასეთ ქვევრს სარქველი მოხადეს და დაიწყეს ღვინის ჩამორიგება ვერცხლის თასებით".

ლაიელი ახასიათებს კახურ ღვინოს და მიუთითებს, რომ წითელი ღვინო თავისი ღირსებით თანასწორია ბურგუნდიულისაო.

მოგზაურებს დაუთვალიერებიათ კავკასიის ქედს მდგომი სამხედრო საგუშაგო ნაწილი, უნახავთ სოფელი შილდა. შემდეგ ყვარელში ჩასულან. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ყვარლის ციხეს, რომელსაც ლაიელი ასე აღწერს: „აქ არის ოთხკუთხედი და ლამაზად აგებული ციხე, რომლის არქიტექტურული სტილი დიად შთაბეჭდილებას სტოვებს".

ღამე მათ ჭავჭავაძეების ოჯახში გაუთევიათ. 26 ივნისს კი უკან წამოსულან თელავის მიმართულებით. გზად გამოიარეს სოფლები ნიკოლაევკა და შაქრიანი. ამ უკანასკნელ სოფელში ისაუზმეს და შემდეგ გზა განაგრძეს სანიორებისაკენ. აქ მათ ავალიშვილებთან ისადილეს თურმე.

„ჯერ კიდევ დიდი მანძილი არ გაგვევლო, — წერს ლაიელი, — რომ დავინახეთ პატარა სოფელი ლალისყური. აქ შეგვხვდა ჩოლოკაევი (ჩოლოყაშვილი — გ. ჯ.), რომელმაც თავისთან შეგვიპატიჟა. მისი სახლი ჩვეულებრივი იყო. გაგვაცნეს თავადის მეუღლე, ლამაზი ქალი, არწივისებური ცხვირით, მეტად მოხდენილი შეხედულებით და მიხვრა-მოხვრით".

ლაიელი აღწერს თუშებთან შეხვედრის ამბავს. ისინი ალვანზე გამოვლით 27 ივნისს ალავერდის ტაძარს ათვალიერებენ. იქვე ათევენ ღამეს. მათ მასპინძლობთ მონასტრის არქიმანდრიტი ეპიფანე.

ლაიელი სიტყვა ალავერდს არაბულად მიიჩნევს და ხსნის როგორც „ღვთის მოცემულს". იგი აღწერს მის მდგომარეობას, მოჰყავს ლეგენდაც.

მოგზაურები შემდეგ თელავში ბრუნდებიან და აქედან, ისევ გომბორის გზით, თბილისში მიემგზავრებიან.

ლაიელი ძალიან კმაყოფილია კახეთში მოგზაურობით და შენიშნავს, რომ მისმა ჯენტლმენმა თანამგზავრმა „იცის სპარსული, ცოტაოდენად იცნობს თათრებს და გარდა ამისა, რამდენიმე წელი მთიელი ტომების, კავკასიის და მეზობელი ქვეყნის გეოგრაფიის შესწავლისათვის მოუნდომებია", განზრახვა აქვს, მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს ადგილობრივ მკვიდრთა შესწავლას და კავკასიის ქედის მიმართულებით მოგზაურობას.

გრიბოედოვის ამ მოგზაურობაზე საქართველოში (კახეთში), ერთ-ერთი წყაროა ლაიელის წიგნი „მგზავრობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში", რომელიც დაიბეჭდა 1825 წელს ლონდონში. ამ წიგნიდან ზემოთ აღნიშნული ნაწილი ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში უთარგმნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა კათედრის ცნობილ პროფესორს ერეკლე ტატიშვილს.

ლაიელის კახეთში მოგზაურობის ეს ნაწილი დასაბეჭდად გამიზნული იყო „ლიტერატურული მატიანის" მეოთხე წიგნში. მოაღწია საკორექტორო ფურცლებმა, ისინი აღმოჩნდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" კომპლექტში, რომელიც შევიძინეთ თბილისში, ბუკინისტურ მაღაზიაში. კორექტურა მელნით ეკუთვნის ცნობილ მოღვაწეს სოლომონ ცაიშვილს და ორიოდე ადგილას ფანქრით გასწორებულია პოეტ გიორგი ლეონიძის მიერ.

**გიორგი ჯავახიშვილი,**
დოცენტი.

# გახსენება

რა საოცარი სისწრაფით მიჰქრის დრო...

თითქოს გუშინ იყო, რომ გამოჩენილი პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვარლამ ქაჯაია „მარადუბერებელ" კაცად მიგვაჩნდა.

უკვე მეთორმეტე წელიწადია, რაც იგი ჩვენს შორის აღარ არის. ახლა მას 75 წელი შეუსრულდებოდა.

ჩვენ, მის ახლო მეგობრებს, ახლაც გვგონია, რომ ვარლამი საცაა ისევ გამოჩნდება და რაღაც ნამდვილად „ვარლამისებურს" იტყვის, რომ კვლავაც გულის სიღრმემდე გაგვაცინებს და გაგვახალისებს, თავს ისევ იმ „ქოჩორა ბიჭებად" წარმოგვადგენინებს, როგორიც ვიყავით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვარლამი პლეხანოვის გამზირის ბოლოს, მუსიკალური კომედიის თეატრის „ბაღის კიდეზე" ცხოვრობდა, მაშინ, როცა ჩვენი „დინამოს" თითქმის, ყოველი მოგებული საფეხბურთო მატჩის შემდეგ თავისი ეზოს შესასვლელთან გველოდებოდა, რათა, სულ ცოტა, ათიოდე კაცი მაინც შინ შეეპატიჟებინა.

ჭეშმარიტად კოლორიტული ფიგურა იყო ვარლამ ქაჯაია, მაღალადამიანური თვისებების ისეთი ბედნიერი შენადნობი, როგორიც იშვიათად მეორდება ბუნებაში.

ვარლამ ქაჯაიას არაერთი საგულისხმო ნაშრომ-ნაღვაწი დიდხანს გაჰყვება ქართული საბჭოური პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკას. მან შექმნა საინტერესო გამოკვლევები სახალხო განათლების მოღვაწეებზე — ნიკო ცხვედაძის, შიო ჩიტაძის, ივანე გომელაურისა და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ. მისი მონაწილეობით შეიქმნა პედაგოგიკისა და ქართული პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელოები. მეცნიერის სტატიები დაიბეჭდა რსფსრ პედაგოგიკის აკადემიის მიერ გამოცემულ პედაგოგიური ლექსიკონის ორტომეულში...

ვარლამ ქაჯაიამ ფასდაუდებელი შრომა გასწია იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის შესწავლა-გამოცემისათვის. იგი ამ ტომების უბრალო შემდგენელი არ იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტომებისათვის დართული ვარლამ ქაჯაიასეული კომენტარები ისეთი მეცნიერული შრომებია, რომელიც ბევრ პრობლემურ საკითხს ჰფენს ნათელს.

მუდამ სიცოცხლის ხალისითა და სიხარულით სავსეს თვით მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი არ უფიქრია სიკვდილზე. თურმე საწუთრო მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ის კი სოფელში ჩასულ თავის მეგობრებს ლექციების სასექტემბრო ცხრილის თაობაზე გვესაუბრებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის შეხვდებოდა კვლავ ახალგაზრდობას.

ასეთი ცოცხალი, ღიმილიანი და იმედიანი გვახსოვს ჩვენი ვარლამი, რომელიც სამუდამოდ დავტოვეთ მისთვის უსაზღვროდ საყვარელ სოფელ ონოღიაში...

დღეს მამულიშვილის, მეცნიერის და პედაგოგის ვარლამ ქაჯაიას სახელობის საშუალო სკოლაში ღირსეულად იზრდება მომავალი თაობა.

**გრიგოლ საჯაია,**
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

# სამი იგავი

ზურაბ რატიანი

## ბრძენი ხელმწიფე

ხელმწიფე იყო ერთი ბრძენი და კეთილის მოქმედი ფრიად. იაზრა, ადამის ძეთა უბედურება სულ მათი ნაირსახეობისა გამოვაო. ბრძანა, საბრძანებელსა ჩემსა ყოველი ადამის ძე, გინა ასული მოიქცეს ერთსახედ, დასტურ ბედნიერნი შეიქმნებიანო.

აუწყა მწიგნობართუხუცესმა, ბრძანება ეგე აღსრულდება კეთილად, ოდეს ერთსახოვანი ორი კენჭი ამოირჩევა ქვიშიდანო.

წარგზავნა ხელმწიფემ მალემსრბოლი ზღვისა პირსა, უკეთუ დათქმული კენჭები ვერ მოიპოვო, თვალთა ჩემთა აღარ გიხილონო. აღარც უხილავს. წარგზავნა მეორე. დაიკარგა იგიც. გარნა რაჟამს აღარც მესე მალემსრბოლი დაბრუნდა, იხმო ხელმწიფემ მწიგნობართუხუცესი.

ასჯერ ათასი მალემსრბოლიც რომ გაგზავნო, ბრძანებას მაინც ვერ აღასრულებენ, რადგან ზომით, წონით, მოყვანილობით, სიმტკიცით და ფერით ერთსახოვანი ორი კენჭი არა ქვეყანას, არა ქვესკნელს და არა ზესკნელს არ იპოვებაო.

უარჰყო ბრძანება ხელმწიფემ თვისი და იწყო ყოველთა ადამის ძისათა, გინა ასულთა უბედურების ჭეშმარიტ მიზეზთა გამოწვლილვა.

მორალი: თუკი ორი კენჭიც არ არის ერთნაირი, ადამიანი როგორღა იქნება?!

## გაუმაძღარი გველეშაპი

უუსაშინელესი იყო ეს გველეშაპი. ვიდრე ურჩხული თითო-ოროლა ადამიანს ყლაპავდა, გადარჩენილი ადამიანები წუხდნენ და რაც მეტ ადამიანს ყლაპავდა გველეშაპი მით უფრო მეტად წუხდნენ ადამიანები. ძალიან რომ მოუხშირა გველეშაპმა ადამიანების ყლაპვას და უკვე კარგა ბლომადაც გადაყლაპა, მაშინ გადარჩენილთაგან ყველაზე გულადებმა გაბედეს და შეუტიეს ურჩხულს.

გველეშაპმა ეს გულადებიც არხეინად გადაყლაპა.

ამის შემდეგ გველეშაპთან შებმას ველარავინ ბედავდა. ის კი ყლაპავდა და ყლაპავდა ადამიანებს. ბოლოს გადარჩენილმა ადამიანებმა გველეშაპის სტომაქიდან რაღაც ხმაური გაიგონეს. გაბედეს და მიაყურადეს; დარწმუნდნენ, გადაყლაპულნი უხმობდნენ, შველას ითხოვდნენ. გაუკვირდათ გადარჩენილებს, გადაყლაპულები როგორღა არიან ცოცხლებიო?! ვიდრე ამას გაარკვევდნენ, გველეშაპმა კიდევ ბარე ორი ადამიანი გადაყლაპა.

მალე ამ ახალგადაყლაპულთა გოდებაც მოესმათ სტომაქიდან. ისევ დაფიქრდნენ გარეთ დარჩენილები და ისევ ყლაპა და ყლაპა ადამიანები გველეშაპმა. ამასობაში ეს უუსაშინელესი ურჩხული ისე გაიბერა და გასივდა, ძლივსღა სუნთქავდა, მაგრამ გველეშაპი, და თანაც უუსაშინელესი, რაღა გველეშაპი იქნებოდა, ადამიანების ყლაპვა რომ შეეწყვიტა. ყლაპავდა და ყლაპავდა ადამიანებს და ამიტომ სულ სივდებოდა და იბერებოდა. ბოლოს ერთიც გადაყლაპა და გასკდა. ჟრიამულით გამოცვივდნენ გადაყლაპული ადამიანები მისი სტომაქიდან.

სიხარულით მიეგებნენ გადარჩენილი ადამიანები მათ და ყველამ ერთად ატეხა არნახული და არგაგონილი ზარ-ზეიმი.

## სილამაზის საიდუმლო

სულთანი იყო ერთი, ბადრი მთვარესავით ანათებდა. თხუთმეტი ცოლი ჰყავდა, თხუთმეტივე მზეთუთუნახავი. თხუთმეტი შვილი შეეძინა, თითო ცოლისაგან თითო, თხუთმეტივე შეუხედავი — ექვსი ბიჭი და ცხრა გოგო.

წუხდა სულთანი, ეს რა უბედურებაა ჩემს თავსო, მაგრამ მიზეზი ვერაფრით გავიგე. პირველ ვაზირს ჰკითხა.

— დიდო მბრძანებელო, ყველა თქვენი შვილი მზისა და მთვარის სადარია, მაგრამ მშობლის გული ისეთია, რომ ულამაზესი შვილებიც კი უნდა უფრო ლამაზები ჰყავდეს და თქვენი ჭმუნვის მიზეზიც ეგ არისო.

სულთანმა პირველ ვაზირს თავი მოჰკვეთა და მეორე ვაზირს ჰკითხა.

— თქვენს ღვთიურ სილამაზესთან ფერმკრთალდება ყოველი, თორემ ყველა თქვენი შვილი მზისა და მთვარის განსახიერებააო.

სულთანმა მეორე ვაზირსაც თავი მოჰკვეთა და მესამე ვაზირს ჰკითხა.

მესამე ვაზირმა პასუხად სულთანს წარუდგინა ერთი სოფლელი ცოლ-ქმარი და მათი ულამაზესი თხუთმეტი შვილი — ცხრა ბიჭი და ექვსი გოგო.

შეხედა სულთანმა ცოლ-ქმარს, შეხედა მათ ულამაზეს შვილებს და უბრძანა სოფლელ კაცს, თქვი, სილამაზის საიდუმლოო.

მე და ჩემს ცოლს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ხოლო ერთმანეთზე მეტად შვილები გვიყვარსო, — იყო პასუხი.

მორალი: სილამაზის საიდუმლო სიყვარულშია!

# ერთი სიმღერის ისტორია

ქართული დემოკრატიული პოეზიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა იროდიონ ევდოშვილმა ქართულად თარგმნა ნეკრასოვის, ბერანჟეს, ვიქტორ ჰიუგოს, შელის, თომას ჰუდისა და სხვათა რამდენიმე ლექსი, მისი ნათარგმნია აგრეთვე რუჟე დე ლილიას „მარსელიოზა“ და ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იროდიონ ევდოშვილის მიერ პოლონურიდან თარგმნილმა ლექსმა, რომელსაც „სიმღერა“ ეწოდება.

ამ ლექსის ავტორი და დედანი ჩვენი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი იყო. პოლონელი მკვლევარების, ვარშავის უნივერსიტეტთან არსებული ფილოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების იან ბრაუნისა და გრეგორ გრაბსკის დახმარებით დავადგინეთ, რომ ლექსი ეკუთვნის ცნობილ პოლონელ საზოგადო მოღვაწესა და პოეტს ბოლესლავ ჩერვენსკის (1851-1888 წწ.).

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ეს ლექსი საბრძოლო პროლეტარულ ჰიმნად იქცა, მას „წითელი ალამი“ ეწოდებოდა.

სიმღერა „წითელი ალამი“ ინტერნაციონალურია; იგი ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული. თავდაპირველი „წითელი ალმის“ ავტორი იყო ნაკლებად ცნობილი ფრანგი პოეტი ბიუსარი, მუსიკა კი დაწერა გერმანელმა კომპოზიტორმა იოჰან ფოგტმა (1823-1888 წწ.).

პარიზის კომუნის ერთ-ერთმა მონაწილემ პოლ მარი ბრუსმა (1844-1912 წწ.) ფოგტის მუსიკაზე დაწერა ახალი სიტყვები.

პოლ ბრუსის „წითელ ალამს“ მღეროდნენ ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ საფრანგეთშიც. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში კი იგი გავრცელდა უკვე არა ბრუსისეული ტექსტით, არამედ ახალი სიტყვებით (მესამე ვარიანტი). მისი ავტორი გახლავთ კომუნის მონაწილე, კომუნართა პოეზიის მგზნებარე პროპაგანდისტი, პროლეტარული პოეტი აშილ ლე რუა (1841-1929 წწ.).

მეოცე საუკუნის დამდეგს გაჩნდა ახალი, „წითელი ალმის“ მეოთხე ფრანგული ტექსტი, რომლის ავტორია ცნობილი პოეტი-სოციალისტი ლიუსიენ როლანი.

სიმღერა პოლონურად თარგმნა „დაჩაგრულთა, ლატაკთა და ბედკრულთა პოეტმა ბოლესლავ ჩერვენსკიმ. ხელისუფლებამ სიმღერა „ჩერვონი შტანდარ“ (წითელი ალამი) აკრძალა. მისი გავრცელებისათვის თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდნენ.

ბოლესლავ ჩერვენსკიმ მუშათა კლასის თავისუფლებისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილ სიმღერაში სრულიად ახალი შინაარსი ჩააქსოვა, შთაბერა მომავლის რწმენა, რაც აშკარად აკლდა ამ სიმღერის ადრინდელ ტექსტებს.

1890-იანი წლების დამდეგიდან ბ. ჩერვენსკის „ჩერვონი შტანდარი“ სწრაფად გავრცელდა პოლონეთის ფარგლებს გარეთაც.

პოლონეთში იგი იყო რევოლუციურ იატაკქვეშელთა არალეგარული სიმღერა, რუსეთის მუშათა კლასი კი მას 1905 წლის რევოლუციის დროს ქუჩებსა და ბარიკადებზე მღეროდა. ამრიგად, იგი რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი საბრძოლო სიმღერა გახდა და ახალი სახით 1905-1907 წლებში რუსეთიდან ევროპას დაუბრუნდა.

ვ. ი. ლენინი აღტაცებული იყო პოლონელი მუშების რევოლუციური სიმღერებით და მიუთითებდა, აუცილებლად შეექმნათ ასეთი სიმღერები რუსეთშიც.

ციმბირში გადასახლებაში ყოფნისას ვ. ი. ლენინი და მისი თანამებრძოლები „ჩერვონი შტანდარს“ პოლონურად მღეროდნენ.

„წითელ ალამს“ მღეროდნენ მაისობებსა და მუშათა დემონსტრაციებზე, ბარიკადებსა თუ ციხის კედლებში.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ საზღვარგარეთ XIX-XX საუკუნეებში თითქმის ერთდროულად გაჩნდა პოლონური სიმღერის ტექსტის „წითელი ალმის“ ორი რუსული თარგმანი: გ. კრჟიჟანოვსკისა (ციმბირში გადასახლებისას) და ვ. აკიმოვის (ვ. მახნოვეცის) მიერ იმავე წელს ემიგრაციაში შესრულებული.

იროდიონ ევდოშვილის თარგმნილი ლექსი „სიმღერა“ ძალზე ახლოს დგას ვ. აკიმოვის თარგმანთან.

რაც შეეხება ირ. ევდოშვილის ლექსის სათაურს („სიმღერა“ და არა „წითელი ალამი“, როგორც ეს დედანში და რუსულ თარგმანშია), შეიძლება, აიხსნას ამ ლექსის ქართული თარგმანის შინაარსით, აგრეთვე იმით, რომ რუსულ თარგმანში გამოყენებულია სიტყვა „მისამღერი“, და სავსებით შესაძლებელია ცენზურული მოსაზრებით ლექსისათვის „სიმღერა“ ეწოდებინათ.

ასეთია მოკლე ისტორია „სიმღერისა“, რომელიც დაიბადა შვეიცარიაში, მერე კი პოლონეთიდან რუსეთში შეაღწია, სადაც მსოფლიო პროლეტარიატის ყველაზე რევოლუციური რაზმის ჰიმნად იქცა.

ინგა კაკაბაძე

# ჯეკ ლონდონის წერილები

მაგიდაზე ჟამთა სვლისგან გაცრეცილი ორი წერილი დევს.

— ეს წერილები დეიდაჩემ ოლღა მილოვას ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოუგზავნეს საქართველოში, — გვეუბნება აჭარის ასს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ეკატერინე დიუბენკო, — შეხედეთ, ორივე წერილს ჯეკ ლონდონი აწერს ხელს.

ქობულეთში ვართ. მზე გადახრაზეა. ზღვაური აივნის გასწვრივ ჩარიგებულ თელებს აშრიალებს.

— მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დეიდაჩემი ეკატერინობურგიდან — დღევანდელი სვერდლოვსკიდან — საქართველოში გადმოსახლდა და ახალციხეში დამკვიდრდა.

— განათლებული ქალი იყო?

— დიდად განსწავლული. ლიტერატურის მოყვარული და ფრანგული ენის მცოდნე. მახსოვს, მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ამ ბიბლიოთეკიდან დღემდე შემომრჩა მამინ-სიბირიაკის მიერ დეიდაჩემისათვის 1889 წელს ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნი.

ჩვენი მასპინძელი წამით ჩერდება და განაგრძობს:

— სწორედ ლიტერატურის დიდმა სიყვარულმა გააბედვინა ოლღა მილოვას, ჯეკ ლონდონისთვის წერილი მიეწერა. დეიდაჩემმა პირველი ბარათი სახელოვან მწერალს ფრანგულ ენაზე გაუგზავნა. თავის ბარათში იგი, როგორც მკითხველი, მწერალს დიდ მადლობას უხდიდა საუკეთესო ნაწარმოებებისათვის, შემდგომ წარმატებებს უსურვებდა და სთხოვდა, საქართველოში ჩამოსულიყო სტუმრად. აი, ჯეკ ლონდონის საპასუხო ბარათი.

ფრთხილად ვშლი ოთხად მოკეცილ ქაღალდს და გაკრული ხელით დაწერილ სიტყვებს ვკითხულობ:

„ძვირფასო ო. მილოვა! ახლახან დავბრუნდი მექსიკიდან, სადაც მძიმედ ვიყავი ავად. ამჟამად უკეთ ვარ. შინ უამრავი წერილი დამხვდა. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მაშინვე ვერ ვუპასუხე თქვენს შთამაგონებელ წერილს. თქვენი წერილი ეს-ეს არის მითარგმნეს. უაღრესად დიდი სიამოვნება მომანიჭა თავაზიანმა სიტყვებმა და ჩემი ნაწერების ესოდენ მაღალმა შეფასებამ. კავკასიაში ჩამოსვლაზე ჯერჯერობით ზუსტად ვერაფერს გეტყვით. მე მინდოდა, თქვენთვის მომეწერა უფრო მეტი და უფრო დაწვრილებით, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ მთლად ვერ გამოვკეთდი და მალე ვიღლები. ათასი მადლობა იმ სიკეთისათვის, რაც თქვენს წერილშია ჩემდამი ნაბოძები. თქვენი გულწრფელი ჯეკ ლონდონი“.

ამ საპასუხო წერილის შემდეგ საქართველოში მცხოვრებ ოლღა მილოვასა და ჯეკ ლონდონს შორის თბილი მიმოწერა გაიმართა. დიდმა მწერალმა თავის მკითხველს მალე რამდენიმე სამახსოვრო ფოტოსურათი გამოუგზავნა ავტოგრაფით.

აი, რას წერს ჯეკ ლონდონი ოლღა მილოვას დისწულის ოჯახში შემონახულ მეორე წერილში:

„ძვირფასო ო. მილოვა! პასუხი იმიტომ დაგიგვიანეთ, რომ რამდენიმე თვე შინ არ ვიყავი. თქვენი წერილი მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე. გულითადი მადლობა კეთილი სურვილებისა და ჩემს ნაწერებზე ასეთი გამოხმაურებისათვის. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. განმეორებით გიხდით მადლობას თავაზიანობისათვის. თქვენი ჯეკ ლონდონი“.

ზღვაური ჩადგა.

ირგვლივ გვიანი შემოდგომის საამო სურნელი ტრიალებდა.

**ხაჩატურ ვართანიანცი**

## ციფრები ფაქტები ციფრები ფაქტები

ჩვენს პლანეტაზე 4 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 2.000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 6 მილიარდ 637 მილიონ ადამიანს მიაღწევს.

* * *

მსოფლიოში ამჟამად 460 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე კვების საშუალო რაციონი ნორმალურზე მნიშვნელოვნად დაბალია.

* * *

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა იმ ქალაქების სია, რომლებშიც ადამიანს ძალიან ძვირი უჯდება ნორმალური ცხოვრება.

ამ სიაში პირველი ადგილი დაიკავა იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ. ე. წ. „ძვირადღირებულ“ ქალაქებში მოხვდნენ ბონი, კოპენჰაგენი, ჰააგა, პარიზი, ვენა...

* * *

სპეციალისტებმა გამოთვალეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რიგითმა მუშამ, სულ ცოტა, 124 დღე უნდა იმუშაოს, რომ მთელი წლის მანძილზე შეძლოს სახელმწიფო, ფედერალური, მუნიციპალური და სხვა სახის გადასახადების დაფარვა.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1971 წელს ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების 29 პროცენტი განქორწინებით დამთავრდა.

ეს პროცენტი ყოველწლიურად იზრდება. შარშან ამერიკაში ერთი მილიონი განქორწინება მოხდა.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად ხუთი ათასამდე ციხეა.

პატიმრებით გადატვირთული საპყრობილეების შენახვა ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი დოლარი ჯდება.

## მსოფლიოს სხვადასხვა მერიდიანზე

### რეკორდსმენი აეროსტატი

**საფრანგეთში დაამზადეს გიგანტური აეროსტატი, რომლის მოცულობა 14.000 კუბური მეტრია. საჰაერო ხომალდის წონა, ტვირთთან ერთად, 3,5 ტონას აღწევს. სარეკორდოა მისი ფრენის დროც — 18 საათი და 56 წუთი.**

**აეროსტატის სალონი ორსართულიანია და 32 ადამიანს იტევს.**

### მსოფლიოში პირველი

**დრეზდენის ტექნიკური მუზეუმის თანამშრომლებმა ამას წინათ მიაკვლიეს და შეიძინეს საინტერესო ექსპონატი — მსოფლიოში პირველი ხელით საბეჭდი მანქანა.**

**ეს მანქანა 1864 წელს დაამზადა ტიროლიელმა დურგალმა პეტერ მიტენჰოლფმა.**

**საბეჭდი მანქანა ძირითადად ხის მასალისგან არის გაკეთებული.**

### რა მიზეზია?

**ფრანგ დემოგრაფებს უჭირთ იმ უცნაური მოვლენის ახსნა, რომ პარიზელების სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია, ვიდრე საფრანგეთის პროვინციებში მცხოვრებლებისა.**

**საფრანგეთის დედაქალაქში ამჟამად 250 ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ას წელზე მეტი ხნისანი არიან.**

### ტრაქტორით ევროპის გარშემო

დასავლეთგერმანელი სტუდენტი მ. კლიუკენი ნელინადზე მეტია, ევროპაში მოგზაურობს... ტრაქტორით.

— ტრანსპორტის ამ სახეობით მოგზაურობა უფრო საიმედოა და გაცილებით იაფი მიჯდება, — განაცხადა კლიუკენმა, — გარდა ამისა, ტრაქტორი ნელა დადის და საშუალება მეძლევა გულდასმით დავათვალიერო გარემო.

### როგორ მოვიქცეთ?

ამას წინათ ამსტერდამის აეროპორტის საკომანდო პუნქტის მიმღებში მამაკაცის შეშფოთებული ხმა გაისმა:

— თვითმფრინავის ავზში წვეთი ბენზინი არ გვაქვს. როგორ მოვიქცეთ?

საკომანდო პუნქტი პანიკამ მოიცვა. სადისპეტჩერო სამსახურის ინჟინერმა მხნეობა მოიკრიფა და მიკროფონში ჩასძახა:

— არ დაიბნეთ, გამოიჩინეთ გამბედაობა, შეეცადეთ, თვითმფრინავი სწრაფად დასვათ აეროდრომზე.

პასუხმა არ დააყოვნა:

— ჩვენი თვითმფრინავი დილიდანვე აეროდრომზე ზის. ბენზინი არ გვაქვს, რომ ავფრინდეთ. როგორ მოვიქცეთ?

### ჩაშლილი ცერემონიალი

ეს კურიოზი ინგლისში მოხდა.

გემთმშენებლებმა გათვალისწინებულ ვადაში დაამთავრეს ერთ-ერთი უდიდესი ხომალდის „დიდი ბრიტანეთის“ აგება. გემის წყალში ჩაშვების ცერემონიალს უამრავი ხალხი მიაწყდა. ის-ის იყო სასულე ორკესტრმა დასცხო, რომ გაისმა შეშფოთებული ყვირილი:

— გემი წყალში არ ჩადის!

მალე ყველაფერი გაირკვა: გემთმშენებლებს ხომალდი ცოტა განიერი აეგოთ, დოკებშუა ვერ ეტეოდა და საზეიმო ცერემონიალზე შეუძლებელი გახდა „დიდი ბრიტანეთის“ ზღვაში ჩაშვება.

## რა არ ხდება

### უფროს-უმცროსი

ბურების ომის (1899-1902 წწ.) მონაწილეებმა დათქვეს და ყოველი წლის დანიშნულ დღეს, წინასწარ შერჩეულ ადგილზე, უკლებლივ ხვდებოდნენ ერთმანეთს..

გამოხდა ხანი.

წელს, ტრადიციული შეკრების ადგილზე, მხოლოდ 6 ცოცხლად დარჩენილი ვეტერანი გამოცხადდა.

მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო 99 წლის მიკ მაილსი, ყველაზე უფროსი — 103 წლის უილიამ შეპარდი.

### აი, ვნახოთ!

ინგლისის ერთ-ერთ გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნდა გამოუსწორებელი ქურდის, ვინმე სკოტის განცხადება.

აი რას წერდა იგი:

„ავაზაკმა ქურდებმა ბინა გამიტეხეს. როცა ჩემი არეულ-დარეული ოთახი დავინახე, გული დამეთუთქა, უცნაური გრძნობა შემეპარა და ავტირდი.

დღეის შემდეგ, აი, ვნახოთ, არც ერთ ბინას აღარ გავქურდავ!"

### გაღმით ის არის, გამოღმით — ეს

არგენტინაში გამოუშვეს 1 მილიონი პესო ახალი ბანკნოტები, რომლებზეც ელექტროსადგური და მისი შემოგარენია აღბეჭდილი.

მალე დადგინდა, რომ ფულზე აღბეჭდილი ელექტროსადგური და ლანდშაფტი მდებარეობს... ურუგვაიში.

### მკაცრი დიეტის შემდეგ

ი. გინესის მიერ შედგენილ „მსოფლიო რეკორდების წიგნში" შეტანილია ვინმე ჯონ მინო.

ამერიკელი ჯონ მინო 1979 წელს იწონიდა... 434 კილოგრამს.

მკაცრი დიეტის შემდეგ იგი საგრძნობლად გახდა და ახლა 320 კილოგრამს იწონის.

## იუმორი

* * *

გეოგრაფიის მასწავლებელმა რუქას თითი დაადო და იკითხა:

— რა არის ეს?

— საჩვენებელი თითი.

* * *

— კარლ, შენ ჩემს ქუდზე ზიხარ.

— უკვე აპირებთ შინ წასვლას?

* * *

ორი ყმაწვილი ექიმთან მივიდა.

— ტყვია გადამეყლაპა! — თქვა პანელმა.

— შენ რაღა გინდა? — ჰკითხა ექიმმა კარლს.

— ჩემი ტყვია.

* * *

— დაგეხმარები, — კარლმა დედას კალათი გამოართვა და დასძინა, — ახლა ხელში ამიყვანე.

* * *

— კარლ, ძმიკო უფრო გინდა თუ დაიკო?

— ველოსიპედი.

* * *

— კარლ, რატომ იყინება ზამთარში წყალი?

— იმიტომ, რომ ციგურებით ვისრიალოთ.

გერმანულიდან თარგმნა
მარინე სულუაშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ავიაციის სახელოვანი ქართველი გენერალი; 9. ვენეციელ მენავეთა პოპულარული სიმღერა; 10. ჩილის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი; 11. საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გვარდიელი; 12. კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე; 16. ცნობილი ქართველი პოეტი; 20. ქართველი მომღერალი; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 22. თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი; 23. სცენის ტექნიკური მუშაკი; 24. სოფელი სიღნაღის რაიონში; 27. უბრალო ლითონებისგან ოქროს მიღების ცდა; 30. XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი; 33. ჩვენი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის გმირი; 34. მტაცებელი ფრინველი; 35. კოვპაკის თანამებრძოლი ქართველი პარტიზანი.

**შვეულად:** 1. გენერალისიმუსი; 2. რევოლუციონერი, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშა; 3. ქართველი მწერალი; 4. სამოქალაქო ომის გმირი; 5. ცნობილი ქართველი მსახიობი; 7. სოფელი გორის რაიონში; 8. ჩვენი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის გმირი; 13. ძველი ქართული სალიტერატურო ჟურნალი; 14. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ყოფილი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი; 15. ქართველი პოეტი; 16. დაავადება; 17. პოეტი-დეკაბრისტი; 18. საქართველოს ერთ-ერთი მთიანი მხარე; 19. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 25. გმირი ციხე-სიმაგრე; 26. კ. გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში" მოხსენიებული შვლის ნუკრი; 28. რკინიგზელ სპორტსმენთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში; 29. ახალგაზრდული დრამატული თეატრი; 30. მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ვაზი; 31. კურორტი დასავლეთ საქართველოში; 32. ძველი ქართული გაზეთი.

შეადგინა ვაჟა მაგრაქველიძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე „მადლიერი დედა", მოქანდაკე საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი გიორგი ოჩიაური. გარეკანის მეოთხე გვერდზე „გმირთა მოედანი ღამით", ფოტო გონდო დადვაძისა, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ივერია", საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ჟურნალ „დროშის" № 1 ნომერში ჩანართის მე-2 და მე-3 გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოები, „ზემო სვანეთი" და „ზემო აჭარა" ეკუთვნის არნოლდ გეგეჭკორს.

გადაეცა წარმოებას 19. I. 82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. II. 82 წ. უე 06103. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 50700, შეკვ. 141. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდექსი 76056